

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

**მე-80**

**სამეცნიერო სესია**

**ეძღვნება ინსტიტუტის 80 წლისთავს**

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2021 წლის 21-23 დეკემბერი

თბილისი  
2021

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქოზავას სახელობის  
**ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში**  
(ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# მუშაობის გეგმა

21 დეკემბერი, 12 საათი

## სესიის გახსნა

ნ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი – 80 წლის ინსტიტუტი  
დოკუმენტური ფილმის ჩვენება

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

- ნ. მ ი ც კ ვ ე ი ჩ ი – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
- გ. შ ა რ ვ ა შ ი ძ ე – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი

- მ. ბ ე რ ი ძ ე – ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – ქართველურ ენათა განყოფილება
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება
- ს. ო მ ი ა ძ ე – ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება
- ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე – სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება
- მ. ჩ უ ხ უ ა – ლექსიკოლოგიის განყოფილება

## 21 დეკემბერი, 14 საათი

### თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

დიანა ანფიმიადი – დავით წერედიანის „ძველი წარწერები“ – მითი, ენა, პოეტიკა

ავთანდილ არაბული – სახელმწიფო ენის არსებობის უახლესი პირობებისა და შესაბამისი ნორმატიული პოლიტიკისათვის

ნარგიზ ახვლედიანი – ადამიანთან დაკავშირებული რამდენიმე ლექსიკური ერთეულისათვის აჭარულში

ლია ბაკურაძე – ხარისხის წარმოების თავისებურებისათვის ფერეიდნულში

მარინა ბერიძე – ხოლმეობითის მწკრივების აღწერის საკითხისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში

თეა ბურჭულაძე – ერთი სახის შესიტყვებათა გამოყოფისათვის

თეიმურაზ გვანცელაძე – აფსურ-აბაზური ლექსიკის სემანტიკური ისტორიიდან: ცხენი და ირემი; პური და მწყერი

გვანცა გვანცელაძე – ორი ქართული სიტყვის ისტორიისათვის: მაწონი და აპური

ლინდა გიორგაძე – შესამოსელი – საეკლესიო ტერმინი გიორგი გოგოლაშვილი – იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ XXI საუკუნეში („დაბადებიდან“ 145 წლისთავზე)

თამარ ვაშაკიძე – მართლწერის 80 რეკომენდაცია მედიისათვის

მაკა ლაბარტყავა – ერთი მხატვრული ხერხისათვის ო. ჭილაძის პოეზიაში

ნანა ლოლაძე, ქეთევან დათუკიშვილი, მერაბ ზაკალაშვილი – ლექსიკონები „ციფრული გარემოში“ (პროგრამა „ლექსიკოგრაფი“)

ნანა მაჭავარიანი – „წაღა“ ლექსემის წარმომავლობისათვის

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე – ერთი კულინარიული ზმნის – „შე-  
ასუნელებს“ – შესახებ თანამედროვე ქართულ დისკურსში

## 22 დეკემბერი, 12 საათი

### თავმჯდომარე – მედეა ღლონტი

რ უ ს უ და ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი – არაბულ-სპარსული წარმო-  
მავლობის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის შავშურში

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი – კვლავ ნასესხები ლექსიკის ფონეტი-  
კურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურ  
ხალხურ ზღაპრებში

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – ახალ ვირუსულ პანდემიასთან  
დაკავშირებული რამდენიმე ახალი სიტყვის მართლწერისათვის

ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე - პურიზმი ქართულ ტერმინოლოგია-  
ში და მისი გავლენა ენაზე

ჭ ა ზ უ კ ი ქ ი რ ი ა – **o**-ფუმიან სახელთა ბრუნების სპეციფი-  
კა და კვეცის საკითხი ქართულში

მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი – ძვ. ქართ. (აღ)რ ჩ ე ვ ა „არჩევანი“ და  
ძვ. ქართ. და რ ჩ ე ნ ა „გადარჩენა“ (-სჯ- / -შჯ- / -რჩ- / -რჯ- ძირ-მო-  
რფემათა ფუნქციური სემანტიკისათვის)

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – მიზნის გარემოებითი დამოკიდე-  
ბული წინადადება სვანურში

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა – მეგრული ჯარახუნა ლექსიკური ერ-  
თეულის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი-სუ ბ ა რ ი,  
რ უ ს უ და ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი – მორფემული ლექსიკონი – პოლუ-  
სურ ლინგვისტურ მოვლენათა ასახვის წყარო

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – შოთა ნიშნინიძის ბელეტრისტული  
პოემების ენობრივი სამყაროდან – დიალექტიზმები

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – კაუზატივის მორფოლოგიური კატეგო-  
რია ქართველურში

მერაბ ჩუხუა – ფუძემდებელი წარმომავლობის ინსტრუმენტალისი და ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენებში

ნინო ციხიშვილი – ა- ხმოვანპრეფიქსი და ქართული ზმნის მრავალპირიანობა

სოფიკო ჭაავა – ენათმეცნიერების ფაკულტეტის, მისი დარგებისა და სასწავლო პროგრამების შექმნის ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე – ძველ ქართულ ლექსიკონებში დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ (ლეღუსულელი/ლეღვსულელი, ლეღუსუარი/ლეღვსუარი, ლეღვ/ლეღვი)

ცირა ჯანჯღავა = ქართული ტყუპ-ი სიტყვის სემანტიკური შესატყვისების შესახებ მეგრულში

მარინა ჯღარკავა – ენობრივი ინტერფერენციის საკითხები მაკარ ხუბუას „მეგრულ ტექსტებში“

## 23 დეკემბერი, 12 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

**პროექტი №FR-18-072** – „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“

ლევან აზმაიფარაშვილი – ზოონიმების შემცველ კომპოზიტთა აგებულებისა და სემანტიკის თაობაზე ხუნძურ ენაში

ნოდარ არდოტელი – ზოგი კომპოზიტური თეონიმის ეთნოლინგვისტური ანალიზისთვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა – რამდენიმეკომპონენტის კომპოზიტები  
ადილეურსა და აფხაზურ ენებში  
დ ი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი – კომპოზიტა ტიპოლოგიური მა-  
ხასიათებლები კავკასიის ენებში  
რ მ ა ნ ლ ო ლ უ ა – რედუქლიკაცია ლეზგიურ ენებში

**პროექტი NFR -18-3659** – „კავკასიურ-ქართული ლექსი-  
კონი. II.“

ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი – ტოპონიმთა წარმოება დიდოურ  
ენაში  
დ ი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის  
ნახურენოვან ტოპონიმთა ფორმოზრივი კლასიფიკაცია  
რ მ ა ნ ლ ო ლ უ ა – ლაზიალიზებული თანხმოვნების სა-  
კითხისათვის ლეზგიურ ენაში  
ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – ყაზარდოული ენის მოკლე გრამატიკულ  
ლი ანალიზი





## დიანა ანფიმიადი

### **დავით წერედიანის „ძველი წარწერები“ – მითი, ენა, პოეტიკა**

პოეზია პარადოქსია, რადგანაც არსებული, რეალური, გამოცდილი, უნივერსალური ენობრივი ფორმულებით უნდა შექმნას რაღაც არარსებული და ჯერარყოფილი. სამეტყველო ენა ერთგვარი სოციალური დიალექტის შესაქმნელად გამოიყენოს, რომლის გაგონება ყველას შეუძლია, გაგება კი – ბევრად ნაკლებს.

„ძველი წარწერები“ ის ტექსტია, სადაც ქრესტომათიული სიზუსტითაა გადმოცემული დავით წერედიანის პოეტური ესთეტიკა, პოეტური მსოფლმხედველობა – სინტაქსის, ფონეტიკის, მეტაფორის, ამბის, პოეტური ნიშნის, ხმის, ენისა და მეტყველების ფორმებით, პოეტური ნარატივისა თუ მეტაენის კომპონენტებით.

პოეზია ის მოვლენაა, რომელიც ერთდროულად არსებობს და თან არ არსებობს, მითიური არქეტიპების მსგავსად, რომელთა დაჯერებაც წარმოუდგენელია, ისევე, როგორც ეჭვის შეტანა. დავით წერედიანი ამ ლექსში ცდილობს ამბავი მაქსიმალურად დამაჯერებელი გახადოს, თუმცა ამავე დროს, კონკრეტულ დროსა თუ სივრცეს არცერთი დეტალით არ დააკავშიროს, არ მიაჯაჭვოს. პირველ რიგში, ეს დროსა და სივრცეში განფენილობა სინთეზური, კონცეპტუალური მეტაფორით, მეტაენობრივი და მეტატექსტური დეტალების გამოყენებით, ფრაგმენტარიზმით გამოიხატება.

ფრაგმენტარიზმი კონცეპტუალური მეტაფორის ძალიან საინტერესო სახეა, მისი არაერთი ცნობილი ნიმუში შეიძლება გავიხსენოთ, მინაწერების, გაზეთის სათაურების, სულაც ქუჩის წარწერების ფორმით შექმნილი ტექსტები.

დავით წერედიანის ტექსტში ფრაგმენტარიზმი, წარწერის ციტირება ორმაგი მეტაფორაა, რადგან ტექსტი, რომელიც „გადაწერეს“ და მკითხველმა უნდა ამოიკითხოს, თავად ლექსის ავტორისაა, ისევე, როგორც მთლიანად ტექსტი, რომელშიც ეს ციტირება მეტაფორად გამოიყენეს.

გარეგრამატიკული, ერთგვარად, მეორეხარისხოვანი სიმბოლოების მხატვრულ სახედ გამოყენება გავრცელებული ლიტერატურ-

რული ხერხია, თუ პოლ ელუარისთვის სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა მეტაფორა, გალაკტიონი დამატებით ინტონაციას სძენს ლექსს, ჯოისის, თეკერეის, გრიგოლ რობაქიძის მაგალითებს აღარ მოვიყვან, არც იმას ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის პროზაში სასვენი ნიშნებს განსხვავებული, გამძაფრებული ფუნქციაც კი აქვს. პოსტმოდერნულმა ეპოქამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ეს მეტალინგვისტური და მეტაპოეტური ნიშნები, მაგრამ აქაც არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, ზოგიერთ ტექსტში ზედაპირზე დევს, რომ ავტორმა დიდხანს იფიქრა, ერთგვარად ტექნიკურად, სტრუქტურულად, ვიზუალურად თვალსაჩინოდ გამოიყენა წერტილი თუ მძიმე, ფრჩხილი, კვადრატული ფრჩხილი, ჭვირნიში თუ ქარაგმა, ზოგან კი ამ ტექნიკური თუ კონცეპტუალური სამუშაოს პროცესი არ ჩანს, იმდენად, რომ შეიძლება მეორეხარისხოვნადაც მივიჩნიოთ, საერთოდ არ ჩანს ავტორის ეს შრომა, ეს ოქრომჭედლის სამუშაო. დავით წერედიანის „ძველი წარწერები“ ტექსტების მეორე ნაწილს მიეკუთვნება.

საერთოდ, დავით წერედიანის პოეზია მეტად ლინგვისტურია. მთარგმნელმა, პოეზიისა და ენის უზადლო მცოდნემ ძალიან კარგად იცის ენის როლი და მნიშვნელობა. თავად ამბობს, რომ „პოეზიის მომხიბლველობა გაცილებით ღრმა ენობრივი შრეებიდან მოდის“ და „ლექსი მისკვნლია ენასთან“. შესაბამისად, იდეალურად, პროფესიონალურად იყენებს ლინგვისტურ და მეტალინგვისტურ საშუალებებს. იქნება ეს დიალექტი, ენის განვითარების საფეხურები, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი- ენის ძირეული სტრუქტურებით დაწყებული, მეორეხარისხოვანი, ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალებით დასრულებული. ეს ყველაფერი მისი მეტაფორის მთავარი საშენი მასალაა.

მაგალითად, დასაწყისშივე ვთქვით, რომ ავტორის მიზანი ფაქტის გამოთება, კონკრეტული მოვლენის ჩარჩოდან გაღწევა, ამისთვის ის მრავალფეროვან გრამატიკულ „იარაღს“ იყენებს. ამ საშუალებებს შორისაა ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურები. ენის განვითარების ამ ორი საფეხურის შერწყმით დავით წერედიანი ენის ახალ ფორმას ქმნის, რომელიც არც ძველი ქართულია, არც საშუალო, არც ახალი. ეს მისი პოეზიის ენის ფორმაა.

ტექსტში ძველი ქართული ენის გრამატიკის წესების დაცვით გამოყენებული ფორმების გვერდით ახალი ქართული ენის-

თვის დამახასიათებელი ფორმებია. ტმესის, ზმნისწინის არქაული ფორმის, არქაული სემანტიკის გვერდით თანამედროვე ქართულის ენის თანამედროვე სინტაქსური თუ ზმნური სტრუქტურებია, ასევე, პუნქტუაციის ნიშნებთან დაკავშირებითაც.

მთელი ტექსტის ენობრივი ქსოვილი მეტაფორაა, იმისთვის, რომ ავტორმა კიდევ ერთხელ გვითხრას, რომ ეს ამბავი არცერთ კონკრეტულ დროს თუ სივრცეს არ ეკუთვნის, ახალიცაა და ძველიც, ნამდვილიც და გამოგონილიც.

## ავთანდილ არაბული

### **სახელმწიფო ენის არსებობის უახლესი პირობებისა და შესაბამისი ნორმატიული პოლიტიკისათვის**

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, რომელთა სისტემური შემუშავების ისტორია უკვე ერთ საუკუნეს ითვლის, ბუნებრივია, საფუძვლად გულისხმობდა გარკვეული ნორმატიული პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ანუ მწიგნობრული ენის არსებული მდგომარეობისა და შესაბამისი კულტურული და სოციალური პირობების გათვალისწინებას.

სრულიად აშკარაა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმატიული უნიფიცირების მყარი საფუძველი შეიქმნა მხოლოდ **ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების** შემდეგ. ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ ამ საიმედო (საუნივერსიტეტო) საფუძველზე სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის პრინციპები ძირითადად უკვე შემუშავებული ჩანს 1921 წლისათვის. კერძოდ, 1920 წლის 24 მაისს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „ენის მცოდნეთა კონფერენციის“ მოსამზადებელი საორგანიზაციო კომისია (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე) და ერთ წელიწადში უკვე მზად იყო სპეციალური ნორმატიული წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს სალიტერატურო ენის ნორმათა და-

დგენის პირველი სამამულო პრინციპების ძირითადი სულისკვეთება. ეს მიდგომა დაჟღერებს, რომ ძირითადი პრინციპია „**ფორმათა ერთსახეობა**“, მაგრამ, იმავე დროს, „უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია **პარალელური ფორმების დაშვება**“ („სალიტ. ქართულისათვის“, ტფ. 1921).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის შემდგომი აქტიური პერიოდი სულ მალე ოპტიმალურ სისტემურ გაგრძელებას ჰპოვებს, კერძოდ, 1941 წლიდან სახელმწიფო ენის განვითარებას საიმედო საფუძველი შეექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაფუძნებით. 1950-იანი წლების დასაწყისში არნ. ჩიქოვავას მიერ საბოლოოდ იქნა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომელთაც დაეფუძნა შემდგომი დროის ნორმატიული პოლიტიკა და რომელთაც დღემდე აქვს მინიჭებული წარმმართველი ფუნქცია. ეს პრინციპები აღნიშნული (ხაზგასმული) მიდგომის თვალსაზრისით არსებითად წინამორბედ პოზიციას მისდევს. კერძოდ, ის გვეუბნება, რომ „ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს **ერთი ფორმა**“, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილებად გამოდის **ორი ან მეტი პარალელური ფორმა**, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი **დარჩენ პარალელურად**.“

აშკარაა, რომ ქართულ ნორმატიულ პოლიტიკას სპეციფიკურ ნიშნად დაჰყვა ორთოგრაფია (მოცილებ გრამატიკულ ფორმათა) ვარიანტულობის დაშვება. თუ შესაძარებლად ავიღებთ კლასიკური მწიგნობრობის სხვა ენებს, იქ ნორმათა უნიფიკაცია პრინციპული ხასიათისაა: მკაცრად არის დაცული როგორც ნორმა, ისე გამონაკლისი ძირითადი წესისაგან (ეს გამონაკლისები რაოდენობრივად კი აღინუსხება). ქართულ სინამდვილეში კი ვარიანტულობა (ერთი ფორმის ორი თუ სამი დასაშვები ვარიანტი) რეალურად იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნორმალიზაციის ზემოაღნიშნული პრინციპები ვარაუდობდა.

ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა:

1. სრულიად თვალსაჩინოა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ქართული ენის ნორმალიზაციის სტრატეგია ისახება, ახალი სალიტერატურო ენის ძირითად ბაზის წარმოადგენს მე-19 საუკუნის

კლასიკოსთა მემკვიდრეობა, უმთავრესად ამ მონაცემებზე შენდება ქართული გრამატიკის თეორია (ა. შანიძე) და მასვე ასახავს ნორმალიზაციის უმთავრესი საფუძველი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავა). ეს ენობრივი მონაცემები კი (თვით ახალი ქართულის მშენებლობის სამი ბურჯი - ილია, აკაკი და იაკობი) **მნიშვნელოვან არაერთგვაროვნებას (ვარიანტულობას)** სთავაზობს ახალი (საუნივერსიტეტო) თაობის ენის კანონმდებლებს.

2. ისე მოხდა, რომ ქართული ფილოლოგიის (ქართველოლოგიის) პროტაგონისტების ენობრივი (ამჯერად - უკვე მეცნიერული, რაც პრაქტიკულად მათს სამეცნიერო ტექსტებშიც აისახებოდა) **პოზიცია ზევრ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული აღმოჩნდა**, რისი გათვალისწინებაც ასევე ვარიაციების სახით აჩვენებდა კვალს ნორმატიულ წყაროებს. მაგალითად, ა. შანიძეს მიაჩნდა, რომ მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი ჰ-/ს- თანამედროვე ქართულში შენარჩუნებულია (ს-თქვი, ს-ჩანხარ, ს-ძღები...), რაც სასკოლო სახელმძღვანელოებშიც აისახებოდა, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ კი აცხადებდა, რომ ეს ნიშანი უკვე დაკარგულია. ამავე დროს, მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშანი, რომელიც მესამე სერიის ფორმებშიც სავალდებულო ჩანს, განმარტებითი ლექსიკონის მისათითებელ ფორმებში არცთუ იშვიათად გამოტოვებულია (მაგ.: გაჰკვეხებია, გაჰპრანჭვია, გაჰფენია, მაგრამ: გაპასუხებია, გაბუტვია, გაბნევია, გაბაასებია, გაფხაჭნია, გაფიცვია, დაბრეცია, დაბლაუჭებია, დაფასებია...) და ორთოგრაფიული ლექსიკონიც თითქოს თავს არიდებს მათს ჩვენებას და სხვ.

3. ვფიქრობთ, ქართული ნორმალიზაციის პოლიტიკა არაპირდაპირ (არადეკლარირებულად), მაგრამ სიღრმისეულად უპასუხებდა თავისი დროის იდეოლოგიურსა და სოციალურ რეალობას. ზედაპირულად ეს მიდგომა შეიძლება დავინახოთ როგორც ლიბერალური ენობრივი პოლიტიკა ტოტალიტარული წესრიგის საპირისპიროდ და მის ახსნას, შესაბამისად, გარკვეული ნაციონალური ნიშანიც მივუსადაგოთ.

ამ მიდგომის სოციოლოგიური საფუძველი შეიძლება უფრო სიღრმისეულადაც შევაფასოთ: ენის საკანონმდებლო და საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმმართველებს შესაბამისი კონიუნქტურის პირობებში ურჩევნიათ თავიანთი ენობრივი ნება განსაკუთრებული აკრძალვების გარეშე დაამკვიდრონ, რაკი საზოგადოების ყურისა და

თვალისთვის მათ არც მედიასაშუალებების მხრივ ექმნებათ დაბრკოლება და არც სოციალური მიმდებლობის თვალსაზრისით. სხვაგვარად: **„რბილი“ ნორმატიული მიდგომა ენობრივ კანონმდებელთა სოციალური პრესტიჟით იყო კომპენსირებული.**

თუ ამგვარი გადმოსახედიდან შევაფასებთ ჩვენს დღევანდელ ვითარებას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ წინა საუკუნის **ზემოწარმოდგენილი პარადიგმა თავისი ყველა ასპექტით რადიკალურად არის შეცვლილი.** თანამედროვე პირობებმა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების ახალმა (ზოგჯერ - სრულიად გაუთვალისწინებელმა) პროცესებმა სრულიად განსხვავებული პირობები შემოგვთავაზა. ამკარაა, რომ არცერთი ზემოდასახელებული პირობა, განმაპირობებელი საუკუნისწინანდელი ენობრივი პოლიტიკისა, დღეს რეალურად აღარ არსებობს.

შესაბამისად, ენობრივი პოლიტიკის დღევანდელი პასუხი არსებული ვითარებისადმი უნდა იყოს სრულიად საპირისპირო იმისა, რის წინაშეც ჩვენ დღეს ვდგავართ, მაგრამ რაც გარდასული ტოტალიტარული სისტემის ერთგვარ გამოძახილად გვესახება. კერძოდ: **დღეს ნორმატიულმა პოლიტიკამ არსებითად უნდა თქვას უარი ვარიანტულობაზე, ანუ ლიბერალიზმზე სალიტერატურო ენის ნორმატიული უზრუნველყოფის სფეროში.**

ამ მიდგომას მთლიანად ამართლებს ის არსებითი ცვლილებები ენობრივი პოლიტიკის საფუძვლების თვალსაზრისით, რაც ქართული მწიგნობრობისა და სახელმწიფო ენის განვითარების კიდევ ერთმა განვლილმა საუკუნემ განაპირობა.

## ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### **ადამიანთან დაკავშირებული რამდენიმე ლექსიკური ერთეულისათვის აჭარულში**

დიალექტური ლექსიკა საერთო ქართულის უნიკარული სარეზერვო ფონდია. იგი ხშირად ფასდაუდებელი საგანძურია ეტი-

მოლოგიური კვლევის თვლასაზრისითაც, ამიტომაც ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება ცალკეული დიალექტების ლექსიკური მასალის მოპოვება-შეგროვება და კვლევა.

ამჯერად წარმოგიდგინთ აქარულ დიალექტში დაფიქსირებულ ადამიანთან დაკავშირებული ლექსიკის ზოგიერთ ნიმუშს. ესენია: „აკვაჭული“, „აპიკო“, „კელევერდები“, „კენკურამ“ , „გერმეხაი“, „გვაჯი“, „გორჯყო“, „ჭაპრაზა“, და სხვ.

## ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

### **ხარისხის წარმოების თავისებურებისათვის ფერეიდნულში**

ქართულ დიალექტებში, ისევე როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში შეინიშნება ხარისხის როგორც აღწერითი, ისე მორფოლოგიური წარმოება. ფერეიდნულ დიალექტში ხარისხის გამოხატვა ძირითადად აღწერითია, თუმცა გვაქვს მორფოლოგიური წარმოების რამდენიმე შემთხვევა.

ხარისხის შკალა შედარებითია. ძირითადი ფორმაა დადებითი ხარისხი, ხოლო მასთან მიმართებით გამოიყოფა კიდევ ორი: დადებითზე მეტი და დადებითზე ნაკლები. ამასთანავე, გვაქვს თანაბრობითი ხარისხის აღნიშვნის შემთხვევები.

**უფროობითი ხარისხის** მორფოლოგიური წარმოების სულ სამი ფორმა დავადასტურეთ, აქედან ერთი – **უფროსი** ფაქტობრივად გარსებობისა და მეტაურის, ხელმძღვანელის მნიშვნელობით გვხვდება, რაც შეეხება დანარჩენ ორს – **უკეთესი** და **უმცროსი** ინოვაციაა, მოგვიანებით დამკვიდრებული ფორმაა.

სხვა ფორმები უფროობითი ხარისხის მორფოლოგიური წარმოებისა, ფერეიდნულში არ დასტურდება.

შედარებითი ხარისხის წარმოება აღწერითი საშუალებით ხდება და შედარებისას გამოყენებულია ნაცვალსახელი **სუ** (ყველა), **ემ** (ეს); ზმნიზედა **იფო** (უფრო) და ასევე ნაცვალსახელები: **სუსყე**

დიდი – ყველაზე დიდი, **ემესყე** დიდი – ამაზე დიდი. თვისების აღმნიშვნელი სახელი ხარისხის გამოსახატავად ითხოვს **-ყე** ნაწილაკიან შესადარებელ სახელს: **სუსყე ნამა (ყველასგან კარგი = ყველაზე კარგი), ჩემყე დიდი (ჩემგან დიდი = ჩემზე დიდი)**.

**-ყე** ნაწილაკიან (თანდებულის მნიშვნელობით) ნაცვალსახელთან შეიძლება შეგვხვდეს **დიდი, მეტი, მალა, ზაიტა...**

ამ კონსტრუქციის შექმნაში **-ყე ნაწილაკი** მონაწილეობს **-გან თანდებულის** მნიშვნელობით.

სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ხარისხის გამოხატვის ეს კონსტრუქცია სპარსული ენის გავლენითაა გაჩენილი. შედარებითი ხარისხი სპარსულში იწარმოება az წინდებულის მეშვეობით, რომელიც ქართულში **გან-** თანდებულის მნიშვნელობისაა [რამიშვილი 2018: 50].

ცნობილია, რომ საშუალო ქართულში სპეციფიკური იყო **-გან** თანდებულიანი ფორმების უფროობით ხარისხთან გამოყენება, ამის კვალს ჩვენ ფერეიდნულ დიალექტში ვხვდებით. რადგან ფერეიდნულში **-ყე** ნაწილაკმა იტვირთა **-გან** თანდებულის ფუნქცია, ბუნებრივია, რომ სხვა ფუნქციებთან ერთად შეინარჩუნა შედარებითი ხარისხის ფორმის წარმოების ძალაც. სპარსულში არსებული az წინდებულიანი კონსტრუქცია კი, ვფიქრობთ, დამატებითი ფაქტორი გახდა ფერეიდნულში უფროობითი ხარისხის ამ კონსტრუქციის დამკვიდრებისათვის.

ამ კონსტრუქციის გვერდით შედარებითი ხარისხის აღწერითი წარმოებისას გამოიყენება ზმნიზედა **იფო** (უფრო), ამ შემთხვევაში იგულისხმება ორივე შესადარებელი საგანი, კონტექსტი გვაძლევს ინფორმაციას ამის შესახებ, მაგრამ არ გვხვდება მოსალოდნელი ზმნიზედური წყვილი: **უფრო – ვიდრე** და არც ქართულისთვის დამახასიათებელი **-ზე** თანდებულიანი შესადარებელი საგანი.

*აფუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია, მოსხილებია. ბოინელნი იფო ფაქიზა ხალღებია, სუფთა (= ბოინელები უფრო ფაქიზი ხალხია, ვიდრე დანარჩენები)* [ქდკ, სეიფოლა იოსელიანი].

თვისების ხარისხი, ისევე, როგორც ქართულში, შეიძლება გამოიხატოს **ძრიალ** (ძლიერ) ზმნიზედის მეშვეობით: *ურუჯყურბევი ძრიალ ნამაი კაცი ყოფილა* [ქდკ, რეზო ხუციშვილი].



ფერეიდნული დიალექტი თვისების ხარისხის საწარმოებლად სხვა ქართული დიალექტების მსგავსად იყენებს ასევე ფუძეგაორკეცებულ ზედსართავებს: **ტყელ-ტყელი, პატ-პატა, წითელ-წითელი.**

ამ შემთხვევებში საგნის თვისება გამოხატულია არა შედარების საშუალებით, არამედ, ზოგადად, მისი ხარისხის ოდენობის ჩვენებით.

რაც შეეხება **ოდნაობითი ხარისხის** მორფოლოგიური წარმოების ფორმებს, მათ ფერეიდნული აწარმოებს მო-ო კონფიქსებით: **მოზერო, მოგიანო, მოგებლო, მოდიდო, მოზდო:** ამისყენ **მოდიდო'** რი; ჩემყე **მოზერო** იყო.

ისევე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, ფერეიდნულში თანაბრობითი ხარისხის წარმოებისას გამოყენებულია ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი სისქე, სიდიდე. ისინი მონაწილეობენ თანაბრობითი ხარისხის გამოხატვაში: **ეჟსიდე, ეჟსისქე, ეჟსისხე, ეგსიდიდე, ეგსიდე, ეგსიდე-ეგსიდეხი; ეგსიდ-ეგსიდე; ეგდიდი / ეგდიდე; ეგსიმაღლე:** ერთ **ეჟსიდე** ჳრელი დოოგდიტყე; **ეჟსისქე** მორჩები ძქონდა, ე, ემხელა **ეჟსისხე** იყო [ქდკ, სედიყე ასლანი].

## მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

### **ხოლმეობითის მწკრივების აღწერის საკითხისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში**

ტერმინი **ხოლმეობითი** მრავალგზისობის მნიშვნელობის გამოხატველი მწკრივების აღსანიშნავად გამოიყენება. მეორე და მესამე სერიაში გამოყოფილ ამგვარ მწკრივებს (როგორც სალიტერატურო ქართულისთვის, ისე დიალექტებისთვის), სერიის მითითება დაერთვის: II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი (ხეც.). უფრო რთულად გვაქვს საქმე პირველი სერიის შემთხვევაში.

თანამედროვე ქართულში **ხოლმეობითის** სახელით მოიხსენიება პირველი სერიის მწკრივი, რომელიც ე. წ. მყოფადის წრის მწკრი-

ვებში ერთიანდება და წარსული დროის, თხრობითი კილოს მრავალგზის მოქმედებას გამოხატავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მწკრივის აღსანიშნავად ხოლმეობითის გვერდით სხვა ტერმინებიც გამოიყენება: I ხოლმეობითი, უწყვეტელ-ხოლმეობითი, ნამყო უსრულის ხოლმეობითი, პირობით-ხოლმეობითი // პირობით მრავალგზისი, ხოლმეობით-შედეგობითი...

ტერმინი I ხოლმეობითი ასევე გამოიყენება ძველ ქართულში დადასტურებული მწკრივის – ე.წ. უწყვეტლის ხოლმეობითის სინონიმად.

ასე რომ, თანამედროვე (სალიტერატურო და დიალექტური) და ძველი ქართულის ზმნური ფორმაწარმოების ორი სხვადასხვა პარადიგმის აღსანიშნავად გამოყენებულია ომონიმური ტერმინი – I ხოლმეობითი:

უწყვეტელი	I ხოლმეობითი // უწყვეტელ-ხოლმეობითი	I ხოლმეობითი // უწყვეტლის ხოლმეობითი
ვაკეთებდ(ი)	გა-ვაკეთებდ-(ი)	(გა)ვაკეთებდ-ი
აკეთებდ(ი)	გა-აკეთებდ-(ი)	(გა)აკეთებდ-ი
აკეთებდ-ა	გა-აკეთებდ-ა	(გა)აკეთებდ-ი-ს
ვაკეთებდ(ი)-თ	გა-ვაკეთებდ-ი-თ	(გა)ვაკეთებდ-ი-თ
აკეთებდ(ი)-თ	გა-აკეთებდ-ი-თ	(გა)აკეთებდ-ი-თ
აკეთებდ-ეს // აკეთებდ-ნენ	გა-აკეთებდ-ნენ	(გა)აკეთებდ-ი-ან

ასეთი ტერმინოლოგიური „გადაფარვა“ გამართლებული იქნებოდა, ახალი ქართულის ფორმები ძველი ფორმების კანონზომიერი განვითარებით რომ იყოს მიღებული, მაგალითად, ფონეტიკური ცვლილების, ან მორფოლოგიური მაწარმოებლის ჩანაცვლების (შდრ. დგება/დგების ვნებითი გვარის ზმნებში) შედეგად, მაგრამ ეს ასე არ არის: უწყვეტლისა და ე. წ. უწყვეტელ-ხოლმეობითისაგან განსხვავებით ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებში -ი სუფიქსი ფონეტიკური ჩანართი კი არა, სრულფასოვანი მორფოლოგიური ელემენტი, ხოლმეობითის მწკრივის მაწარმოებელი სუფიქსია

და ეს ორი მსგავსი პარადიგმა სრულიად განსხვავებული წარმოებისაა.

ეს ტერმინოლოგიური აღრევა ნაკლებად შესამჩნევი დარჩა ცალკეული ქვესისტემის ფარგლებში გამოყენებისას, მაგრამ საგრძნობ დაზნეულობას იწვევს დიასისტემური სურათის აღწერის დროს.

ქართული დიალექტური და ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსების მორფოლოგიური ანოტირების სისტემის შემუშავებისას განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდა პრობლემები, რომლებიც ამგვარ ტერმინოლოგიურ არაერთგვაროვნებას ახლავს. ანოტირების სქემა, რომელსაც უნდა აესახა ქვესისტემური სხვაობებიც, ვერ დაუშვებდა აღმწერ მახასიათებელთა სქემებში ტერმინოლოგიურ დუბლიკატებს ან ტერმინოლოგიურ ომონიმებს. მაგალითად, ვერ მივიღებდით უწყვეტლის ხოლმეობითის აღმნიშვნელ ორ მახასიათებელს ორი სხვადასხვა მწკრივის აღსაწერად – ახალი ქართულისა და ძველი ქართულისათვის.

ტერმინოლოგიისა და მახასიათებელთა უნიფიცირების შემდეგ ქართული ხოლმეობითისთვის გამოიყო შემდეგი მახასიათებლები:

სერია	მწკრივის დასახელება	ტერმინის შესატყვისი	მახასიათებელი
I სერია	ხოლმეობითი(პირობითი) (გააკეთებდა // გააკეთებდნენ)	Conditional	Cond
I სერია	I ხოლმეობითი	Iterative I	Iter I
II სერია	II ხოლმეობითი გააკეთის // გააკეთიან	Iterative II	Iter II
III სერია	III ხოლმეობითი	Iterative III	Iter III

**ხოლმეობითი (პირობითი)** – არის აკაკი შანიძის კლასიფიკაციით I ხოლმეობითად სახელდებული მწკრივი. მწკრივის სახელად სხვა მკვლევართა ნაშრომებში, როგორც ითქვა, სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული: ვაკეთებდ(ი), აკეთებდ(ი), აკეთებდა, ვაკეთებდ(ი)თ, აკეთებდ(ი)თ, აკეთებდნენ.

**I ხოლმეობითი** – ეს არის ძველი ქართულისა და დიალექტების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელი მწკრივი, I სერიის ორგანული წარმოების ხოლმეობითი, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა ტერმინითაა აღნიშნული სხვადასხვა ავტორთან: ვაკეთებდ-ი, აკეთებდ-ი, აკეთებდ-ი-ს, ვაკეთებდ-ი-თ, აკეთებდ-ი-თ, აკეთებდ-ი-ან.

**II ხოლმეობითი:** მეორე სერიის „კლასიკური“ ხოლმეობითი: ვაკეთ-ი, აკეთ-ი, აკეთ-ი-ს, ვაკეთ-ი-თ, აკეთ-ი-თ, აკეთ-ი-ან.

**III ხოლმეობითი:** მხოლოდ ხევსურულში დადასტურებული მწკრივი: (გა)-მ-ე-ლევ-ი-ს...

როგორც ვხედავთ, ტერმინმა „ხოლმეობითი“ (Iterative) მოიცვა ძველი ქართულისა და დიალექტების ორგანული წარმოების ფორმები (I, II, III), ხოლო ახალი ქართულის „უწყვეტელ-ხოლმეობითი“, იგივე პირობითი, იგივე ხოლმეობით-მრავალგზისი და ა. შ. აღნიშნა მახასიათებლით Cond.

ტერმინ **ხოლმეობითის** მაგალითი კიდევ ერთხელ მკაცრად შეგვახსენებს, რომ ტერმინოლოგიური უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიისა და ტერმინოგრაფიის მტკიცებულ თემად რჩება.

## თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

### ერთი სახის შესიტყვებათა გამოყოფისათვის

სინტაქსის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია შესიტყვების სტრუქტურა, მისი გამოყოფის პრინციპები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წინადადების აგებულება და ზოგჯერ სიტყვათა წყობაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წყვილის წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან გარკვეული გრამატიკული (სინტაქსური) თუ აზრობრივი ნიშნით. სწორედ ამიტომაც, რომ სინტაგმას ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება დაედოს საფუძვლად, აუცილებელია, რომ ისინი ერთმანეთს **სინტაქსური** (ამასთანავე, აზრობრივიც) **ნიშნით** უკავშირდებოდნენ.

საინტერესოა, როგორ გამოიყოფა შესიტყვებები შემდეგი ტიპის კონსტრუქციებში: **გუშინ ჩამოსული** ამხანაგი//ვნახე – **გუშინ**//ჩამოსული ამხანაგი **ვნახე**; **დღეს მოსული** წერილი// **არ მინახავს** – **დღეს**// მოსული წერილი **არ მინახავს**. ზოგი შეხედულებით, ინტონაციის სტრუქტურულად მადიფერენცირებელი როლი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც დაქვემდებარებულ წევრს ან საერთოდ არ აქვს გრამატიკული ფორმები, ან დაქვემდებარებული წევრი სხვადასხვა გაბატონებულთან საზიარო ფორმით არის წარმოდგენილი [დავითიანი 1973: 156].

დასახელებულ შემთხვევებში ინტონაცია ვერ განსაზღვრავს შესიტყვების გამოყოფას, ის ამის საფუძველი ვერ იქნება. აქ ორგვარი გააზრება შეიძლება იყოს: **გუშინ ვნახე** და **გუშინ ჩამოსული მეგობარი**, **დღეს მოსული წერილი** და **დღეს არ მინახავს**. რამდენადაც წინადადებათა წევრების რიგი მოცემულ კონსტრუქციებში შინაარსობრივი დაკავშირების განმსაზღვრელია, ამიტომ სწორედ ამის მიხედვით უნდა გამოიყოს სინტაგმებიც. დასახელებულ შემთხვევებში ვერ გავიაზრებთ ამგვარად – **გუშინ ვნახე**. აქ ხაზგასმაა **გუშინ ჩამოსული**. მართალია, სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში **მირთვა** იქნება, რადგან პირველი წევრი უფორმო სიტყვაა და მისი მიმართება ისეთივეა, როგორიც ზმნასთან, მაგრამ რომელი წევრები შექმნიან შესიტყვებას, ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ წინადადებებში სამწევრა, ერთი შეხედვით აზრობრივად დაუმლელ სინტაგმებს ვერ გამოვყოფთ (გუშინ ჩამოსული მეგობარი, დღეს მოსული წერილი). დროის გარემოებები (გუშინ, დღეს) ამ შემთხვევებში შესიტყვებას არ ქმნიან ზმნებთან (გუშინ ვნახე, დღეს არ მინახავს), რადგან მოცემულ სტრუქტურაში ისინი სინტაქსურად სახელზმნებს (ჩამოსული, მოსული) უკავშირდებიან. აღნიშნულ ფორმებში ვერ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ აზრობრივი შეთანხმებით, მთავარი გრამატიკული

(სინტაქსური) დამოკიდებულება. ამიტომ სინტაგმები ამგვარად გამოიყოფა:

გუშინ ჩამოსული მეგობარი ვნახე:

1. მეგობარი ვნახე
2. **გუშინ ჩამოსული**
3. ჩამოსული მეგობარი

დღეს მოსული წერილი არ მინახავს:

1. **დღეს მოსული**
2. წერილი არ მინახავს
3. მოსული წერილი

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა მ ე

## **აფსურ-აბაზური ლექსიკის სემანტიკური ისტორიიდან: ცხენი და ირემი; პური და მწყერი**

ენის ლექსიკური მარაგის შესავსებად და ახალ ცნებათა სიტყვიერი ასახვისათვის, ასევე ომონიმისა და პოლისემიის თავიდან ასარიდებლად აფსურ (აფხაზურ) ენაში სხვადასხვა ხერხები გამოიყენება: აფიქსაცია, რედუპლიკაცია, კომპოზიცია, ფონეტიკური პროცესის ლექსიკალიზაცია, კალკირება... ამჯერად განვიხილავთ ორ მაგალითს:

1. **ცხენი** აფსურად აღინიშნება ა-ჩაგ სიტყვით, შდრ. აბაზური ჩაგ. მოცემული სიტყვის არქეტიპად როგორც აფსურ, ისე აბაზურ სამეტყველო ვარიანტებში უდავოდ აღდგება ჩა სახეობა, თუმცა პრაქტიკულად აქ რეკონსტრუქცია არც არის საჭირო, ვინაიდან აბაზურშიც და აფსურშიც დამოუკიდებელ სიტყვად არსებობს ირმის აღმნიშვნელი (ა-)ჩა ვარიანტი. იგივე არქეტიპული ჩა სემანტიკურ-ერთ-ერთ კომპონენტადაა წარმოდგენილი როგორც აფსურ დია-

ლექტებში, ისე სალიტერატურო ენაში ირმის აღმნიშვნელად გამოყენებულ შემდეგ კომპოზიტებში:

ფურირემი: აზნა-ჩა (ზედმიწ.: „ტყის ჩა“) // აზგნ-ჩა (ზედმიწ.: „ტყის ჩა“) // აზნა-ჩა-ჟ (ზედმიწ.: „ტყის-ჩა-ფური“);

ხარირემი: აზნა-ჩა-ც (ზედმიწ.: „ტყის-ჩა-ხარი“) // აზგნ-ჩა-ც (ზედმიწ.: „ტყის-ჩა-ხარი“).

ამ მონაცემების საფუძველზე წინარეაფსუურ-აბაზური ენის დონეზე უნდა აღდგეს ამჟამინდელთან შედარებით უფრო ფართო სემანტიკის მქონე სიტყვა ჩა „1. ცხენი; 2. ირემი“, რომელიც რეალურად დარჩა ირმის მნიშვნელობით აბაზურში (სინონიმად გვხვდება ს<sup>ა</sup>რახ „ნადირი; ირემი“ სიტყვა), ხოლო აფსუურში დაირთო ტყის, ფურისა და ხარის აღმნიშვნელი ფუძეები. იმავე აფსუურმა მოხუცთა მეტყველებაში შემოინახა იგივე სიტყვა ირმის სახელად.

**ცხენის** ცნების აღსანიშნად აფსუურ-აბაზურ ტერიტორიულ მიკროვარიანტებში დამკვიდრდა ჩა არქექტიპისაგან ა > გ ფონეტიკური ცვლის შედეგად წარმოქმნილი (ა-)ჩგ სახეობა.

რა მოტივი აერთიანებდა ირმისა და ცხენის ერთი საზიარო სიტყვით აღნიშვნას? ვფიქრობთ, ამ ცხოველთა მსგავსება: ფურირემი და ცხენი შორიდან ძნელი გასარჩევია, ორივე ცხოველი ძალიან სწრაფია და ა. შ.

შენიშვნა: **ხარირმის** მნიშვნელობით იმავე აფსუურში დასტურდება აგრეთვე ა-ც „ხარი“ სიტყვაც, კერძოდ, სექტემბრის ძველი სახელი ცგ-ბბრა(-მზა) „ხარის, ე. ი. ხარირმის ბუბუნის, ყვირილის (თვე)“, შდრ. ცგ-ბბგ-ნ „მყვირალობა“ (ზედმიწ.: „ხარის ბუბუნის დრო“).

2. აფსუურ დიალექტებში პური არის ა-ჩა, შდრ. აბაზ. ჩა, აფს. ჩა-რ<sup>ა</sup> „ქორწილი“ (ზედმიწ.: „პურობა“), აბაზ. ჩა-რ<sup>ა</sup> „ჭამა“ (ზედმიწ.: „პურობა“). აფსუურში იგივე ა-ჩა სიტყვა წინ გადმონაცვლებული მახვილით აღნიშნავს **მწყერს**.

ვვარაუდობთ, რომ **პურისა** და **მწყერის** ცნებები თავდაპირველად ერთი (ა-)ჩა სიტყვით გადმოიცემოდა, მაგრამ ომონიმიის თავიდან აცილების საჭიროებამ განაპირობა მახვილის გადანაცვლებით დამლეულიყო პრობლემა. რაც შეეხება იმას, თუ რა განაპირობებდა ერთი და იმავე სიტყვის პურისა და მწყერის ცნებათა გადმოსაცემად გამოყენებას, აღვნიშნავთ, რომ ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს, ვინაიდან საფუძველი ის გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ სამოსახლო

პუნქტების სიახლოვეს **მწყერი უპირატესად მარცვლეულის ყანებში ბინადრობს და მარცვლით იკვებება**. ანალოგიისათვის დავასახელებთ ქართულიდან ნასესხებ ა-ჩალა ( $<$  ქართ. **ჩალა-ი**) სიტყვას, რომელიც აფსუურში ერთდროულად აღნიშნავს **ლელქაშს, ლერწამს, ჩალამკალამს** და პატარა ჩიტს, **მეჩალიას**, რომელიც ლაქაშიან ადგილებში ბინადრობს. ამრიგად, მწყრისა და მეჩალიას აფსუური სახელები ფრინველების ბიოტოპითაა მოტივირებული (თ. გვანცელაძე, 2011, გვ. 310). მაშასადამე, მახვილის გადანაცვლება ენამ გამოიყენა ახალი მნიშვნელობის გადმოსაცემად და ომონიმიის თავიდან ასარიდებლად, მდრ. აბაზ. ა-შა „ძმა“  $>$  ა-შა „ბიძა“.

## გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

### ორი ქართული სიტყვის ისტორიისათვის: მაწონი და აპეური

1. **მაწონი**. მოარული მოსაზრების მიხედვით, სიტყვა **მაწონ-ი** სომხური წარმომავლობისაა. ამ მოსაზრებას არ ახლავს რაიმე სახის არგუმენტი და ემყარება მხოლოდ იმას, რომ მაწონს სომხურად ქართული სახელწოდების მსგავსი სახელი აქვს: **მაწუნ**. ჩვენი აზრით, პირიქით უნდა დავასკვნათ: სომხური **მაწუნ** სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გასაღებს გვაწვდის მეგრულში არსებული ვარიანტები: **მარწვენი // მარწვინი** „მაწონი“ (ო. ქაჯაია, 2001, გვ. 224), რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს **წველა** ზმნას, ოღონდ აქ ქართულ დიალექტთა **წ** თანხმოვნისანი სახეობა გვაქვს, რომლის ისტორია ასე წარმოიდგინება:

**\*ნაწუელ-ი**  $>$  **\*მაწუელი** (სონორის ცვლა)  $>$  **\*მაწუენი** (კვლავ სონორის ცვლა)  $>$  სამწიგნობრო **მაწონი** (დიფთონგის რეოკალიზაცია)  $>$  მეგრ. **მარწვენი** (დიფთონგიზაცია და **რ** სონორის განვითარება)  $>$  მეგრ. **მარწვინი** (ხმოვნის ცვლა).



რაც შეეხება სომხურ **მაწუნ** ვარიანტს, იგი ქართული **მაწონი** ფორმისგან უნდა მომდინარეობდეს **ო > უ** პროცესის, ანუ ხმოვნის აწეულობის ცვლის შედეგად.

2. **აპეური** – „უღლის თოკი, ან თასმა“. სიტყვის ფორმა **აპაური** „ტაბიკის თოკი“ დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში (საბა, 1991, გვ. 58). მისგან მომდინარე **აპეური** ვარიანტი დასტურდება უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (ქართლურში, კახურში...), აგრეთვე ზოგ დასავლურ დიალექტშიც: იმერულში, რაჭულში... **აპაური** ფორმისგან მომდინარე **აპოური** სახეობა წარმოდგენილია ქვემოიმერულში (პ. გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 16). **აპოური** ფორმის მომდევნო საფეხურია გურული **ამპოური** (< **აპოური**) (ა. ლლონტი, 1984, გვ. 35). ინგილოურში ერთმანეთის პარალელურად ორი ფონეტიკური ვარიანტი არსებობს: **აპეურ** და **აპრგრ** სახეობები (ვ. აბაშვილი, 2009, გვ. 25), რომლებიც სხვადასხვა გზითაა მიღებული აპაური ფორმისაგან; მეგრულშიც პარალელურად დასტურდება **აპეური** და მისგან მომდინარე **ამპური** ვარიანტები (ო. ქაჯაია, 2001, გვ. 185). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმერული კილოს მონაცემები, სადაც გვაქვს კილოკაურად განსხვავებული ოთხი ვარიანტი: ზ. იმერ. **აპეური** // > ქვ. იმერ. **აპოური**, ზ. იმერ. **აპყოური** და ქვ. იმერ. **აყოური** (ა. ლლონტი, 1984, გვ. 38). ჩვენი აზრით, იმერულ კილოკავებში გავრცელებული ამ 4 ვარიანტიდან საანალიზო **აპაური** // **აპეური** სიტყვის უძველეს ფორმასთან ყველაზე ახლოს ქვემოიმერული **აყოური** ფორმა უნდა იდგეს: სულხან-საბას ლექსიკონში წარმოდგენილი **აპაური** ფორმას ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა **\*აყბაური** ვარიანტი, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობდა **\*ყაბა-ურ**-ისაგან. ჩვენი ვარაუდი ემყარება პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მოსაზრებას: **ყბ-ა**, შდრ. ძვ. ქართ. **ნი-ყბ-ერი** „ყბა“ („იმრვის **ნიყბერი**“, იხ.: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“. გამოსცა ილ. აბულაძემ. თბ., 1964, გვ. 159), სვან. **ჰა-ყბ-ა** „ყბა“ და **ყაბ** „წვერი“ (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990, გვ. 360).

შესაბამისად ყბის აღმნიშვნელ ფორმათაგან უძველესი უნდა იყოს სვანურში შემორჩენილი **ჰაყბა** ვარიანტი, რომლის ამოსავალი იყო **\*ჰაყაბა** „ყბა; წვერი“: **\*ჰაყაბა** „ყბა; წვერი“ > **ჰაყბა** (რეალურად შემონახულია სვანურში) > **\*ყაბა** > ერთი მხრივ **ყაბ** „ყბა, წვერი“

(შემორჩენილია სვანურში წვერის სემანტიკით) და მეორე მხრივ **\*აყ-ბა** > ძვ. ქართ. **ყბა**.

რაც შეეხება სულხან-საბასეულ **აბა-ურ-ი** და იმერულ **აყბო-ურ-ი** // **აყყო-ურ-ი** ვარიანტებს, ისინი მომდინარეობენ **ჰაყბა** ფორმისაგან **-ურ** სიტყვათმწარმოებელი სუფიქსის დართვით შემდეგი გარდაქმნების გზით: **\*ჰაყბა-ურ-ი** „ყბისა, აპეური“ > **ჰაყბა-ურ-ი** > **\*აყბა-ურ-ი** > **აყბა-ურ-ი** (შდრ. ქვ. იმერ. **ყბა-ი** „ყბა“: **ყბაი** მტკივა) > ზ. იმერ. **აპყა-ურ-ი**.

ამრიგად, უკვე უძველეს ტექსტებში დადასტურებული სიტყვა **ყბა** უნდა იყოს საბასეული **აბა-ურ-ი** და თანამედროვე **აპე-ურ-ი** ვარიანტების ამოსავალი ფორმა, ხოლო ქვემოიმერულსა და ზემო-იმერულ კილოკავებს შემოუნახავთ საბასეული **აბა-ური** (**\*აყბა-ურ-ი** < **\*აყბა-ურ-ი** < **\*ჰაყბა-ურ-ი**) სახეობის ისტორიული გზის მიმნიშნე-ბელი შუალედური, გარდამავალი ფორმები.

## ლინ და გიორგაძე

### შესამოსელი – საეკლესიო ტერმინი

საეკლესიო და, ზოგადად, სასულიერო სფეროსთან დაკავშირებული ტერმინების კვლევის მნიშვნელობაზე პირველად არ ვამახვილებთ ყურადღებას. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება აქტიურად მუშაობს საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონის შედგენაზე, რასაც წინაპირობად სიღრმისეული კვლევები სჭირდება, რადგან ამ თემატიკის ტერმინთა მეცნიერული დამუშავების პრაქტიკა თანამედროვე სინამდვილეში, სამწუხაროდ, ახალია. კვლევა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმისათვის, რომ არასწორი დასკვნები ავირიდოთ.

საყურადღებოა თარგმნით ლექსიკონებში ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიის ასახვის ტენდენციაც. ამ თვალსაზრისით ვიკვლიეთ XIX-XX საუკუნის ლექსიკონები. ტერმინთა სიუხვით გამო-

ირჩევა ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, ხოლო საბჭოთა პერიოდში შედგენილ ლექსიკონებში ჩვენთვის საინტერესო მასალა ნაკლებადაა ასახული, უმეტესად საერთოდ ავლილი აქვს გვერდი სასულიერო თემატიკასთან და ღმერთთან დაკავშირებულ გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად, აღვწრეთ ხსენებული ლექსიკონები „*For*“ ფუძით ნაწარმოები სიტყვების ასახვის თვალსაზრისით. ნიკო ჩუბინაშვილთან ამ ძირით დაწყებული 56 ლექსიკური ერთეული დასტურდება, საბჭოთა ლექსიკონებში (ვგულისხმობთ სამტომეულ [1956-59] და ერთტომეულ [1983] ლექსიკონებს) სულ 10 ერთეულია<sup>1</sup>. მკაფიო განსხვავებაა თვით სიტყვა-სტატიებშიც. თუმცა, შეუძლებელია ამ ტერმინთა თანამედროვე ლექსიკონებში საფუძვლიანი კვლევის გარეშე გადატანა, რადგან ხშირად მათი მნიშვნელობები შეცვლილი ან დავიწროვებულია.

ჩვენი მოხსენება იქნება საკითხის დასმა ტერმინი „შესამოსლის“ საეკლესიო მნიშვნელობის გამოკვეთის შესახებ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვის ასეა განმარტებული: „*შესამოსელი*: 1. იგივეა, რაც *ტანსაცმელი*, *სამოსელი*. 2. ვინც უნდა შემოსონ ან შეიმოსოს. 3. ძვ. „*სამღვდლო სამოსელი*“ (დ. ჩუბინაშვილი)“: როგორც ვხედავთ, ამ სიტყვის სასულიერო სფეროსთან კავშირი მოძველებულადაა მიჩნეული, რაც, ვფიქრობთ, თანამედროვე ვითარებას არ შეესაბამება. ჩვენი აზრით, სწორი იქნება, თუ ეს ტერმინი დღეს საეკლესიო ტერმინად დამკვიდრდება, ამის დასასაბუთებლად კი სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროდან მოგვყავს არგუმენტები. მაგალითად, ჯერ კიდევ სულხან-საბასთანა სიტყვა *შესამოსელი* სამღვდლო სამოსის მნიშვნელობით. იგივე ვითარებაა ნიკო და დავით ჩუბინაშვილების რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ტერმინის განზოგადებული მნიშვნელობა, ძირითადად, მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ლექსიკონებში იკვეთება: „რუსულ-ქართულ ერთტომეულ ლექსიკონში სიტყვა **облачение**-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. შემოსვა. 2. შესამოსელი, სამოსელი (ლექსიკონი 1983)“. ასეთივე ვითარებაა სამტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც. მოხსენებაში წარმოვადგენთ სხვა ლექსიკოგრაფთა ნაშრომებში ასახულ ვითარებასაც (ილია

---

<sup>1</sup> იხ. „საეკლესიო ტერმინოლოგია XIX-XX საუკუნეების რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონებში“, ჟურნ. „ტერმინოლოგიის საკითხები“, III;

აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონები, XXI საუკუნეში გამოცემული რუსულ-ქართული, ინგლისურ-ქართული ლექსიკონები და სხვა).

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, „შესამოსელი“ თანდათან ივიწროვებს მნიშვნელობას და თანამედროვე ენაში საეკლესიო ლექსიკაში ინაცვლებს.

## გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

### **იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ XXI საუკუნეში**

(„დაბადებიდან“ 145 წლისთავზე)

ითქვა: „**დედაენის**“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“ (გრიგოლ აბაშიძე).

გვჯერა: საანბანე წიგნის პირველი გაკვეთილი „ია. აი ია“. არის ეპოქალური მიგნება; ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენა ჩვენი კულტურის ისტორიაში...

გვწამს: „**დედაენამ**“ ახალი ქართული სლიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში შეასრულა ისეთივე როლი, როგორც თავის დროზე „წმინდა ოთხთავმა“ და „ვეფხისტყაოსანმა“...

XIX საუკუნეში „დედაენამ“ საგანმანათლებლო სივრცეში იოლად გაიმარჯვა კონკურენტ საანბანე წიგნებზე და დაიმკვიდრა თავი ეროვნულ სკოლაში. ესტაფეტა მიიღო XX საუკუნემ.

XX საუკუნეში მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი...

1912 წელს განხორციელდა იაკობის სიცოცხლეში ბოლო გამოცემა: I (საანბანე) ნაწილისა – XXXIII გამოცემა; II (საკითხავი) ნაწილისა – XXVII გამოცემა. იაკობმა ანდერძით „დედაენის“ გამოცემის უფლება გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“

ბელ საზოგადოებას“... უკანასკნელი ნატურა ყოფილა იაკობ გოგებაშვილისა: „ქშწკგ საზოგადოებამ შეძლოს „დედაენის“ პატრონობაო“... ამ საზოგადოებამ უკანასკნელად 1925 წელს გამოსცა „დედაენა“, რომლის ავტორად (შემდგენლად) იწოდებოდა იაკობ გოგებაშვილი... შეწყვიტა არსებობა ქშწკგს-მ და შეწყდა „დედაენის“ გამოცემაც...

ამის შემდგომ, 1935 წლიდან მთელი XX საუკუნის განმავლობაში გამოდიოდა საანბანე წიგნები „**იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით**“ შედგენილი სხვადასხვა პირთა მიერ... ზოგი შემდგენლად ეწერებოდა, ზოგიც – ავტორად! ზოგს აწერია „გოგებაშვილის მიხედვით“, ზოგს ისიც არ აწერია... ცვლიდნენ იაკობის საკუთრებაში რაც უნდოდათ და როგორც... ხელყოფა ხდებოდა დაურიდებლად... ირყვნებოდა წმინდა წიგნი... ასე, „ი. გოგებაშვილის მიხედვით“ გამოიცა ოცამდე „დედაენა“ (!)...

#### **XXI საუკუნეში –**

**2007 წელს** იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის გადასარჩენად, საპატრონოდ, იაკობის იდეების გასაცოცხლებლად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა **იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება**.

განსაკუთრებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის წვლილი ამ საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში (დამფუძნებლები: **მეუფე სტეფანე** კალაიჯიშვილი, **დეკანოზი კონსტანტინე** გიორგაძე, **ანა კალანდაძე**, **მიხეილ ქურდიანი**, **ავთანდილ არაბული**, **გიორგი გოგოლაშვილი** და **იოსებ ჭუმბურიძე**); საზოგადოების საქმიანობას წარმართავს გამგეობა (თავმჯდომარე **დეკანოზი კონსტანტინე**, თანათავმჯდომარე **გ. გოგოლაშვილი**, მდივანი **დ. ღლონტი**).

საზოგადოებამ მიზნად დაისახა: სკოლას დაუბრუნდეს „დედაენა“ იაკობის ავტორობით; წერტილი დაესვას ი. გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას... ამისათვის საჭირო გახდა:

2007 წელს ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ (შემდგომში: საზოგადოებამ) მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „დედაენისათვის“ (საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეული მეთოდისათვის) მიენიჭებინა არამატერიალუ-

რი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი (2013 წლამდე ამაო ბრძოლა; ეს ვერ მოხერხდა...).

2007 წელს დეკანოზ კონსტანტინეს ინიციატივით მომზადდა ი. გოგებაშვილის „დედაენა“ – სასაჩუქრე გამოცემა (რედაქტორები ნანა მაჭავარიანი, დოდო ღლონტი);

2008 წელს ჩაატარდა საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია („იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“); შედეგი: არსებობა შეწყვიტა რამდენიმე „მიხედვით შედგენილმა“ „დედაენამ“...

2009 წელს საზოგადოებამ გრიფირებისთვის მოამზადა ი. გოგებაშვილის „დედაენა“ (რედაქტორი დეკანოზი კონსტანტინე, ჯგუფის ხელ-ლი დ. ღლონტი, კონსულტანტი გ. გოგოლაშვილი). წიგნს სხვა ცხრა „ავტორის“ (!) „დედაენასთან“ ერთად მიენიჭა გრიფი... 1925 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, „დედაენა“ იაკობის ავტორობით რომ გამოვიდა და დაუშვეს სკოლაში, მაგრამ 2011 წელს გაუქმეს გრიფი და ამოიღეს სკოლიდან (ე.წ. „ავტორთა“ და გამომცემლობათა კერძო ინტერესებმა გაიმარჯვა)...

**2013 წლის 12 მარტს** კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებით **„დედაენას“** (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) მიენიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი**;

2014 წლის 14 აპრილს **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – „დედაენას“** (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) საქართველოს მთავრობის დადგენილებით **განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია** (საზოგადოების თხოვნით დასკვნა მოამზადა და მთავრობასთან იშუამდგომლა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ);

2014 წელს საზოგადოებამ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად ინიციატივით მიმართა კულტურის სამინისტროს **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურისათვის“** მიენიჭებინა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;

**2015 წელს** **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“** მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლის სტატუსი და განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია; („დედაენა“ ამ ნომინაციის ერთი ძირითადი ელემენტია!); ამავე წელს ეს ეროვნული ძეგლი წარდგენილი იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის.

**2016 წლის 30 ნოემბერს** იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათშორისო კომიტეტმა მე-11 სესიაზე ადის-აბეზაში (ეთიოპია) „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ **არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა და შეიტანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში.** ასეთი პატივი მსოფლიოს არცერთ ანბანს არ ღირსებია (შესაბამისად, არც საანბანე წიგნს!)

**2019 წლის აპრილში** საზოგადოების ინიციატივით პარლამენტმა დაამტკიცა **ცვლილება „ზოგადი განათლების“ კანონში** იმის შესახებ, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს შეიმუშავებს და წარადგენს გრიფირებისათვის **სპეციალიზებული კომისია**; კომისია იქნება მუდმივმოქმედი და კომპლექსური (ამ ცვლილებას „დედაენის“ კანონის სახელითაც მოიხსენიებენ). კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე შედგენილი ნებისმიერი სახელმძღვანელო მხოლოდ ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე გადაეცემა გრიფირებისათვის...

2019 წლის აპრილში განათლების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სპეციალიზებული კომისია (თავმჯდომარე – განათლების მინისტრი მ. ბატიაშვილი, მოადგილე – ა. არაბული, წევრები – გ. გოგლაშვილი და სხვ...); კომისიამ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ 1912 წლის გამოცემის საფუძველზე მოამზადა ახალი სახელმძღვანელო „დედაენისა“: მოსწავლის წიგნი (I და II ნაწილი), მოსწავლის რვეული, წერის დედანი და მასწავლებლის წიგნი... და ამ წლიდან საქართველოს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელი საჩუქრად იღებს სახელმძღვანელოს – **„დედაენა“ შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.**

XXI საუკუნეში აღსულდა ნატვრა ი. გოგებაშვილისა – „დედაენა“ ღირსეულად აგრძელებს სიცოცხლეს.

## მართლწერის 80 რეკომენდაცია მედიისათვის

2021 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ მოამზადა 80 რეკომენდაცია მედიისათვის ყველაზე ხშირად გამოვლენილი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული თუ სინტაქსურ-სტილისტიკური შეცდომების გათვალისწინებით.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მართლწერის რეკომენდაციები შესაბამისი ორთოგრაფიით, მაგ.: **კორონა** (კორონის'ა'); [კოვიდ-პასპორტი, კოვიდ-სასტუმრო, კოვიდ-ინფიცირებული... კ ი ა რ ა] **კოვიდპასპორტი, კოვიდსასტუმრო, კოვიდინფიცირებული...**; [აცრა გაიკეთა კ ი ა რ ა] **აიცრა, შ დ რ. ვაქცინა გაიკეთა;** [კიბერ-თავდასხმა, კიბერ-უსაფრთხოება, კიბერ-შეტევა... კ ი ა რ ა] **კიბერთავდასხმა, კიბერუსაფრთხოება, კიბერშეტევა...**; [აქტორი კ ი ა რ ა] **მოთამაშე, მონაწილე, წარმომადგენელი, შემსრულებელი, წევრი** (კონტექსტის გათვალისწინებით) და სხვ.

## მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### ერთი მხატვრული ხერხისათვის ო. ჭილაძის პოეზიაში

ოთარ ჭილაძის პოეზიაში მხატვრულ შედარებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მის ქმნილებებში ყველა „მარადიული საკითხი“ პოეზიისა თავიდან, ახლად არის დასმული: კეთილი და ბოროტი, მამულის სიყვარული, სიკვდილი და სიცოცხლე... თავისებურ ასახვას პოულობს პოეტის შემოქმედებაში, შესადარებელ ობიექტებად კი ქცეულან – ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები...



გამორჩეულია ო. ჭილაძის სასიყვარულო ლირიკა. ძნელი და ძლიერი გრძნობაა გამოხატული ყველგან. ეს განცდა ზოგჯერ ტრაგიკულ ჟღერადობამდეა აყვანილი. მას არ გააჩნია უბრალოდ „სააშოკო“ ლექსები, „მისი სატრფიალო ლირიკა ზღვრულად დამაბულია, ჭრილობები შეუხორცებელი, ჯერ კიდევ მტკივნეული“ (გ. გვეტაძე).

პოეტის სატრფიალო ლექსებს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს შედარება.

სარკმლიდან დანახული დეკემბრის თოვლი თავის უბრალო ამბავს გვიყვება, საყვარელი ადამიანის კაბას კი სკამზე გადადებულ ნანადირევს ადარებს შემოქმედი: „და სკამზე, როგორც ნანადირევი, ჰკიდია შენი ლამაზი კაბა“; პოეტი ისე სავსეა სატრფოზე ზრუნვით, როგორც ზღვა–თევზით და ტყე – ფრინველით: „მეც კვლავ სავსე ვარ შენდამი ზრუნვით, როგორც ზღვა–თევზით, ან ტყე–ფრინველით“; მას შეუძლია ისე უყვარდეს, როგორც გლეხს – მიწა, დასიცხულ მიწას კი–ღრუბლები: „მიყვარხარ, როგორც გლეხს უყვარს მიწა, როგორც დასიცხულ მიწას–ღრუბლები“ და სხვა.

ზღვიდან ამომავალი ქალი მზისდარია პოეტისათვის, მასავით თავისუფალი: „შენ ამოდიხარ ზღვიდან მზესავით: თავისუფალი და მოთენთილი...“; ო.ჭილაძე ერთ ლექსში ხავერდს ადარებს ქალის სხეულს, რომელიც ჟრუანტელის მომგვრელია ხშირად: „მერე ღიმილით ჩამივლის გვერდით, ჟრუანტელს მომგვრის, როგორც ხავერდი“, ქალის თვალები კი პოეტისთვის „სინათლის ლეკვია“ – თავლივით მძიმე: „და აცეცებდა ახელილ თვალებს სინათლის ლეკვი, თავლივით მძიმე“...

შემოქმედმა განსაკუთრებული სილამაზითა და სიფაქიზით დაგვიხატა წელიწადის დროები. შემოდგომისას ხმელი ფოთლების გროვა დაცემული ჯარის ასოციაციას იწვევს მასში: „...და როცა ქარმა სივრცეს მოგლიჯა ოთხივე კარი, ერთი კაცივით დაეცა ჯარი ხმელი ფოთლების“; გაზაფხული პოეტისათვის სიტყვის დუმილია, ალუბლის ტოტი კი – ლომის ტორივით მძიმე: „...თითქოს საერთოდ იმიტომ მოდის, რომ სიტყვის დუმილს საჯიჯგნად მიმცეს, ხოლო დატაკი ალუბლის ტოტი ლომის ტორივით დამძიმდეს ისევ“; ზამთრის სიცივეში „თეთრფოჩვებიანი“ ყინვა შეიძლება ცხენივით ჭიხვინებდეს: „დაჭიხვინებდა ყინვა ცხენივით, თავმოკაზმული თეთრი ფოჩვებით“...

ო. ჭილაძის პოეზიაში ხშირად ქცეულა შესადარებელ საგნად სიტყვა „ჩრდილი“ : „პალტო ჩრდილივით აგდია კართან“, თვითონ ჩრდილი კი ძაღლთან არის შედარებული : „ჩრდილი ძაღლივით იწვა კარებთან“, ან კიდევ: „და აი, როგორც სველი ძაღლები, ისევ მოგროვდნენ კართან ჩრდილები“, ზოგჯერ კი ჩრდილი გაპიროვნებულია და გაგუდული გდია კედელთან: „...და ნაცრისფერი, უფორმო ჩრდილი კედელთან ეგდო გაგუდულივით“ და სხვა.

ღმერთის ძალა აქვს შემოქმედისთვის მზეს: „მდინარის ლოდზე დაშნებს ლესავდნენ, უყვარდათ ჯდომა უბელო ცხენზე, ვეება ჯვრები ეხატათ მხრებზე და ყვავილისაც სწამდათ მზესავით“. პოეტს ცხოვრებაში ისეთი პერიოდიც ჰქონია, როცა გამორჩეული იყო ღვთისაგან და მზესავით წინ ეყარა ვარსკვლავები: „მაგრამ ერთი დრო მეც მქონდა – უფალს ვყავდი ძესავითა, ცაზე ვიდექ, ვარსკვლავები წინ მეყარა მზესავითა“...

შემოქმედი ნაღვერდალივითაა, მისი განცდები ჭურვს ემსგავსება, ასკდება გულსა და კედლებს, ხან კი დუმს: „მეც ვიფოფრები და ვწითლდები ნაღვერდალივით, მაგრამ არ ვიცი, ეს სიწითლე რისი ბრალია“, „ბევრჯერ შევასკდი გულსა და კედლებს, უმისამართოდ ნასროლ ჭურვივით“, „თუმცა ყველაზე მეტად ველავდი და შეთქმულივით ვდუმდი ბოლომდის“...

**ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე , ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი ,  
მ ე რ ა ბ ზ ა კ ა ლ ა შ ვ ი ლ ი**

### **ლექსიკონები „ციფრული გარემოში“ (პროგრამა „ლექსიკოგრაფი“)**

უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე პროცესებმა – ტექნოლოგიურმა ნახტომმა, ახალმა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პარადიგმამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლექსიკოგრაფიაზე. იგი აღმოჩნდა სრულიად ახალი შესაძლებლობების, განსხვავებული „ციფრული გარემოსა“ და ახალი ამოცანების წინაშე. კომპიუტე-

რულმა ეპოქამ ლექსიკონების შემდგენლებისაგან მოითხოვა სტრატეგიების გადახედვა ლექსიკოგრაფიული წყაროების დამუშავების, ინფორმაციის შინაარსის განსაზღვრისა და ახალი ტიპის მომხმარებელთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

ამგვარი ვითარება დღის წესრიგში აყენებს დარგის მიზნებისა და ამოცანების ახლებურად გადააზრების საკითხს. ლექსიკონების შექმნის პროცესში ტექნოლოგიების სულ უფრო ფართოდ დანერგვამ, ტრადიციული ბეჭდური ლექსიკონების ციფრული ვერსიებისა და ელექტრონული ლექსიკონების გაჩენამ დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას – კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიას, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას როგორც ელექტრონული ლექსიკონები, ისე პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც დახმარებას გაუწევს ლექსიკოგრაფებს ყველა ტიპის, მათ შორის, ტრადიციული ბეჭდური ლექსიკონების შედგენაში.

ერთ-ერთ ამგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროგრამა „ლექსიკოგრაფი“, რომელიც შეიქმნა „ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში“. იგი უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

„ლექსიკოგრაფის“ საშუალებით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა. ამ პროგრამის მეშვეობით შეიქმნა „ქართული ლექსიკონი“, რომელიც 2014 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ, ხოლო 2016 წელს გამოქვეყნდა ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“, რომელიც ბეჭდური გამოცემის ციფრული ვერსია კი არ არის, არამედ თანამედროვე ტიპის ელექტრონული ლექსიკონია.

პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს ლექსიკონის შექმნისა და გამოსაცემად მომზადების პროცესი.

მონაცემთა ბაზაში სალექსიკონო სიტყვა-სტატიები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს, ერთი მხრივ, მონაცემთა დამუშავება და რედაქტირება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მეორე მხრივ, განსხვავებული სალექსიკონო ფორმატების შექმნა სხვადასხვა ტიპის გამოცემისათვის.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად, პირველ რიგში, განისაზღვრა განმარტებითი ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურა, მისი ცალკეული ელემენტები და მათი ურთიერთმიმართება. ეს ელემენ-

ტებია: განმარტება, ილუსტრაცია, გრამატიკული ინფორმაცია, სხვადასხვა კლასიფიკატორი (ფუნქციონირების სფერო, დარგი და მისთ.) და ა. შ.

სალექსიკონო მასალის ამგვარად მომზადება იძლევა ინფორმაციის ავტომატურად მოძიებისა და მართვის საშუალებას, რაც ადვილებს ლექსიკონზე მუშაობის პროცესს. შესაძლებელია სალექსიკონო სტატიების კლასიფიკაცია ყველა აღნიშნული პარამეტრის მიხედვით. მაგალითად, მასალა შეიძლება გაიფილტროს მეტყველების ნაწილების, ფუნქციონირების სფეროს და სხვ. მიხედვით. ამგვარად, ლექსიკოგრაფს აქვს სასურველი მასალის მოძიებისა და რედაქტირების საშუალება. ეს ხელს უწყობს მსგავსი ინფორმაციის ერთგვაროვნების დაცვას დიდი მოცულობის სალექსიკონო ტექსტებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი მონაცემთა ბაზები არის კარგი ნიადაგი სამეცნიერო კვლევებისათვის; შესაძლებელია მონაცემთა კლასიფიკაცია სხვადასხვა გრამატიკული თუ სემანტიკური ნიშნის მიხედვით და, რაც მთავარია, ამ მონაცემთა სტატისტიკური კვლევა.

„ლექსიკოგრაფი“ იძლევა სამუშაოს ეფექტურად ადმინისტრირების საშუალებას. იგი განთავსებულია ინტერნეტში და ლექსიკოგრაფებს შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ ნებისმიერი ადგილიდან. ამასთან, უფლებები განსხვავებულია: ზოგ ექსპერტს აქვს მხოლოდ ბაზის გარკვეული მონაკვეთის რედაქტირების უფლება, ზოგს – მხოლოდ მასალის ნახვის, ზოგს კი – მთელ ბაზასთან მუშაობისა. ფუნქციების ამგვარი გადანაწილება უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის ეფექტურად მართვას.

პროგრამას აქვს სპეციალური კომპონენტი, რომელიც იძლევა სხვადასხვა ფორმატის შექმნა, კერძოდ: სტრუქტურული ელემენტების დალაგება ნებისმიერი თანამიმდევრობით; თითოეული ტიპის ინფორმაციისათვის სხვადასხვა სტილის (შრიფტის სახეობა, ზომა, ფერი...), სპეციალური სახელწოდების ან სიმბოლოს (მაგ., → სხვა განმარტებაზე გაგზავნის აღსანიშნავად) მინიჭება და ა. შ.

ფორმატირების ფუნქციამ საშუალება მოგვცა ერთი და იმავე ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვექმნა ორი განსხვავებული ფორმატი: ერთი – ბეჭდური და მეორე – ელექტრონული გამოცემისთვის.

პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს პროგრამა „ლექსიკოგრაფს“, გამოდგება ნებისმიერი ტიპის (განმარტებითი, თარგმნითი, ორთოგრაფიული და სხვ.) ლექსიკონისთვის. სამომავლოდ ვგეგმავთ ამ ინსტრუმენტის გაფართოებას, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვიყენოთ იგი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შესაქმნელად.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### 80 წლის ინსტიტუტი

ენათმეცნიერების ინსტიტუტი მდიდარი სამეცნიერო ტრადიციებითა და მიღწევებით გამორჩეული სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლის საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის – **ქართული ენისა და მის მონათესავე ენათა აგებულებისა და ფუნქციონირების კვლევის უმთავრესი ცენტრისა**, საყოველთაოდ არის აღიარებული.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულება, 1941 წელს შეიქმნა იმავე წელს ჩამოყალიბებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. ინსტიტუტს 1987 წელს მიენიჭა მისი დამაარსებლისა და საკვლევაძიებო მიმართულებათა განმსაზღვრელის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, სახელი. 2011 წლიდან ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია.

არსებობის 80 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ასობით მონოგრაფია, კრებული, განმარტებითი, თარგმნითი და სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონი; დამუშავდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი; აღიზარდა მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრები არა მხოლოდ ინსტიტუტისა და საქართველოს სხვა სამეცნიერო თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვისაც. აქ

ჩამოყალიბდა **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლა**, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც მთელ კავკასიაში, ისე ევროპისა და ამერიკის მეცნიერთა შორის. ჩრდილოეთ კავკასიელ კოლეგებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა დღემდე შენარჩუნებულია.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შექმნეს ქართველი ერის დიდ საუნჯედ და ქართული ენის უკვდავ ძეგლად წოდებული **რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“**, რომელსაც საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალს წარმოაჩენს ის ფაქტი, რომ ინსტიტუტი წარმატებით მუშაობს ლექსიკონის ახალ რედაქციაზე (უკვე გამოიცა ოთხი ტომი), ქართული ენის, ქართული დიალექტების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე, ქართული სახელმწიფო ენის ნორმატიულ უზრუნველყოფაზე (ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საბაზო დაწესებულებას). ინსტიტუტი მუშაობს აგრეთვე: სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე, ქართულ ტერმინთბანკზე (სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით ინსტიტუტში შეიქმნა 100-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი). მზადდება მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის ახალი რედაქცია. ინსტიტუტში შექმნილია ქართული დიალექტური კორპუსი; მუშავდება ქართველურ, აფხაზურ-ჩერქეზულ და ნახურ-დაღესტნურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის პრობლემები, თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის წყალობით, მთელი კავკასიურენოვანი სამყაროს მეცნიერები ერთ მონოლითად შეკრულნი, წლების განმავლობაში წარმატებით იკვლევდნენ კავკასიურ ენებს. ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერების (არნ. ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, ქეთევან ლომთათიძისა და სხვათა) დაუღალავი შრომით, ამ ინსტიტუტში მომზადდა ჩრდილო-კავკასიელ სპეციალიტთა არაერთი თაობა, რომელიც შემდეგ თავის სამშობლოში განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მეცნიერთა შორის არსებობდა მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი, რომელიც გარკვეულწილად აბალანსებდა პოლიტიკურ სიტუაციასაც და ქმნიდა თანამშრომლობის ატმოსფეროს.

ამ მხრივაც განუზომელია ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ამჟამად ინსტიტუტში შვიდი განყოფილება ფუნქციონირებს. ესენია: ქართველურ ენათა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების, მეტყველების კულტურის, ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილებები.

თითოელი ეს განყოფილება ყოველდღიურად იღვწის ქართული ენათმეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისათვის, ამყარებს კონტაქტებს კავკასიელ, ევროპელ, ამერიკელ და აღმოსავლეთის ქვეყნების ენათმეცნიერებთან, ითვალისწინებს მთელ მსოფლიოში აღიარებულ ენათმეცნიერულ მიმართულებათა მიღწევებს და ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო მეცნიერულ პროგრესს.

ქართველურ ენათა განყოფილება (ხელმძღვანელი - გიორგი გოგოლაშვილი) სათავეს იღებს ენიმკის ინსტიტუტიდან. შეიქმნა 1936 წელს. მას ეწოდებოდა „ქართველურ ენათა სექტორი“. დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო აკად. ავ. შანიძე. განყოფილების მთავარი საქმიანობა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა იყო და არის.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება (ხელმძღვანელი - ვაჟა შენგელია) მემკვიდრეა კავკასიურ ენათა განყოფილებისა, რომელიც 1936 წლიდან არსებობდა ენიმკის ინსტიტუტში. ეს განყოფილება სხვა საენათმეცნიერო განყოფილებებთან ერთად 1941 წელს შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის შემადგენლობაში, რომელსაც 1950 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ეწოდა. არნ. ჩიქობავას მიერ ჩატარებული დიდი სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბილისის სამეცნიერო სკოლა, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება (ხელმძღვანელი - სალომე ოშიაძე) 1958 წელს დაარსდა. 1936 წლიდან ენიმკიში არსებობდა ნ. მარისა და ფონეტიკის კაბინეტები, რომელთა გაერთიანების შედეგად 1939 წელს შეიქმნა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება. იგი დღემდე წარმატებით იკვლევს თეორიულ ენათმეცნიერებას,

რომელიც განყოფილების დაარსებიდან საინსტიტუტო კვლევების ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

ლექსიკოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი - მერაბ ჩუხუა) საქართველოში ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროს სათანადოდ განვითარების გარანტია. ამ განყოფილებაში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (რვატომეული), რომლის ახალი რედაქციის მომზადება დღესაც წარმატებით მიმდინარეობს ამავე განყოფილებაში აკად. ავთანდილ არაბულის ხელმძღვანელობით.

მეტყველების კულტურის განყოფილება (ხელმძღვანელი - თამარ ვაშაკიძე) დაარსდა 1966 წელს. არსებობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის ბაზას წარმოადგენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღნიშნული განყოფილება, რომელიც დაარსების დღიდანვე არის ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის პროცესის მთავარი წარმმართველი.

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (ხელმძღვანელი - ლია ქაროსანიძე), ამ სახით 2006 წლიდან არსებობს. მანამდე, კერძოდ, 1966 წლიდან ენიმკის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო ტერმინოლოგიის განყოფილება. თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება 1957 წელს დაარსდა. ამ განყოფილებას 1957-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ალექსანდრე კობახიძე. ამ განყოფილებაში მომზადდა მრავალი სხვადასხვა დარგის აკადემიური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი და სხვ.

ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება (ხელმძღვანელი მარინე ბერიძე) ყველაზე ახალგაზრდაა ინსტიტუტში. იგი ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ერთეულის - ლინგვისტური ატლასისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიის - გაერთიანების შედეგად. ამ განყოფილების პრიორიტეტებია: ენის დოკუმენტირება თანამედროვე მეთოდებით, ქართული ენის თემატური კორპუსის შექმნა, კორპუსული ლინგვისტიკის ცალკეული საკითხების დამუშავება, კორპუსული ლექსიკოგრაფიის განვითარება, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა განყოფილების საქმიანობაში და სხვ.



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო რეფერენბადი ელექტრონული ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რომელსაც საერთაშორისო სარედაქციო საბჭო განაგებს.

ბეჭდურ პერიოდულ ჟურნალ „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან“ ერთად ჩვენი ელექტრონული ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ უკვე გაერთიანებულია ებსკოში. (<https://www.ebsco.com/>) და მცირე ხანში ერიკ პლუსშიც გაერთიანდება.

ინსტიტუტში ყოველწლიურად იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები. „ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი“ (სამ წელიწადში ერთხელ); საერთაშორისო კონფერენციები: „ენა და ენობრივი ტექნოლოგიები“, „ტერმინოლოგია-მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“.

ადგილობრივი კონფერენციები: „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“,

„არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია“,

„დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესია“,

„ტერმინოლოგიური კონფერენცია“,

„სალიტერატურო ენის საკითხები“,

„კლასიკოსთა გაკვეთილები“.

ინსტიტუტმა აღადგინა მუდმივმოქმედი სამეცნიერო „საინსტიტუტო სემინარი“ (იმართება თვეში ორჯერ).

ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებს:

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“,

„ეტიმოლოგიური ძიებანი“,

„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“,

„დიალექტოლოგიური კრებული“,

„საენათმეცნიერო ძიებანი“,

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,

„ტერმინოლოგიის საკითხები“.

ინსტიტუტმა დაიწყო ქეთევან ლომთათიძის ნაშრომთა მრავალტომეულის გამოცემა. გამოვიდა ორი და მზადდება მესამე ტომი.

ყოველწლიურად ინსტიტუტში მომზადებული და გრიფირებული 20-25 წიგნი იბეჭდება. შესაბამისად, ინსტიტუტში ასევე ყოველწლიურად იმართება ღონისძიება -

„ბეჭდური პროდუქციის საჯარო წარდგენა“.

მრავალი წელია ინსტიტუტში მუშავდება არაერთი ფუნდამენტური თუ გამოყენებითი საგრანტო პროექტი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივების მიმართულებით მიგვაჩნია, რომ:

- ინსტიტუტში უნდა ფუნქციონირებდეს მაგისტრატურა და დოქტორანტურა, სადაც ბაკალავრები და მაგისტრანტები გაიღრმავებენ ცოდნას, უფრო სრულყოფილად დაეუფლებიან ბაკალავრიატში გავლილ შესაბამის სპეციალობებს და ქვეყანას შეემატება ახალი, კვალიფიციური სამეცნიერო კადრები. ასევე სასურველია, რომ ინსტიტუტში აღდგეს სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოც.

- აფხაზური ენა ჩვენს სამშობლოში მეორე სახელმწიფო ენაა, სასურველია, რომ ინსტიტუტში ამუშავდეს აფხაზურის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამა, მითუმეტეს, რომ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შემადგენლობაშია.

- სამეცნიერო საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ შემუშავდევდეს კანონპროექტი, რათა ქართული ენის სერტიფიკატი გაიცეს ქართული ენის სრულყოფილად ფლობის თაობაზე, გაეგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეთხოვოს, რომ ეს უკანასკნელი პარლამენტში შევიდეს ამ კანონპროექტით. პარლამენტმა კი უნდა მიიღოს კანონი, რომ საჯარო სამსახურში შემსვლელი ყოველი პირისათვის აუცილებელი იყოს ამ სერტიფიკატის ფლობა.

აღნიშნული სერტიფიკატის მოპოვება უნდა შეიძლებოდეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე. უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სალიტერატურო ენის შემსწავლელი კურსები, რომელსაც თუნდაც სწორი მეტყველებისა და წერის კურსები ეწოდოს.

საყოველთაოდ ცნობილია ფაქტი, რომ დღევანდელ საქართველოში დასაქმებისათვის კომპიუტერისა და უცხო ენის ცოდნა საჭიროა, ასევე აუცილებელი უნდა იყოს ქართული ენის სერტიფიკატის ფლობაც.

თუ ამ ინიციატივას აიღებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სახელმწიფო დონეზე გადააწყვეტინებს შესაბამის ინსტანციებს, თუ არ აღმოიფხვრება, შემცირდება მაინც ქართული სალიტერატურო ენის უცოდინრობის ნიაღვარი, რომელიც მედია-საშუალებებიდან იღვრება ყოველდღიურად.

- ასეთი მდიდარი ტრადიციების მქონე სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქართული ენის დაცვაა, ღირსია, რომ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდეს, თუნდაც თსუ-ის შემადგენლობაში.

- ინსტიტუტის შენობა ავარიულია, თითოეული თანამშრომელი ყოველდღე თავისი სიცოცხლის რისკის ფასად მოდის სამსახურში. დირექტორი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ როგორმე გამოასწოროს არსებული ვითარება, მაგრამ დაპირებები დაპირებებად რჩება და, სამწუხაროდ, ჩვენი ინსტიტუტის შენობის საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელია.

- სასურველია მოხდეს ხელფასების მომატება და მისი გათანაბრება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასთან. კარგი იქნება, თუ მეცნიერების დაფინანსება მოხდება ქვეყნის ბიუჯეტის 2%-ით მაინც, რაც საერთაშორისო სტანდარტებს მიგვაახლოებს და ხელფასის მატებასთან ერთად, სამეცნიერო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონერებისთვის საჭირო თანხის გამოყოფას შესაძლებელს გახდის.

- ვფიქრობთ, რომ გარკვეული მიმართულებებით უნდა გაიზარდოს თანამშრომელთა რიცხვი. იგულისხმება როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირთა ინსტიტუტთან დაკავშირება, ისე ახალგაზრდობის მოზიდვა და მათი სათანადოდ მომზადება სამეცნიერო მუშაობისათვის.

თსუ არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი იყო, არის და იქნება იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის აღიარებული მსოფლიო ცენტრი.

## „წაღა“ ლექსების წარმომავლობისათვის

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა წაღა განმარტებულია როგორც მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი (ქეგლი).

საბასთან წაღა „ჩუსტ-ქალამანია“ (საბა).

ხეცურულში: წულა – უყელო ტყავის ფეხსაცმელია. წულაიანი/ა. წულაიანი, შდრ. ჩითაიანი. ჩამადი, წულაიანო, ლოყა მედვ თოფის თბეზედა (ალ. ოჩ. 44, 24).

წულაიანი/ა ლექსების ეპითეტია. ლოპოტას ჩამადიოდეს ლექვები წულაიანები (ხევს. პოეზ. 132, 1); „ჩამადით წულაიანანო, აქ თუშებ დაგხვდებისთაო!“ (ხევს. თავისებ. 368, 13) (ჭინჭარაული 1092).

ს.-ქართვ. \*წაღ-ა : ს.-სინდ. \*ცუჟყ-ჲ არქეტვიპების შესატყვისი ჩანს ბაგვალ. წიკულა, კარატ. წეკუჟ-დელა „ფეხსაცმელი“, შდრ. ანდ. წიკა-დამი „id“ (ჩუხუა 508)

აფხაზურ-აბაზურში აღნიშნული ლექსემა გამოიყენება როგორც ზედსართავი სახელი აწაღა / წაღა „თხელის“ მნიშვნელობით (ლომთათიძე 76, 77).

აფხ. ა-წაღა ზედს. თხელი, სიფრიფანა, ა-წაღაფს ზედს. ძალზე თხელი, სიფრიფანა.

აფხაზურ-აბაზურში წა- არის ლოკალური პრევერბი, რომელიც „ქვეშ მყოფობას“ გამოხატავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წაღას ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „ქვეშ (მყოფი) თხელი“, შემდეგომში მნიშვნელობის გაფართოებით იგი უნდა დარქმეოდა ზოგადად თხელძირიან ფეხსაცმელს.

თუმცა აფხაზურ-აბაზურში ფეხსამოსის აღსანიშნავად ეს ლექსემა არ ჩანს. აქ წაღას მნიშვნელობით იხმარება ამაგ.

რადგან წაღა სიტყვას აფხაზურ-აბაზურში ახსნა ეძებნება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი წარმოშობით აფხაზურ-აბაზურია, შემდეგ გავრცელდა იბერიულ-კავკასიურში, თუმცა ფეხსამოსის მნიშვნელობით აწაღა თავად აფხაზურ-აბაზურმა ვერ შეინარჩუნა.

## ერთი კულინარიული ზმნის – „შეასუნელებს“ – შესახებ თანამედროვე ქართულ დისკურსში

გამჭვირვალე შინაფორმის ნასახელარი ზმნა შეასუნელებს შედარებით ახალგაჩენილი ჩანს ქართულ დისკურსში, იგი ვერ დავადასტურეთ ვერც ნორმატიულსა თუ დიალექტურ ლექსიკონებში, ვერც კორპუსულ მასალაში, თუმცა საკმაოდ ხშირად გვხვდება კულინარიული თემატიკის თანამედროვე ზეპირსა და წერილობითს ტექსტებში: „სოკო მოთუშეთ, დაუმატეთ მარილი პილპილი და **შეასუნელებთ**“; „მომზადებულ ცომს მოაფინეთ მოხარშული ხორცის ფარში, რომელსაც წინასწარ **შეასუნელებთ**“; „აიღეთ ნიგოზი, მოხალეთ ტაფაზე, გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში, **შეასუნელებთ** ხმელი ქინძით, უცხო სუნელით, ყვითელი ყვავილით და მშრალი აჯიკით“.

ქართული კერძების მთავარი ინგრედიენტის სახელი სუნელი ძველ ქართულში არ გვხვდება. კომპოზიციის გზით მიღებული ეს რთული სიტყვა ოდნავ განსხვავებული ბგერათმომდევრობით, პირველი კომპონენტის სრულფუძიანი ვარიანტით – **სულნელი / სურნელი** – ილია აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებული აქვს როგორც «კეთილი», «საკუმეველი», 'სურნელოვანი'. დასახელებული ლექსიკონი V-XI საუკუნეების ძეგლებს ეყრდნობა. მომდევნო ვითარების ამსახველ ცნობებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი გვაწვდის: „**სუნელი** მრავალთა სულ-ნელად აღუწერიათ, არა ეწოდების სულნელი, არამედ სუნნელი, ვინათგან სული ეწოდების სულსა კაცისასა, ხოლო სახელი სუნნელისა არს სუნი, უსუნებთ და ვისუნებთ საყნოსლითა, რომელსამე ავი სუნი უვა და რომელსამე კეთილი სუნი და ნელი“. აღნიშნულ მსჯელობაში კარგად ჩანს ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სულ-ძირის მიერ როგორც სულისა და სუნის აღნიშვნისა და ამ მნიშვნელობათათვის საკუთარი განსხვავებული ერთეულების გაჩენის ფაქტი, ასევე რთული სიტყვის მეორე კომპონენტის „ნელის“ ოდინდელი მნიშვნელობა 'საამური'.

საბას მიხედვით, **სუნელი** თანამედროვე სურნელის ფარდია, ხოლო სურნელია ის ლექსემა, რომლის მნიშვნელობაც იგივეა, რაც სუნელისა თანამედროვე ქართულში, შდრ. ამ სიტყვათა სალექსიკონო განმარტებები: „**სურნელი** მხალნი [„მხალი ესე არს რაღც მწუანილი კაცთაგან საჭმლად დაითესების“] სუნელნი შენაყილნი“ („ქართული ლექსიკონი“) – „**სუნელი** გამხმარი და დაფშენილი მწვანელი-ულობა, რომელსაც ხმარობენ საჭმლის შესაკაზმად“ (ქეგლი).

მთავარი კითხვა, რომლის პასუხის მიებასაც ჩვენი მოხსენება ეძღვნება, შემდეგია: რამ განაპირობა ენაში უკვე არსებული სამი სინონიმური ზმნის – **(შეკაზმავს /) შეკაზავს, შეაზავებს, შეანელებს** – გვერდით მეოთხე ლექსემის გაჩენა? მიუხედავად სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტის წინ წამოწევისა, ოთხივე ზმნას ერთი და იგივე კოგნიტიური მნიშვნელობა აქვს. თვალსაჩინოა, რომ ფორმობრივ-სემანტიკური სტრუქტურით შეანელებს და შეასუნელებს კიდევ უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან. ამდენად, შეგვიძლია კითხვა მეტად კონკრეტული გავხადოთ: ახალშექმნილი **შეასუნელებს** რითია **შეანელებს** ფორმაზე უპირატესი? იმით, რომ მეტად გამჭვირვალეა. **შეანელებს** ნასახელარ ზმნაში, რომელიც ასევე მოტივირებული ლექსემაა, ეს მოტივაცია დღეს დაჩრდილულია, სიტყვა „ნელი“ თანამედროვე ადამიანთა ენობრივ ცნობიერებაში 'სურნელებას' აღარ უკავშირდება, „სუნელი“ კი ქართველთა უმრავლესობისათვის აქტიურ ლექსიკას განეკუთვნება. ამას ემატება ისიც, რომ „სუნელი“, როგორც აღმნიშვნელი, საგნობრივ აღსანიშნთან გვეზავნის, ენის მატარებელი ცხადად წარმოიდგენს მას კერძის ინგრედიენტად. უმნიშვნელო არც ის უნდა იყოს, რომ ახალი ერთეულით მთქმელი მოქმედებასა და მოქმედების ობიექტს ერთდროულად ასახელებს, სემიოტიკურ სიმჭიდროვეს ესწრაფვის (ეკონომიურობა გამოხატვისას თანამედროვე ქართულში კვლავ მძლავრი ტენდენციაა). ზმნის ფორმაში მატერიალურად დადასტურებული მოქმედების ობიექტი („სუნელი“) ახალგაჩენილი ერთეულის გამოყენების სფეროსაც შემოსაზღვრავს და მას სახელდობრ კულინარიული ზმნის სტატუსს ანიჭებს.

## რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

### არაბულ-სპარსული წარმომავლობის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის შავშურში

თურქეთის ქართველთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა ლექსიკაზე დაკვირვებაა. ჩვენი ყურადღება მიიქცია არაბულ-სპარსულმა ლექსიკამ შავშურ კილოში. ამ საკითხის შესასწავლად მასალა მოვიპოვეთ მონოგრაფიაში „შავშეთი,“ რომელიც მომზადებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტში.

შავშეთი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და, ცხადია, შავშური კილო განიცდის თურქულის გავლენას. შავშელები ორი ენის – თურქულისა და ქართულის – მატარებლები არიან. ბუნებრივია, შავშელთა ქართულ მეტყველებაში დიდი რაოდენობით გვხვდება თურქული ლექსიკა, რომლის ნაწილი არაბული და სპარსული ენებიდან არის შესული თურქულ ენაში.

წარმოვადგენთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შავშურ მეტყველებაში არაბულ-სპარსული წარმომავლობისაა. ზოგი მათგანი შეიძლება უშუალოდ ამ ენებიდან იყოს შეთვისებული, ზოგი კი – თურქულის გზით:

**ავიზე** (თურქ. avize) ჭადი: „...დინახეს ის ემეფ, ჩვენაც ზათენ **ავიზეს** ვეტყვით იმა, ავიზე, ჰე (ზაქ.). (შავშ., ლექს.). **ავიზე** სპარსული სიტყვაა. სპარს. *āvize* – 1. ჩამოსაკიდი, საკიდარი, ბრელოკი; 2. საყურე; 3. აპენდიქსი. *āvize* არის აწმყო დროის ფუძე ზმნისა *āvixtan* „ჩამოკიდება“, „დაკიდება“ (რუბინჩიკი). საინტერესოა, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული სპარსულში არ გვხვდება „ჭადის“ მნიშვნელობით.

**ახირზამან**-ი (არ. ahirzaman) სამყაროს დასასრული, ბოლო: „ეს ვახტი არი **ახირზამანი**, გათავდა დუნიაში კარგი ღინსანი“ (მან.). (შავშ. ლექს.). საანალიზო სიტყვა არაბული წარმომავლობის ორი ლექსიკური ერთეულისაგან შედგება: 1. სპარს. *āxir* – „ბოლო“, 2. სპარს. *zamān* – “დრო“, „პერიოდი“, „ეპოქა“. საყურადღებოა, რომ განსახილველი სიტყვა არც არაბულსა და არც სპარსულში კომპოზიტის სახით არ გვხვდება.

**ბახშიში**-ი (თურქ. bahşiş) საჩუქარი, ძღვენი: „[რძალს] **ბახშიში** მიცემენ, ...შიგან შეიყვანებენ“ (უსტ.) (შავშ. ლექს.). ეს ლექსიკური ერთეული თურქულში სპარსული ენიდან არის შესული. სპარს. **baxšeš** – 1. საჩუქარი, 2. ძღვენი, 3. სულგრძელობა, დიდსულოვნება. სპარს. **baxšeš** მომდინარეობს სპარსული ზმნისაგან **baxšidan** „ბოძება“, „ჩუქება“.

**ნაჩარ**-ი (თურქ. naçar) ცუდი, უვარგისი, უშნო: „გალამაზდება, თუ არი აქ ნაჩარი“ (მან.); „მე ქართველი ვარ, **ნაჩარი** ბენზინი არ ჩამისხათო“ (ჩაქ.) (შავშ. ლექს.).

არ. მარტიროსოვი ამ სიტყვის ამოსავლად მიიჩნევს ლაჩარს, ლაჩარი > ნაჩარი ლ-ნ სუბსტიტუციით. ჩვენი ვარაუდით, **ნაჩარ**-ი მომდინარეობს სპარსული სიტყვისაგან **načār** – 1. უმწეო, უილაჯო, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი. 2. ძალაუნებურად, უნებურად, უნებლიეთ.

**ქემენჩა** საკრავი ინსტრუმენტი, ქამანჩა: „იგი დავლით იჯება, ლაზი – **ქემენჩით**“ (ჩაქ.) (შავშ. ლექს.). **ქემენჩა** სპარსული წარმომავლობის სიტყვაა და თურქულში შესულია სპარსულიდან. სპარს. **kamānče** – 1. სამსიმიანი ან ოთხსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**ქენერ**-ი (თურქ. kener) ნაპირი, განაპირა: „იგზე იყვნენ, ყანის **ქენერზე**“ (უსტ.) (შავშ. ლექს.). საანალიზო სიტყვა თურქულში სპარსულიდანაა შესული. სპარს. **kenār** – 1. კიდე, ნაპირი, განაპირა მხარე. 2. სანაპირო. 3. წინდ. ახლოს, მახლობლად, გვერდით.

**შარაფხანე** ღვინის სახლი, მარანი: „ყალეს გადმოღმიდან თერეფში დერგები იყო, იმდენი, **შარაფხანე** იყო თელი...“ (უსტ.). **შარაფხანე** სპარსული კომპოზიცია, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება: 1. არაბ. **šarāb** – ღვინო, სასმელი და სპარს. **xāne** – სახლი. სპარს. **šarābxāne** – 1. ღვინის სარდაფი, 2. სამიკიტნო.

**ჩერჩევე** (სპარს. çerçeve) ჩარჩო, ბუდე: „ახლა ისე, ლისა-მე, ჩერჩევე რომ არი, მაქინები გვაქ გამოსაწური“ (ბაზგ.) (შავშ. ლექს.). სპარს. **čarčub** – 1. ჩარჩო, 2. ფარგლები, საზღვრები. სპარს. **čarčub** კომპოზიცია, შედგება ორი კომპონენტისაგან: 1. სპარს. **čahār** – „ოთხი“ და 2. **čub** – 1. ხე, მერქანი, 2. მორი, ძელი, 3. ჯოხი, კეტი, წკეპლა.

როგორც გაანალიზებული მასალიდან ჩანს, შავშურში არცთუ ცოტაა არაბულ-სპარსული ლექსიკა. ამ ეტაპზე მხოლოდ ამ მასალის გაანალიზებით შემოვიფარგლეთ. შემდგომმა კვლევამ შეიძლება კიდევ უფრო მეტი მსგავსი მასალა გამოავლინოს.



## **კვლავ ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურ ხალხურ ზღაპრებში<sup>1</sup>**

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს წარმოადგენს უძველეს სვანურ ზღაპრებში წარმოდგენილი სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან (ქართულ-ზანური, ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილო-კავკასიური, რუსული და ა. შ.) უშუალოდ თუ შუალობით შეთვისებული არაერთი ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი.

ნაშრომში გაანალიზებული მასალა, რომელიც ემყარება როგორც სვანური ენის პუბლიკაცებში წარმოდგენილ, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში სვანეთის ორივე (ენგურისა და ცხენისწყლის) ხეობაში მოპოვებულ-გადამოწმებულ სათანადო საილუსტრაციო მასალას, თვალსაჩინოებისათვის თემატურად დავყავით შემდეგ ჯგუფებად:

*1. სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში დადასტურებული ისეთი ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულან სვანურში:*

**განჯეთ** (ზზ.) „განჯა (ზედმიწ. – \*განჯ-ეთ-ი) < ქართ. განჯა „ყოფილი ელიზავეტპოლი (აზერბ. **Ганца**, ძველ ქართულ და სომხურ მატინანებში – *განძა*), ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი“ ფორმისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციტა და გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი -ეთ სუფიქსის დართიოტ.

**გუელისტაჟ** (ზზ.) „ადგილი, მხარე, ქალაქი“ < ქართ. გველ-ის თავ-ი „მთა იმერთში“ სიტყვისაგან მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტის ანლაუტისეული თან-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა 2019 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ ფარგლებში.

ხმოვნის გამკვეთრებითა (ქართ. -**თავ**, სვან. -**ტაჷ**) და, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით.

**ჿირჩილ-მარჩილ** (ზუ.) „მხარე, ადგილი, სახელმწიფო“ < ქართ. მარჩილ-ი „მგელი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აზაზს“ (შდრ. მეგრ. მარჩილ-ი „ფულის ერთეული, 10 კაპიკი“) ლექსიკური ერთეულისაგან ფუძის გაორკვევითა და ფუძისეულ ხმოვანთა (ა+ი > ა) უმლაუტით, ასევე, სემანტიკური გადააზრიანებით, რაც ძალზე ხშირია სვანურ ზღაპრებში.

**ქაჯალეთ** (ზუ.) *ზღაპრ. ტოპ.* < ქართ. ქაჯ-ავ-ეთ-ი „ქაჯთა ციხე-ქალაქი, სამეფო, რასაც ქართულ ფოლკლორში „მამერალი გიორგი“ ებრძვის და ამარცხებს...“ სიტყვისაგან სუფიქსისეული **ე** ხმოვნის დაგრძელებითა და თანხმოვანთა მონაცვლეობით (ვ/ლ); **ქაჯაჷეთ** (ზუ.) < ქართ. ქაჯ-ავ-ეთ-ი<sup>1</sup>საგან სუფიქსისეული ხმოვნის დაგრძელებით; **ქაჯეთ** (ზუ.) < ქართ. ქაჯ-ეთ-ი<sup>1</sup>საგან ასევე სუფიქსისეული **ე** ხმოვნის დაგრძელებით. სამივე საანალიზო ლექსიკური ერთეულის ფუძეა ქართული ქაჯ-ი < სპარს. **kaž** „ყალბი“ სიტყვისაგან...

2. *სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში დადასტურებული ისეთი ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მაანთროპონიმებლად ქცეულან სვანურში:*

**ალაჷანდ ი ფალაჷნდ** (ზუ.) „ზღაპრის პერსონაჟები“, შდრ. ზს. **ფალჷანდ**, ზუ. **ფალაჷანდ**, ლშხ., ჩოლ., უშგ. **ფალჷანდ/ფალაჷანდ**, უშგ. **ფალჷან** < ქართ. (ჯავახ.) ფალავანდ-ი (< ფალავან-ი < სპარს. **fahlavān** „მოჭიდავე“, „გმირი“) „ჭიდაობაში, ბრძოლაში გამარჯვებული, გმირი“ ფორმისაგან პალატალიზაციით, რაც, როგორც წესი, გამოიწვია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვამ. საგულისხმოა, რომ **ფალავანდ** სიტყვისაგან რედუპლიკაციით მიღებული **ალაჷანდ**, რომელშიც მოკვეცილი ჩანს თავკიდური თანხმოვანი, ზღაპარში (საილუსტრაციო მასალის მიხედვით) გამოყენებულია ასევე ანთროპონიმად.

**დჷჷკეჷიან** (ზუ.)/კაჷიან **დჷჷ** (ლშხ.)/**დჷჷკეჷან/დჷჷკეჷიან** (ჩოლ.) < ქართ. კაჷანდევი-ი 1. „ვეება დევი (ზედმიწ. – **კაჷ**-იან-ი დევი)“, 2. *გადატ.* „ძალზე ღონიერი, ძლიერი“ სიტყვისაგან სვანური ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური პროცესების – *უმლაუტისა* და *სიგრძის* საფუძველზე. ბალზემოური და ჩოლურული საანალიზო ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ძველი ნასესხობა ჩანს სვანურში, ხოლო ლაშხური (**კაჷიან დჷჷ**), როგორც ჩანს,

შედარებით ახალი შეთვისებულია ქართულიდან (შდრ. ქართ. კაჟან-დევი, რომელიც < კაჟიან-ი დევი-ისაგან).

**ყუდღელისჭერი/ყურდღელისჭერი/კურდღლისჭერი** (ლნტ.) ზღაპრ. პერს. < ქართ. კურდღლის ჭერია „ერთ-ერთი ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი“ ფუძეგანსხვავებული კომპოზიტიისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტისა და ბგერის დაკარგვის*) გავლით. ლენტეხურ ფონეტიკურ ვარიანტთაგან ერთ-ერთი, კერძოდ **კურდღლისჭერი** < ქართ. კურდღლის ჭერია<sup>1</sup>საგან უმლაუტით აუსლაუტის ღია მარცვალში, რაც შეეხება **ყუდღელისჭერი** და **ყურდღელისჭერი** ფორმებს, მათი პირველი კომპონენტი < ქართ. (იმერ.) ყურდღელ-ისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ასევე ინლაუტში ბგერის დაკარგვით (შდრ. ყუდღელ), მეორე კომპონენტი აქაც უმლაუტიზებულია.

**ძალთაგან** (ზზ.) ზღაპრ. პერს. < ქართ. ძალთაგან-ი ფორმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, თუმცა სემანტიკური ცვლილება ამკარად სახეზეა...

3. სვანურ ზღაპრებში დადასტურებული ნასესხები საზოგადო არსებითი სახელები:

**ბონ** (ზზ.) < ძვ. ქართ. ბონ-ი (< ფრანგ. **bon** „ტალონი, ჩეკი“) „დროებითი ქალაქის ფული...“, *ბონა* „მთავრობის ან კორპორაციის მიერ გავრცელებული სერთიფიკატი...“. უფრო სავარაუდოა სვანური ფორმის **ბონა** ლექსიკური ერთეულისაგან მომდინარეობა აუსლაუტის ღია მარცვლის გაუმლაუტებით.

**ნაპილწურ/ნაპილწურა/ნაპელწურა** (ზზ.) „უწმინდური, საძაგელი (ზედმიწ. – ნა-**ბ/პილწ**-არ-ი)“, ზს., ლშზ., ჩოლ. **პილწ**, უშგ. **პიწ** < ძვ. ქართ. ბ/პილწ-ი „უწმინდური; საზიზღარი, საძაგელი; უწმინდური, უხამსი; გარყვნილი“ (< ძვ. სომხ. **piyc**) სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, რედუქციის...*) განხორციელებით.

**ჩაჭიტი** (ზზ.)/შაჭიტი (ლნტ.) < ქართ. შაჭიტი „ზღაპრული რაში“ ლექსიკური ერთეულისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციტა და დეზაფრიკატიზაციით (**ჩ > შ**)...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება თითოეული საანალიზო ლექსიკური ერთეულის დაწვრილებითი ანალიზი როგორც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ასევე ჩვენეული ინტერპრეტაციებით. ცხადია, ყურადღება გამახვილდება ისეთ მასა-

ლაზეც, რომელიც ქართულში დღევანდელი მონაცემების მიხედვით დაკარგულია, თუმცა რელიქტის სახით შემორჩენილია სვანურში.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### **ახალ ვირუსულ პანდემიასთან დაკავშირებული რამდენიმე ახალი სიტყვის მართლწერისათვის**

2019 წელს გაჩენილმა ახალმა ვირუსულმა ინფექციამ, რომელმაც პანდემიის სახე მიიღო და უკვე რამდენიმე წელია ჩვენს ყოველდღიურ სასაუბრო თემად იქცა, თან არაერთი ახალი სიტყვა მოიტანა: **კორონავირუსი, კორონაპანდემია, კოვიდსასტუმრო, კოვიდპასპორტი, კოვიდსაშივი, კოვიდ-19, ალფა-შტამი, ბეტა-შტამი, დელტა-შტამი** და სხვ. აღნიშნული სიტყვების სწრაფმა გავრცელებამ და აქტიურმა გამოყენებამ განაპირობა ის, რომ ამ ერთეულთა დაწერილობის სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება:

- კორონა ვირუსი, კორონავირუსი, ცალკე კორონაც;**
- კოვიდ პასპორტი, კოვიდპასპორტი;**
- კოვიდ სასტუმრო, კოვიდსასტუმრო;**
- ალფა შტამი, დელტა შტამი და სხვ.**

მოხსენებაში ახსნილი იქნება, თუ რატომ მიგვაჩნია მართებულად ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვებისათვის დაწერილობის შემდეგი ვარიანტები: **კორონავირუსი, კორონაპანდემია, კოვიდ-19, კოვიდსასტუმრო, კოვიდპასპორტი, კოვიდსაშივი, ალფა-შტამი, დელტა-შტამი...**

## **პურიზმი ქართულ ტერმინოლოგიაში და მისი გავლენა ენაზე**

1920 წელს გამოიცა სიტყვარი – პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი, რომელიც მალევე სრულად გაიყიდა. 1921 წელს ის განმეორებით დაბეჭდეს გარკვეული ცვლილებებით: დაამატეს ქართულ-რუსული ნაწილი, რომელშიც 1920 წლის ლექსიკონის მასალა უცვლელადაა გადატანილი, ხოლო რუსულ-ქართული ნაწილი შევსებული და შეცვლილია. პურისტულად წოდებული ქართული ტერმინთშემოქმედება საგანგებო კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა. ლექსიკონი დღეს უკვე ძნელად იშოვება, რამაც გადაგვაწყვეტინა მისი ხელახალი გამოცემა მცირე გამოკვლევითა და დანართით, რომელშიც 1921 წლის ლექსიკონის განსხვავებული ერთეულები შეიტანეთ.

„ენის ჭეშმარიტი გამდიდრება ახალი ფესვების შექმნაშია“, - ეს არის „ქართველი პურისტების“ ხედვის საფუძველი. სიტყვარის ავტორთა კრიტიკისას უფრო მეტად მახვილდება ყურადღება მათს ხელოვნურ სიტყვათწარმოებაზე, სინამდვილეში კი მათი ტერმინთშემოქმედება არაფრით განსხვავდება ძველ ქართველ მთარგმნელთა მიდგომებისაგან. მეტიც, შეიძლება ითქვას, სწორედ რომ ძველი ქართული ტერმინოლოგიური სკოლის გაგრძელებას ცდილობენ. მათი აზრით, „ყველასთვის, ვინც-კი ტერმინების შემუშავებაზე ფიქრობს, საჭიროა ამ ნაწარმოებთა შესწავლა, ვინაიდან ისინი ნამდვილ საუნჯეს წარმოადგენენ როგორც ენის სიმდიდრით და მრავალ გადავიწყებულ ფესვებით და ფორმებით, ისე ახალ სიტყვების შეთხზვის მაგალითებით“.

ავტორები არ არიან მიჯაჭვულნი მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ტერმინოლოგიას, ქართული შესატყვისის შექმნისას იყენებენ და აანალიზებენ ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ინგლისურ მასალას. მათ გააცოცხლეს ძველი ქართული ძირები, შეამოკლეს სიტყვები, იყენებდნენ არასალიტერატურო ლექსიკასაც.

გამუდმებული დაპირისპირების მიუხედავად, შეძლეს ქართული ტერმინოლოგიის რეფორმა, მზად იყვნენ იმ სირთულეებთან

გასამკლავებლად, რომლებიც, როგორც წესი, თან ახლავს ნებისმიერ სიახლეს: „დიდ ენერჯიას და ღონეს მოითხოვს ეს ძირითადი ტერმინოლოგიური რეფორმა, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს მუდმივ ბრძოლაში გამოწრთობილი ჩვენი ერი“.

საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 20-იანი წლების დასაწყისში უარყოფილი „პურისტული ლექსიკონის“ მასალა გახდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის საფუძველი. 1920 წლის პირველი ქართული ლექსიკონი შესულია ქართულ ტერმინთბანკში სხვა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან ერთად, რაც აადვილებს მასალის შეპირისპირებით კვლევას და ხშირად გვაძლევს დავიწყებული მარჯვე ქართული ტერმინის გაცოცხლების საშუალებას.

პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი, რომელიც ქართული ტექნიკური ენის საფუძველი გახდა, მეტ ყურადღებას იმსახურებს მკვლევართაგან. „ქართველი პურისტების“ ტერმინოლოგიურ მუშაობას უნდა იცნობდეს ახალგაზრდა თაობა.

## ქ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

### **ო-ფუძიან სახელთა ბრუნების სპეციფიკა და კვეცის საკითხი ქართულში**

1. **ფუძე** სახელის ის ნაწილია, რომელსაც **ლექსიკური** მნიშვნელობა აქვს. მას მოსდევს ამა თუ იმ ბრუნვის ნიშანი (მაგრამ არა ყოველთვის).

რაც შეეხება ფორმას: სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში, ბრუნვის ნიშანი ჩამოვაშოროთ და რაც დარჩება, ის იქნება ფუძე (ა. შანიძე). ამ ფუნქციით მიცემითსაც ტვირთავენ. ფუძის დადგენის ეს მეთოდი დღემდე გამოიყენება.

ერთი შეხედვით, მარტივი ოპერაციაა, მაგრამ მისი ჩატარება შესაძლებელია **მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ ვიცით, **რომელია ფუ-**

**ბე:** ამის მიხედვით მას (ფუძეს) ან -**მა** დაბოლოებას დავურთავთ, ან -**მ** სუფიქსს.

ეს მეთოდი ვერ დაეხმარება იმას, ვინც პრაქტიკულად არ იცის ქართული, ვინც ქართულს სწავლობს: მან არ იცის, **კაციმ** უნდა დაწეროს და თქვას თუ **კაცმა**.

ვერც იმას ეხმარება ბოლომდე, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენაა. ფუძის გასაგებად მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები რომ გამოსადეგი იყოს, მაშინ არ გვექნებოდა ისეთი ორთოგრაფიულად მცდარი ფორმები, როგორცაა: **ჟიურმა, რაგბმა... ლევანიმ, ვახტანგიმ, ზაურიმ... ვერდმა, მასტროიანმა, დონიციტმა... მიაიმმა, სომალმა...**

რატომ მოთხრობითი და მიცემითი? – ამ ბრუნვებში სახელის ფუძე **სრული სახითაა** წარმოდგენილი, - ის არც შეკვეცილია და არც შეკუმშული (თუმცა, მეორე მხრივ, **არასრული ფუძეც** ხომ ფუძეა: **კალმ**-ის ფორმაში ფუძეა **კალმ**-).

**წოდებითშიც** სრულია ფუძე; რა გვიშლის ხელს, რომ ამ ბრუნვაშიც ჯერ ბრუნვის ნიშანი მივუწეროთ სახელს, ხოლო შემდეგ ეს ნიშანი მოვშალოთ და დარჩენილ ნაწილს ფუძე ვუწოდოთ (ქალი – ქალ-**ო**: ქალ-; დედა - დედა-**ვ**: დედა...)?

მეტეც: ზოგჯერ წოდებითი გაცილებით მოხერხებულია ამისთვის: სახელების ერთი რიგი აქ სწორედ ფუძის სახითაა წარმოდგენილი (**ეკა!.. ელენე!.. ძუკუ!.. სანდრო!.. ბუკია!.. ჩუხუა!.. აგუმავა!.. სომალი!.. ვერდი!.. გიორგი!.. დავით!..**).

ხშირად ფუძის სახითაა წარმოდგენილი სახელი **სახელობით ბრუნვაშივე**, საიდანაც რატომღაც სხვა ბრუნვებში უნდა გადავიყვანოთ ის. უფრო რომ დავაზუსტოთ, ეს არის აბსოლუტურად ყველა სახელი, რომელიც ბოლოვდება **ა, ე, ო, უ** ხმოვნებზე: **მიწა... თვე... ოქრო... ბუ... წესის** მიხედვით ამგვარი დაბოლოების მქონე სახელები უნდა ჩავსვათ **მოთხრობითში/მიცემითში/წოდებითში**, ანუ, მივუწეროთ სათანადო **ბრუნვის ნიშანი** და შემდეგ მოვაცილოთ ეს ნიშანი!

ანუ, **მივიღებთ ისევ იმ ფორმებს**, რომლებიც გვქონდა! რამდენად ლოგიკური და რაციონალურია ამგვარი მანიპულაცია?

ძალიან მარტივად წყდება ყველაფერი, თუ ვიტყვით, რომ: **ა, ე, ო, უ**-ზე **დაბოლოებული ყველა სახელი ხმოვანფუძიანია**.

და როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელის ბოლოს **ი** დასტურდება?

**ი-ზე დაბლოებული ყველა სახელი თანხმოვანფუძიანია**, ანუ, აქ **-ი**-ს გამოვყოფთ, როგორც ბრუნვის ნიშანს, მის წინ, როგორც წესი, თანხმოვანი დასტურდება, ესე იგი, სახელი თანხმოვანფუძიანია.

საზოგადო სახელთაგან აკაკი შანიძე ი-ფუძიანად მიიჩნევა სამს: **ჩაი, პაი, ტრამვაი**. ამ სიას უნდა დაემატოს შემდეგი საზოგადო და საკუთარი სახელები:

სამურაი, ჟოკეი, დისპლეი, დიჯეი, ჰანტეი, ბეი, გეი, სპრეი, ფიუსეი, თესეი, სენსეი, ბობსლეი, ჰოკეი... ცუნამი, ჟიური, ლობი, ბრენდი, ლედი, კივი, ტაქსი, დენდი, ჰობი, ჰიპი, პოპური, ჰარაკირი, შასი, სპაგეტი, რალი, რაგბი, მილედი, კეგლი, იანკი, ჟალუზი, ალიბი, ბიკინი, ზლოტი, ვისკი...

გიორგი, დიმიტრი, აკაკი, ნანული, ნინელი, ბადრი, დალი, ირაკლი, ლილი, ალექსი, სერგი, რატი, ვალერი, ლალი, გივი, ვახუშტი...

ბოტიჩელი, გარიბალდი, და ვინჩი, დეზიუსი, დიმიტრიადი, დონიცეტი, ვერდი, ვივალდი, კადაფი, მასტროიანი, მოდილიანი, პავაროტი, პუჩინი, როსინი, ფელინი, ძეფირელი...

ბრუნეი, ჰავაი... მაიამი, დელი, ტრიპოლი, კენტუკი, სომალი, ჰელსინკი, ჯიბუტი, ჰაიტი, ნიუ-ჯერსი...

ამ გამონაკლისად სახელდებულ ფორმათა ბრუნების თავისებურებების **დამახსოვრება** ისედაც საჭირო და მნიშვნელოვანია ორთოგრაფიის თვალსაზრისით: სწორედ **მოთხრობითი, მიცემითი და წოდებითი** ბრუნებია ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალური.

**თემური** არის ფუძე თუ **თემურ-**, - ამის გარკვევაში ვერც მოთხრობითი ბრუნვა დაგვეხმარება, ვერც მიცემითი და ვერც წოდებითი.

1. **ი-ფუძიან სახელებს** ბრუნების საკუთარი მოდელი, განსხვავებული მორფოლოგიური ქცევა და პარადიგმა აქვთ, რაც, ვფიქრობთ, ბოლომდე არ არის სათანადოდ შემჩნეულ-შეფასებული (მათი ანალიზი ხშირად **ჩაი, პაი, ტრამვაი**-ს ჩამოთვლით ამოიწურება).

რაში გამოიხატება ეს თავისებურებები?



ა) ი-ფუძიანები სახელობითში -ვით თანდებულს დაირთავენ: ტრამვაი - ტრამვაი-ვით, ტაქსი - ტაქსი-ვით... (ხმოვანფუძიანები სახელობითში თანდებულს არ დაირთავენ: **მმავეით, დავეით, დედა-ვეით...** ფორმები არასწორია).

ბ) მოქმედებითში ბრუნვის ნიშნად -**თ** დასტურდება, - და ეს -**თ** უნდა დაემატოს ბრუნვის ალომორფთა საერთო სისტემას<sup>1</sup>.

გ) მხოლოებითი რიცხვის წოდებითში ბრუნვის ნიშანი არ დასტურდება, ამდენად, სახელობითი და წოდებითი ერთნაირია (ისევე, როგორც პირთა სახელების შემთხვევაშია).

დ) კიდევ ერთი დეტალი: **ი-ფუძიანები ფუძეკვცადადი სახელე-ბია.**

იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელებს აქვთ მრავლობითის ფორმები, ისინი ფუძის ბოლოკიდური **ი** ხმოვნის გარეშე წარმოგვიდგებიან: ტაქსი - ტაქს-ებ-ი, ტრამვაი - ტრამვა-ებ-ი, ბრენდი - ბრენდ-ებ-ი, ჰიპი - ჰიპ-ებ-ი, იანკი - იანკ-ებ-ი, ვისკი - ვისკ-ებ-ი... ვივალდი - ვივალდ-ებ-ი, მასტროიანი - მასტროიან-ებ-ი, პუჩინი - პუჩინ-ებ-ი...

ფუძეკვცადობის სტატუსისთვის არ არის აუცილებელი ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვა **ორივე რიცხვში: ე-ფუძიანები** მხოლოდ მხოლოებითი რიცხვის ორ ბრუნვაში მოიკვეცენ ფუძის ბოლო ხმოვანს, მაგრამ მათ **ფუძეკვცადების** სტატუსი აქვთ.

**ი-ფუძიანები** მხოლოებითში უკვეცელები არიან, **მაგრამ მრავლობითში ყველა ბრუნვაში მოიკვეცენ ამ ი-ს.**

---

<sup>1</sup> „თანამედროვე ქართული ენის გრამატიკაში“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებით წერია: მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რუნვის ნიშნის ალომორფობა: -**ით, -თი, -თა. -ით** თანხმოვნიან ფუძეებსა და კვეცად სახელებს მოუდის: ბარ-**ით**, ქვძ-**ით**, ხოლო -**თი** და -**თა** (იშვიათად) პოზიციური ვარიანტებია უკვეცელ ფუძეებთან; შდრ.: „უხილავს... მტრედისებური ლულუნი დედის ძ უ ძ უ თ ი დატკობის დროს“ (ე. ზედგ.); „...რომ იმათ დედის ძ უ ძ უ თ ა ვსუქდები ცოდვილიანი“ (ვაჟა). იშვიათად ვლინდება ამ ემფატიკური ვარიანტებისათვის ამოსავალი -**თ** ალომორფი უკვეცელ ხმოვანფუძიანთა:

„ერთი ძ უ ძ უ თ გამოზრდილი, ერთი დედის ორი შვილი“ (აკაკი); „ძ უ ძ უ თ ვათირებთ ბალღებსა, რძისთვინ რო აბირდებიან“ (ვაჟა). აქვე ბრუნვის ნიშანთა ალომორფების გაერთიანებული სურათია წარმოდგენილი, სადაც მოქმედებითის ალომორფებად დასახელებულია -**ით, -თი, -თა, -თ**, თუმცა ეს -**თ** არის უკვეცელ ფუძეებთან -**თა**-სა და -**თი**-ს პოზიციური ვარიანტი, როგორც ამას თავად ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ („ძუძუთ გამოზრდილი... ძუძუთ ვათირებთ...“); იხ. გვ. 90-91.

ასე რომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას: ქართულში ფუძეკვცავადი შეიძლება იყოს სახელები, რომელთა ფუძეც **ა**, **ე**, ან **ი** ხმოვანზე ბოლოვდება, ანუ: **ა-ფუძიანები**, **ე-ფუძიანები** და **ი-ფუძიანები**.

ბოლოს წარმოვადგენთ პარადიგმას, სადაც ჩანს ი-ფუძიანი სახელების ფორმაცვალების ყველა თავისებურება.

სახ.	ტაქსი / ტაქსი-ვით	ტაქს-ებ-ი
მოთხრ.	ტაქსი-მ	ტაქს-ებ-მა
მიც.	ტაქსი-ს	ტაქს-ებ-ს
ნათ.	ტაქსი-ს	ტაქს-ებ-ის
მოქმ.	ტაქსი-თ	ტაქს-ებ-ით
ვით.	ტაქსი-დ	ტაქს-ებ-ად
წოდ.	ტაქსი	ტაქს-ებ-ო

## მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

**ძვ. ქართ. (აღ)რ ჩ ე ვ ა „არჩევანი“ და ძვ. ქართ. დ ა რ ჩ ე ნ ა „გადარჩენა“ (-სჯ- / -შჯ- / -რჩ- / -რჯ- ძირ-მორფემათა ფუნქციური სემანტიკისათვის)**

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებით და ეკლესიის წმიდა მამათა ეგზეგეტიკურ თარგმანებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება ქართ. **არჩევანის** (ძვ. ქართ. **რჩევა**) და ქართ. **გადარჩენის** (ძვ. ქართ. **დარჩენა**) საგანგებო სემანტიკური ფუნქციონირების იმ კონკრეტული საღვთისმეტყველო წანამდღვრების მოხმობა და გაანალიზება, რომელთა მეოხებითაც სარწმუნოდ განისაზღვრება ამ ძველქართული ლექსიკური წყვილის (**რჩევა** და **დარჩენა**) ქართული ენობრივი არჩევანი, კერძოდ, მათი ამოსავალი

– ქრისტიანული რჯულისმიერ-რჯულმდებლური ფუნქციური სემანტიკის მოტივირება.

ამ მიზნით განიხილება უაღრესად საგულისხმო ფუნქციურ-სემანტიკური ფაქტორი -სჯ-( <\*საჯ) // -შჯ- // -რჩ- // -რჯ- ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის პოლისემანტიკური მონაცემისა, მასში აღბეჭდილი სემოერთეულებისა (უწინარესად, -რჩ-ძირიანთა თანხვედნილი სემებისა), მაგალითად, ძვ. ქართ.:

**სჯა, შჯა** „განსჯა; განკითხვა; ცილობა; «დასჯა», «წრთვა»; «განსიტყუება»; «დადება გულსა»; **სჯული, შჯული, რჩული, რჯული** „კანონი, სასჯელი; მოძღვრება“; **სჯულიერი, შჯულიერი, რჩულიერი, რჯულიერი** „კანონიერი“; **დასჯილი, დაშჯილი, დარჩილი** „მსჯავრდადებული; «განცრუვებული“; **შჯულკეთილობა** „სარწმუნოების ზედმიწევნით დაცვა“; **სჯულისგარე** „უკანონო“;

**აღრჩევა** „არჩევა“; **რჩევა** „არჩევა, უკეთესად მიჩნევა; გარჩევა, გაწმენდა; გამორჩევა“; **რჩეული** „გამორჩეული, სახელოვანი; «სარწმუნო»“; **რჩოლა** „დაჯერება; «ყურადღება», «სმენა»; «[და]მორჩილება“; **რჩულმართალი** „მართლმადიდებელი“;

**დარჩევა** „გარჩევა; გამორჩევა“; **დასჯა, დასჯილება; დაშჯა, დაშჯილება; დარჩა** „სასჯელის დადება, დასჯა; გასამართლება; «სჯა»; «განკითხვა»; «ტანჯვა»; «განცრუვება“; **დარჩენა** „რჩენა; აღზრდა; გადარჩენა“; **დარჩომა** „დატოვება“; **დარჩომადი** „[გა]დასარჩენი“; **დარჩომილი** „დარჩენილი“ და სხვ.

მიღებული დასკვნებიდან გამომდინარე, კვლავაც მივუბრუნდებით, ერთი მხრივ, ქართ. **მორჩილს, მორჩილებას**, ვითარცა **რჩულის**, ანუ **რჯულის-მოქმედის, რჯულის-მოქმედების** გამომხატველ ცნება-ტერმინს<sup>1</sup> და, მეორე მხრივ, თხზულ ქართულ ცნება-ტერმინს თავისუფალი, რომლის თავდაპირველ სემანტიკაში უკუფენილადაა

---

<sup>1</sup> იხ.: „**მსახურის და მორჩილის თავდაპირველი სინონიმისათვის**. II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრი, თბილისი, (მასალები), 2005, გვ.139-141; ასევე: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI. ეძღვნება ქრიატიანობის ოც საუკუნეს საქართველოში, 23-27 მაისი, 2005, გვ.87-88;

**რჯულის მორჩილი თუ კანონმორჩილი?** („ვერვის კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“ – მათე 6, 24), სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, III, (საქართველოს საპატრიარქო, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“), 2004, გვ.15-19.

დავანებული „თავისუფალის“, „თავისუფლების“ ჭეშმარიტი, ქრისტიანული **რჯულისმიერი** თუ **რჯულმდებლური** შინაარსი და დანიშნულება<sup>1</sup>.

## ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

### **მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სვანურში**

სვანურში, გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათაგან, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები შედარებით ნაკლებად დასტურდება, თუმცა დიალექტებს შორის არსებული მცირეოდენი სხვაობები, მოძიებული მასალის საფუძველზე, მაინც გამოიკვეთა.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს მიზნის გარემოების კითხვაზე **იმნარ / იმნარ** „რისთვის?“ და მთავარ წინადადებაში კორელატად ნაცვალსახელოური წარმოშობის მიზნის ზმნიზედაა წარმოდგენილი: **ეჯნარ** (სვ.) / **ეჯნარ** (ზზ., ლნტ.) / **ეჯინარ** (ლშზ., ჩოლ.) „იმისთვის“...

ჭიქშუ ლიმზერი ეჯნარ ენგრემეხ გუშგუედ ხომშლდ, ერე ხოშელ ლილტ ლახწუნახ უშხჷარ (ზზ.) „ჭიქით დალოცვა იმისთვის

---

<sup>1</sup> **რჯულის აღსრულება – სიყვარული.** – „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა“, 2, 2002, გვ. 53-63;

**უფალი და თავისუფალი.** „ეტიმოლოგიური ძიებანი VII“. – თბილისი. 2010, გვ. 74-76. ასევე: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXI (მასალები). – თბილისი, 2010, გვ. 74-76;

**ცნება „თავისუფალის“ ქართულენოვანი არჩევანი (კომპონენტ „თავის“ სემანტიკური ფუნქციისათვის):** ჩერქეზული კულტურის ცენტრი, IV სამეცნიერო სესია, „ტრადიციული კულტურულ-ლინგვისტური ძიებანი“ (გადაცემულია დასაბეჭდად), 2019;

**ქრისტიანული თავმოყვარეობა და უჭკუო პატივმოყვარეობა** („ვითარცა თავი თვისი...“, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) კონფერენცია – „ენა და კულტურა“, 2020.

მოიგონეს ჩვენმა წინაპრებმა („უფროსებმა“), რომ მეტი სიყვარული დაანახონ ერთმანეთს“.

ჩუქერ მრდ ათდნგრან, ეჯინარ ხათუნუდა მიჩა შიხენქა ფაშატელს ნიცრლს (ლშხ.) „რომ არ მოჰკვდომოდა, იმისთვის ასმევდა თავისი ხელიდან ფაშატს წყალს“.

ეჯნარ ანხურიელეს მეზგახენქა თუით მწრე, ერე ლაღჭრიელთე ოთაძანხ (ჩოლ.) „იმისთვის მოაგროვეს ოჯახიდან თითო კაცი, რომ დასაფიცებლად წაეყვანათ“...

დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირით, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია და ძირითადად პოსტპოზიციური დამოკიდებული წინადადების თავშია, ხოლო წინა პოზიციის დამოკიდებულში ხშირ შემთხვევაში შუაშია მოქცეული:

კუბმოყ ჩ'უადღჭერიელანხ, ერ მექაფ ლოქ ათატგხეხ უშზას ამეჩუნა ალპინისტრდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967, 99) „კუბოსთან დაიფიცეს, რომ სამაგიერო გადაუხადონო უშზას აქაურმა ალპინისტებმა“.

ჩუ ნომა ოლკუქერმელასტხ, ფგრი აშხლარემ ლთხელითე აჩადხ (ბქ.) „არ გაყინულიყვნენ, გამხმარი ტოტების მოსაძებნად წავიდნენ“.

ბოფშარ ერ ჩ'ოთუჟნა ნებოზს, ხრმბუი მიშგუაუმ ნაგნოუ ციგინს (ჩოლ.) „ბავშვები რომ დავაძინო საღამოს, ვუყვები ჩემით მოგონილ ზღაპარს“...

მოხსენებაში, ასევე, მსჯელობა იქნება ეჯნარ „იმისთვის“ და ეჯლა „იმიტომ“ კორელატთა მონაცვლეობის შესახებ, დიალექტური მასალის შედარების საფუძველზე.

## ეთერ შენგელია

### მეგრული ჯარახუნა ლექსიკური ერთეულის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **ჯარახუნა**. ის, საერთოდ, იშვიათად გვხვდება და ლექსიკონებშიც არ არის შესული. ეს ფორმა ჩავიწერეთ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ნაფიჩხოვოს თემის მკვიდრისგან, ჯემალ დარსალიასგან. მისი ახსნით: კოჩქ ჯარახუნა! ჯარახუნა! გიზალას სკაშანი, თენა ნიშნენს – ჯარი – ბრელი სკა დორხუნუდასგენი თის „კაცმა ჯარახუნა! ჯარახუნა! რომ მოგისურვოს ფუტკრისთვის, ეს ნიშნავს – ჯარი – ბევრი ფუტკარი რომ გყავდეს იმას“.

როგორც ჩანს, **ჯარახუნა** მხოლოდ მეფუტკრეობის დარგში გამოიყენება როგორც დალოცვის ფორმულა და შეიძლება განიმარტოს: „ხვავი, ბარაქა, გამრავლება ფუტკრისა.“

სიტყვა აგებულებით რთულია. შეიძლება გამოიყოს: **ჯარა** „ბევრი“, „ჯარი“, „უთვალავი“ და **ხუნ-ა** (|| ხვ-ენ-ა) 1. „ჯდომა“, 2. „ყოლა, დასმა“.

გამოყოფილი ზმნური ნაწილის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ასეთი დაკავშირება: ქართ. **ს-ხ-ედ** „ჯდომა“ : მეგრ. **ხ-ოდ** - || **ხ-უნ** „ჯდომა, დასმა“ : ჭან. **ხ-ედ** - || **ხ-უნ** - „ჯდომა, დასმა“. ამ ფორმებში **ხ**- ძირეულია, **-უნ**-, **-ედ**- სუფიქსებია, ქართულში თავკიდური **ს**- აფიქსია, რომლის ფუნქცია გარკვევას საჭიროებს (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 404, 405).

იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-სუბარი,  
რუსუდან იოსელიანი

## **მორფემული ლექსიკონი – პოლუსურ ლინგვისტურ მოვლენათა ასახვის წყარო**

ნებისმიერ ენაში, სულ ერთია, აქვს თუ არა მას დამწერლობა, მაღალაკადემიურ დონეზე შედგენილი მორფემული ლექსიკონი გვესახება როგორც ორი პოლუსური ლინგვისტური მოვლენის (ფუძენაში სავარაუდო და მომდევნო ეპოქების ინოვაციათა) ამსახველი მონაცემი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა წინარე ქართველურ ენასთან ყველაზე ახლოს მდგომი სვანური თავისი მორფონოლოგიური სტრუქტურით, სინტაქსური კონსტრუქციებითა და უძველესი ლექსიკით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ არქაულ ენას იკვლევდა ყველა გამოჩენილი ქართველოლოგი (ჩვენში თუ უცხოეთში!), დღემდე მაინც არ გვაქვს „სვანური ენის მორფემული ლექსიკონი“; თავისთავად ცხადია, ურთულეს საქმეს მოვკიდეთ ხელი. სწორედ ამიტომ შემოვსახლვრეთ კონკრეტული სივრცე – აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილ ზემო სვანთა მეტყველება, რადგანაც კოდორის ხეობის სვანურმა ჩვენი ყურადღება სწორედ პოლუსურ ლინგვისტურ მხარეთა უფრო მძაფრი გამოვლენის თვალსაზრისით მიიქცია, ვიდრე სვანური ენის სხვა დიალექტებმა. აქ აშკარადაა ხელშესახები ცნობილ უძველეს ქართულ ტექსტებშიც კი დაუდასტურებელ, მაგრამ სავარაუდებელ არქაულ ლექსებათა გვერდით ინტერფერენცირებულ (ე. ი. ინოვაციურ) მონაცემთა არსებობა.

ჯერ კიდევ 1935 წელს წერდა უდიდესი ქართველოლოგი, აკადემიკოსი ვარლამ თოფური: „სხვა სისტემის ენების გავლენითა და ურთიერთზემოქმედებით იმდენად ნარევი სახე აქვთ კავკასიურ ენებს, რომ გავლენილია და გამვლენელი საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ძნელი ხდება მათ გრამატიკულ-ლექსიკურ უდაბნოში გზის გაგნება“. ყოველმხრივ შევეცდებით, არ დავიკარგოთ ამ უდაბნოში.

ნებისმიერი ლინგვისტური სეგმენტაციის საფუძველია ორი-ენტაცია სავარაუდო არქაულ ფორმებზე. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ფორმაცვალეზას სხვადასხვა ქართველოლოგიურ დონეზე განსხვავებული ხასიათი აქვს, განსაკუთრებით უმწერლობო ენაში, რაც ძალზე ართულებს ამოსავალი ვითარების აღდგენას ლექსიკონში, მით უფრო, რომ სვანური მასალების შემთხვევაში XVIII საუკუნეზე ადრინდელი ფიქსაცია არ მოგვეპოვება. ასე მაგალითად: თუ ქართ. **ქედ-ვ-ა**, მეგრ. **კკად-უ-ა**, ლაზ. **ო-კკად-უ** და სვან. **ლი-შკანდ-ი** ლექსემათა ურთიერთმიმართებისას მორფონოლოგიურ-სემანტიკური თვალსაზრისით, ძირითადად, ყველაფერი რიგზეა, ამას ვედარ ვიტყვით 38 წლის კოდორელი (ბალსქვემო სვანეთიდან გადასახლებული წინაპრების შთამომავალი) მანანა გურჩიანი-ქალდანის მიერ გამოყენებულ ზმნურ ფორმებზე **ნ-ე-ღუ-ენ-ოლ** („გვექნებოდა“ *Ox*) და **ხუ-ი-რდ-ოლ-დ** („ვიქნებოდით“ *Sex*), რადგანაც მოსალოდნელი იყო **ნ-ე-ღუ-ენ-იუ** და **ხუ-ი-რდ-ოუ-დ** (-ოლ მორფემა ნამყოუსრულსა და პირობითში, **ჩვეულებრივ**, არ იხმარება ბალსქვემოურ დიალექტში!), რაშია საქმე? – ქალბატონ მანანას ბალსზემოელი (სოფელ მულახიდან) მეუღლე ჰყავს და ინტერფერენცირებულ (ანუ ინოვაციურ, ზემოაღნიშნულ არქაულ ფორმათა საპირისპირო!) მონაცემებს, უპირველეს ყოვლისა, დიალექტურად შერეული ოჯახები ან სოფლები წარმოქმნიან ხოლმე.

54 წლის მარიკა დევდარიანი-აქირთავა რაოდენობით რიცხვით სახელთა გამოყენებისას ხმარობს როგორც ათობითი (ბალსზემოურად!), ისე ოცობითი (ბალსქვემოურად!) სისტემის ნიმუშებს:

**სემ-ერუ-ემდ-ი-ემდ-ჟი**<sup>1</sup> ოთხგვირ კლას, ექვანლო იშუაბთდ გარ მიჩდა ამერუ, **სემ-ემდ-ი-იშგუიდ** ზაა ლი მეჩდე = „სამოცდაათში („სამ-ოც-და-ათ-ზე“) დავამთავრე სკოლა, მერე იშვიათადად ვყოფილვარ აქ, ოცდაჩვიდმეტი („სამ-ათ-ი-და-შვიდ-ი“) წელია გასული“.

<sup>1</sup> თუმცა სტრუქტურულად „ოცი“ „ათის“ შემცველი ფუძიდან მომდინარეობს სვანური ენის ყველა დიალექტში (**აერ-უემდ** = „ო რ ი ათი“, შდრ. ძვ. ქ. ორ-მე-ოც-ი > ორ-მი-ოც-ი > ორ-მ-ოცი = „ორი ოცი“). სვანური რიცხვითი სახელის შესახებ არსებობს გარკვეული შრომები (მათ შორის საკანდიდატო დისერტაციაც!), მაგრამ ამ საკითხისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, საჭირო კი იყო.



აღნიშნულ მონაცემებს განაპირობებს ბალსქვემოელთა შთამომავლის ცხოვრება ყოფილი ბალსზემოელებით დასახლებულ სოფელ ომარიშალში.

ასე რომ, ინოვაციურ სავარაუდო ფორმათა ამოსავალი ვითარების ჩვენება უფრო დიდ სიძნელეებს შეგვიქმნის „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონზე“ მუშაობის პროცესში, ვიდრე საკმაოდ მკაცრი ფონემათა შესატყვისობებით წარმოდგენილი ის არქაული ძირები, რომლებიც, სავარაუდოდ, ქართველური ფუძეებიდან უნდა მომდინარეობდნენ.

ჩვენ მიერ გამოცემული „კოდორული ქრონიკებისა“ (2009 წ.) და „კოდორული სვანურის“ (2020 წ.) ლექსიკამ უამრავი გრამატიკული ფორმა წარმოგვიდგინა, ამიტომ გადავწყვიტეთ შევქმნათ „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ სამტომეული:

სახელები (I ტ.),

ზმნა (II ტ.),

სახელზმნები და უდეტრები (III ტ.).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სვანური ენის სპეციფიკურ **ელიზიურ კონსტრუქციებს**, რომელთა სეგმენტაცია შეუძლებელი იქნება მინიკონტექსტის გარეშე, სხვაგან კი მხოლოდ მინიერთეულებსა და ისტორიულად მათს ამოსავალ სავარაუდო ფორმებზე მივუთითებთ. კიდევ უფრო მცირე კონტექსტი დაგვჭირდება ზმნათა **ვიდენციალურ** მონაცემებთან.

„ორი ან მეტი პარადიგმატული ფონოლოგიური მოდელიდან ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც არაწინააღმდეგობრივად და ეკონომიურად აგვაწერინებს მორფოლოგიურ მონაცვლეობებს. ფონემათა სინტაგმატური გამიჯვნის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, მეტყველების დანაწევრება მორფოლოგიურ დონეზე, კერძოდ, ერთი და იგივე ბგერითი მონაკვეთი შესაძლოა სხავდასხვაგვარად დახასიათდეს იმისდა მიხედვით, თუ სად გადის მორფემული ზღვარი“ (Мачавариანი Г. И. 1968: 201-202);

ჩვენც ვცდილობთ, ვიყოთ არაწინააღმდეგობრივი მორფოლოგიური სეგმენტაციის დროს, განსაკუთრებით გრძელი ხმოვნების შემცველ ლექსემათა დანაწევრების შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება გარკვეულ ძირთა ეტიმოლოგიებს: ვთქვათ, **კქსარ < \*კეისარ-იე** „ხელმწიფე, კეისარი“ (ამაზე მარტივად წარმოდგენილია მარტივ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული სიგრძისა და სახელო-

ბითი ბრუნვის პალატალური მორფემის დაკარგვით გამოწვეული, წინა პოზიციაში მყოფი ფონემის უმლაუტის ახსნა!).

**ფონოლოგიურია** პოზიცია, რომელსაც ქმნის ფონემათა მეზობლობა იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ და როგორ მორფემას განეკუთვნებიან ისინი, ხოლო **მორფონოლოგიური** არის ის **გარემოცვა**, რომლის წარმოქმნაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ და როგორ კომბინაციასთან გვაქვს საქმე. მორფონოლოგიური ხასიათისაა ბგერათცვლილება, რომლისთვისაც აუცილებელია სიტყვის სრულიად განსაზღვრული **მორფოლოგიური სტრუქტურა** და რომლის შესწავლა შეუძლებელია მორფემული ანალიზის წინასწარ ჩატარების გარეშე (ონიანი, 1998: 33). ჩ ვ ე ნ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ე ფ უ მ ნ ე ბ ა ს წ ო რ ე დ ა მ გ ვ ა რ ა ნ ა ლ ი ზ ს . ამ მხრივ მეტად საგულისხმოა 1921 წელს აკაკი შანიძის მიერ მესტიაში ჩაწერილ ლახირელი (სოფელ მულახის თემი) მთქმელის ნაამბობ ზღაპართან გაკეთებული შენიშვნა: ს გ ა დ ჰ ე – ეს, ასე ვთქვათ, მ ო რ - ფ ო ლ ო გ ი ზ ა ც ი ა ა , თ ო რ ე მ ყ უ რ ს უ ფ რ ო ს გ ა თ ე („შ ე ა დ წ ი ა“) ე ს მ ი ს (სვ. პროზ. ტ., I, 1939: 477).

ამრიგად, თუმცა სვანური ენის გავრცელების შედარებით მცირე ტერიტორია ავირჩიეთ მორფემული ლექსიკონის მასალად, მაგრამ უფრო რთულ საქმეს მოვკიდეთ ხელი, რადგანაც არა მხოლოდ ორი პოლუსური ლინგვისტური მოვლენაა (არქაიზმები და ინტერფერენციები) საკვლევი, არამედ სახელთა და ზმნათა ურთულეს სისტემებს შორის მიმდინარე უამრავი მორფემის გაერთმნიშვნელების პროცესიც, რომელიც, СМОМПІК-ში დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით, უკვე XIX საუკუნის ოთხმოციან წლებშიცაა დადასტურებული. სწორედ ამ დროს დაიწყეს სვანებმა ჩასახლება კოდორის ხეობაში და, ბუნებრივია, რომ მათ თან წაიღეს ამგვარი მეტყველება.

გარდა ამისა, ძალზე საშურია საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრებ კოდორელ დევნილთათვის ყურადღებების მიქცევა არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც, რადგანაც დროთა ვითარებაში მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველების ძლიერი გავლენა მათს სვანურზე.

## **შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემების ენობრივი სამყაროდან – დიალექტიზმები**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემები (სულ 13 პოემა) ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა 2019 წელს პოეტის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულისათვის. ამ პოემათა პოეტურ-ლინგვისტურ თავისებურებებს ჩვენ რამდენიმე პუბლიკაცია მივუძღვენით, ამჯერად კი ჩვენი მსჯელობის საგანია დიალექტიზმები.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ავტორი დიალექტიზმებს წმინდა სტილური ფუნქციით იყენებს, მართალია ძუნწად, მაგრამ მიზანმიმართულად; კერძოდ, იმ მეტყველების გასაცოცხლებლად, რომელიც ქმნის მისთვის საჭირო გარემოსა და კოლორიტს. პოემათა ენაში გამოყენებულია იმერული, მეგრული, ქართლური და ქიზიყური დიალექტური ფორმები. ასე მაგალითად:

„– მეორედ მოსვლაა, დედიჯან, მეორედ მოსვლაა, მია!.. / გაიჯღანა ტაბურეტზე ჩამომჯდარი მექისე“ (გვ. 46); „– ხვალ სანადირო თოფს მოვიტან და შიგ შუბლში ვყვინავ / მაგ წუპაკს, მაგას! – იმუქრებოდა ნირწამხდარი დარაჯი“ (გვ. 48); „– ა, არ ქნა მაგ ამბავი, თორემ შაშვებსაც შეიწირავ – / შეაშველეს აქეთ-იქიდან“ (გვ. 48); „მაგრამ ერთი ტომარა ბრინჯის აბოჭვა / უფრო ადვილი იყო, / ვიდრე ჩემი გულისყურის მოკრეფა“ (გვ. 63); „და წართმეული პალტო / დიდი მოწიწებით მოუხურიათ ტიციანისათვის“ (გვ. 67); „– სუ, ბიჭო! არ დაგიჭირონო“ (გვ. 138); „სიცოცხლეს მოუსწრაფავენ / ისედაც ლოგინზე მიჯაჭვულ დედაჩემსო“ (გვ. 143); „– დიდუუ, დიდუუ-ო შეიცხადა და / ცომიანი თითებით ლოყები ჩამოიხოკა“ (გვ. 146); „– რას ბჟუტურობ, ქალო! – დაუტატანა / თვალებგადმოქაჩულმა ქმარმა“ (გვ. 146); „მეზობელიც ეგეთი უნდა“ (გვ. 147); „გული ხელით ეჭირა... / და ნაჭუქში მოფაცუნე ჭუჭულასავით წიწკნიდა...“ (გვ. 155); „იდგა ერთი ბასტი-ბუბუ, წიფვივი – წიალი და ბოჭირი“ (გვ. 156); „– თუ ღმერთი გწამსყე, გამოუმვით მა სალდათები, / ჩემს ჭადარას ეცით პატივიო“ (გვ. 160); „– ჰა, სპარტაკჯან, მგონი ვაფრენთ“ (გვ. 180); „ო, შე გიჟუნია, შენა, ეს რა სიზმარი გინახავს, ვეჟო!“ (გვ. 189); „– ვა-

აავა, ვაავა! ასე უღმერთოდ ვინ გაგპარსათ ზევსოვიჩო“ (გვ. 189); „– აგერ წყლის პირად, მუხის ჩეროშიო“ (გვ. 190); „ცეცხლზე გავარვარებული ბაკანი მდინარეში გაახანჭალა და / ისე დაუბრუნა თავის მფლობელს“ (გვ. 191).

დიალექტურ ფორმათა გამოყენების თავისებურებებით განსაკუთრებით გამოირჩევა პოემა „პროვოკატორი თხა“. თუ სხვა პოემებში დიალექტიზმთა სიმცირეა არსებითი, აქ პირიქით, დიალექტიზმთა შედარებითი სიუხვე იქცევს ყურადღებას. ცხადია, ამას პოემის სათქმელი განაპირობებს, რომლის უმთავრესი შინაარსი ისაა, რომ „ჰაი დედასა, რას არ ჩაგადენინებს სიყვარული, გინდა თხა იყავი და გინდა ადამიანი!“ (გვ. 136). პოემის სათაურის სრულყოფილი სახე ასეთია: „პროვოკატორი თხა (სალახის ნამზობი) 1937“. სათაურის ამგვარი ინფორმაციულობით დატვირთვა მკთხველს განწყობასაც უქმნის და ამბის აღსაქმელადაც ამზადებს: ამბავი უთუოდ ტრაგიკულია, ღრმაშინაარსოვანი პლასტებით, საინტერესო ეთნოგრაფიული ფონით, რთული ფსიქოლოგიური მიზეზებითა და წიაღსვლებით, პარალელებით სულიერ არსებათა შინაგანი ბუნების შტრიხებისა, შედარება-დაპირისპირებებით და ა. შ. ამ ყველაფერს კი მოგვითხრობს თვით ამბის მთავარი პერსონაჟი – სალახი (ყასაბი). ამბის გადმოსაცემად გამოყენებულია ქართლური და ქიზიყური დიალექტური ფორმები. მთელი პოემის მანძილზე შენარჩუნებულია ის რიტმი, ინტონაცია – სალახის ხმა, რაც რეალური დიალექტური გარემოს განცდას ქმნის და ამით (მხატვრულობის თვალსაზრისით) ნაწარმოები მკითხველის მოლოდინს ამართლებს: მკითხველი ენდობა მოქმედი პირის (ავტორის) ნამდვილ და გულწრფელ, აღსარებისმაგვარ საუბარს. სალახი ამბავს ყვება ისე, როგორც ყოველდღიურად ლაპარაკობს კიდეც მისი ხელობის კაცი, ეს მისთვის ჩვეულებრივი სასაუბრო გარემოა. რეალური გარემოს განცდას ქმნის სწორედ ის, რომ საუბარში ოსტატურადაა მიმოზნეული დიალექტური ფორმები, ვულგარული გამოთქმები და ინტონაციის დამჭერი დამხმარე მეტყველების ნაწილები (მააშ, ვაჰ, შვილოსან, მახლას, მა რა...). სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმოთ: „იცი, სალახოზა რა არი? აბა, შენა ყოფილხარ, აი! / სალახოზა, შვილოსან, ვაჟკაცური ხელობაა, ვაჟკაცური! / სალახოზა საქონლის კვლასა ჰქვიან... / ეეჰ, ბოლო-ბოლო, სალახები ან ვგაყდებით / ან ერთმანეთსა ვხოცავთ... / სისხლი ცოდვილიანია, ერთხელაც იქნება, მოგაკითხავს... / მააშ, პასუხს მო-

გთხოვს... / ოთხში ამოღება ხო გაგიგია? გუდა... აი, ისე... ტივი, ტიკჭორა? / ჰოდა, მაგებს თხის ტყავისაგან აკეთებენ, / მახლას, ოთხში ამოღება მთლიანად გატყავებასა ჰქვიან“ (გვ. 132); „ეჰ, ერთი აქ იყოს ის ისპანია, / რამთონ ფულს ვიშოვიდი! ჩემმა მზემ, / ერთ თვეში მილიონერი გავხდებოდი! / ვაჰ, რატომ ისპანიაში არ დავიბადე!“ (გვ. 134); „მართალია, ჩვენთვის სასარგებლო საქმეს სჩადიოდა, / მაგრამ თანამომძმეთა მიმართ პროვოკატორი იყო, შობელმადლი, / ამიტომაც გაპონი შევარქვით. / მოძმეთა სისხლის ფასად სუქდებოდა, / ნებივრობდა, დიდკაცურად ცხოვრობდა“ (გვ. 135); „ვაცბოტის „კაიკაცობამ“ მაგრა დაგვაზარალა, / ჩვიდმეტი ცხვარი დაგვეხრჩო მტკვარში! / ზარალი კი სალახებს გადაგვახდევინეს. / ასეა, შვილოსან, ყველგან პატარა კაცი ისჯება... / ვაცზე კი შური ვიძიე: / დავიჭირე, ხეზე ჩამოვკიდე; / ოთხში ამოვიღე ცოცხლად... / ოთხში ამოღება ნადლი ქართულია, / ხატოვანი გამოთქმაა, შვილოსან!.. ხატოვანი!..“ (გვ. 136).

ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, დიალექტიზმების გამოყენება პოეტისთვის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია, რომელსაც გარკვეული ჩანაფიქრის განსახორციელებლად მიმართავს. დიალექტიზმთა გამოყენების გზით ცოცხლად იგრძნობა ის საუბრული სტილი, რომლის მეშვეობითაც იგი არსებითად აფორმებს პოემათა მხატვრულ და ენობრივ სტილს.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### კაუზატივის მორფოლოგიური კატეგორია ქართველურში

თავიდანვე შევნიშნავთ, ფორმალური ანალიზის ფარგლებში კაუზატივის (კონტაქტის) კატეგორია ჩვენთვის მხოლოდ სათანადო მარკერებით გამოხატული მორფოლოგიური კატეგორიაა; ამიტომაც კაუზატივს რეალიზებულად ვთვლით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სათანადო ფორმათწარმოების (resp. სიტყვათწარმოების) გამომხატველად გვევლინებიან **-ინ**, **-ეინ** და ა. შ. მორფემები. ცხა-

დია, კაუზატიურია -**ვვ** სუფიქსიანი ზმნებიც: ჭამ-ს - ა-ჭმ-**ვვ**-ს, სვამ-ს - ა-სმ-**ვვ**-ს, ი-ცვამ-ს - ა-ცმ-**ვვ**-ს (ა. შანიძე). ქართულში ცნობილ კაუზატიურ აფიქსებს უნდა დაემატოს -**უნ** სუფიქსი (ხ-ტი-ის - ა-ხ-ტი-**უნ**-ებ-ს ტიპი), რომელიც პროდუქტიულია ზანურშიც, შდრ.: ზან. ხ-ე-ნ „ზის“ - ო-ხ-**უნ**-ამ-ს / ო-ხ-**უნ**-უ-ან-ს „აჯენს, ძალით სვამს“..., ხოლო სვანურში კი სწორედაც ეს -**უნ** არის ძირითადი კაუზატიურობის გამომხატველი სუფიქსი, რომელიც სარედუქციო პოზიციებში -**უნ**-**ნ** ვარიანტებს იძლევა, შდრ.: სვან. ხ-ა-ტაბ-**უნ**-ე „ათლევინებს“, ათდიგ-**უნ**-ე „ჩააქრობინა“, ახშებ-**ნ**-ე „შეაკვრინა“...

მეგრულ-ლაზურის სამპირიან ზმნებში დამატებით გამოჩნდება ქართ. -**ებ**-ის შესატყვისი ზან. -**აფ** (← \***აბ**): ო-ხ-**უნ**-**აფ**-ამ-ს / ო-ხ-**უნ**-**აფ**-უ-ან-ს „აჯენინებს“. კოლხურში -**უნ** თან ერთად პროდუქტიული ჩანს -**ინ** აფიქსიც, შდრ. ლაზ. ღურ-უ-ნ „კვდება“ - ო-ღურ-**ინ**-ამ-ს „მოაკვდინებს“, მეგრ. სხაპ-უნ-ს „ხტის“ - ო-სხაპ-**ინ**-უ-ან-ს „აკვებებს“...

ქართულ სინამდვილეში კაუზატივის მაწარმოებლად ა- პრეფიქსის გამოყოფა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ა- მოქმედებითი გვარის ნიშანია და კაუზატივის წარმოება მის გრამატიკულ შინაარსთან არანაირად არ არის დაკავშირებული. გარდა ამისა, კაუზატივი არ არის მხოლოდ გარდამავალი, ან მოქმედებითი გვარის წიაღში მოქმედი კატეგორია. კაუზატიურია ვნებითი გვარის ე-კვლ-**ვვ**-**ინ**-ებ-ა ტიპის ზმნები ქართულში, რომლის კოლხური შესატყვისებიც იდენტური სტრუქტურისაა, შდრ. ა-ჭარ-**აფ**-უ-აფ-უ-ნ „ეწერინება“, ა-ღურ-**ინ**-**აფ**-ე/-უ-ნ „ეკვლევინება“... მეგრულში თავჩენილ უ-ს (ო-ჭარ-**აფ**-უ-ან-ს) კაუზატივის გამოხატვა (ტ. გუდავა) არ უკავშირდება, ვინაიდან აწმყოს წყებაში ნებისმიერი სტრუქტურის ზმნაში - უ- ბუნებრივი ჩანს, შდრ. ი-გურ-უ-ან-ს „სწავლობს“, მი-ბუნ-უ-ან-ს „მოიკიდებს“, ა-ძირ-უ-აფ-უ-ნ „ეჩვენება“... ყველა შესაძლო შემთხვევაში მეგრული უ-ს ძირითადი ფუნქცია მოქმედება/მდგომარეობის განგრძობითობის ჩვენებაა, რაც აორისტის ნაკვეთებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც უ- სუფიქსი იქ ვერც იქნება წარმოდგენილი.

ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულ-ლაზურში კაუზატიური ფორმები ეწარმოება თვით რ-ე-ნ „არის“ ზმნასაც კი, შდრ. ლაზ. ო-რ-**ინ**-ამ-ს „აჩენს; ამყოფებს“, მეგრ. ო-რ-**ინ**-უ-ან-ს „ამყოფებს“...

კაუზატიური ფორმათწარმოების (resp. სიტყვათწარმოების) ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს დ-ი-ს – ა-დ-ენ-ს/ა-დ-ინ-ა, ვალ-ს – ა-ვლ-ენ-ს/ა-ვლ-ინ-ა, წევ-ს – ა-წვ-ენ-ს/ა-წვ-ინ-ა ქართულში და დგ-უ-ნ/დგ-ი-ნ „დგას“ – ო-დგ-ინ-ან-ს/ო-დგ-ინ-ამ-ს „ადგენს“, ჩქ-უ-ნ/ჩქ-ი-ნ „ჩანს“ – ო-რჩქ-ინ-ან-ს/ო-რჩქ-ინ-ამ-ს „აჩენს“ მეგრულ-ლაზურში.

მსგავსი კვალიფიკაციის აუცილებლობა უფრო თვალსაჩინო-დაა გამოხატული სვანურში, რაზეც მოხსენებაში უფრო ვრცლად გვქნება საუბარი.

დაბოლოს, ნებისმიერი სტატიკური ზმნისგან ნაწარმოები კა-უზატიური ფორმები, განურჩევლად გვარისა, თანამედროვე ქარ-თველურ ქვესისტემებში მხოლოდ დინამიკური შეიძლება იყოს, თა-ნაც ისტორიულად მისი (უკვე კაუზატიური) ფუძისგან ნაწარმოები ზმნები კარგავენ კაუზატიურობის გრამატიკულ სემანტიკას.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### **ფუძეენური წარმომავლობის ინსტრუმენტალისი და ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენებში**

ერგატიული სისტემის შესწავლის უკვე საკმაოდ ხანგრძლივმა ტრადიციამ შესაძლებელი გახადა მოთხრობითი ბრუნვის ძირითა-დი მარკერების დისტრიბუციის შედარებით ზუსტი აღწერა/პოსტუ-ლაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში. როდესაც ვახდენთ პალეოკავკა-სიური ფუძეენის ბრუნვათა სისტემის რეკონსტრუქციას, ვითვალის-წინებთ კავკასიის ავტოქთონურ ენებში არსებულ ენობრივ რეალო-ბას, როდესაც ერგატივისთვის დამახასიათებელი მარკერებით, სხვა-დასხვა ენაში და ზოგჯერ ერთი ენის ბრუნვათა სისტემის შიგნითაც, შეიძლება იყოს გამოხატული როგორც სუბიექტი, ისე ობიექტი. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ჩერქეზული ენა, სადაც -მ ნიშანი ერ-გატივისაც გამოხატავს და ინსტრუმენტალისსაც, შდრ. შესაბამისად:

ადიდ. ა-მ რეთოდ „მან მისცა“ და ა-რ დედგ-მ რძდ „იგი სადგისით ქსოვს“...

ზოგჯერ ერგატიული ბრუნვის მარკერით გამოხატულია ლოკატიური ბრუნვაც, მაგ. სვან. დი-დ „დედამ“, მაგრამ ჩი-დ „ყველა-ზე“... სწორედ ამ უკანასკნელის მატერიალურ-ფუნქციური ფარდი ჩანს ქართულისთვის ბუნებრივი შემდეგი ნიმუშები: ში-დ, ზე-დ, სახი-დ „სახლში“...

ხოლო დადესტნურში ერგატივთან საზიარო მრუნვის ნიშნებით გამოხატული ინსტრუმენტალისის ფორმების გამოყენება ლოკატიური ბრუნვის ფუნქციით ტიპოლოგიურად უნდა შევადაროთ ქართულის ვითარებას, სადაც ინსტრუმენტალისის -ით მარკერი (დან-ით) ასევე ფართოდაა რეალიზებული ისტორიულ სახელებსა (გვერდ-ით...) და ზმნისართებში: ქვევ-ით, ზევ-ით, შიგნ-ით...

საზიარო ბრუნვის ნიშანთა გამოყენება/რეალიზაცია საკუთარი ერგატივის, ინსტრუმენტალისის, ნათესაობითის და ლოკატიური ბრუნვების ფუნქციით იბერიულ-კავკასიურ ენებში უნდა აიხსნას პალეოკავკასიური ფუძეენის სპეციფიკით, რომელშიც მაქსიმუმ ოთხწევროვანი ბრუნვათა სისტემა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

- (1) ერგატივ-ინსტრუმენტალისი
- (2) გენტივი
- (3) დატივი
- (4) ტრანსფორმატივი

ცხადია, სახელობითი უდრიდა (ემთხვეოდა) სახელის გაუფორმებელ ფუძეს.

შედარებითი კვლევებით ირკვევა, რომ ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფუნქციით პალეოკავკასიური ფუძეენისათვის რეკონსტრუირდება შემდეგი მარკერები:

(1) -ნ: ქართვ. (ქართ. მა-ნ), სინდ. (უბიხ. თეთგ-ნ „კაცმა“, ჭა-ნ „კარგად“, აფხ. ლაწუა-ნ „თესვისას“, იზიან-ნგ „კარგად“), ხათ. Tabarna-n “თაბარნამ“, დად. (ზაგვ. დე-ნ „ერგ. მე“, არჩ. კუნ-ნ-ე „ფქვილმა“, უდ. აშ-ენ „საქმემ“, წახ. ოს-ან „შეშამ“...)

(2) -ქ: ქართვ. (ზან. კოჩ-ქ „კაცმა“), ბასკ. გისონ-ა-ქ „კაცმა“, დად. (წახ. დექ-ქა „მამით“, არჩ. იში-ქ „აქ“, რუთ. ადცა-ქ III ლოკ. ბრ., ლეზგ. დიდედი-ქ III ლოკ. ბრ....)



(3) **-მ**: ქართვ. (სვან. დი-**ემ** „დედამ“), სინდ. (ჩერქ. შიბლზ-**მ** „ქუხილმა“), ბურუშ. *gus-mo* „ქალის“, დალ. (დიდ. გედ-**მა** „პერანგმა“, ხვარშ. ონგ-**მო** „ნაჯახმა“, ბეჟ. ლილ-**მა** „ზამთარში“..., არჩ. ბოშორ-**მ**-უ „კაცმა“...)

(4) **-ტ**: ქართვ. (ქართ. ღვთ-**ივ**, ირგვლ-**ივ**), ნახ. (წ.-თუშ. დად-**ი-ვ** „მამებმა“, შდრ. დად-**ევ** „მამით“), სინდ. (ადილ. -ტნა-ტ „სახლად“, დახა-ტ „ლამაზად“), დალ. (ლეზგ. დედი-ტ „ლოკ. ბრ.“, ლაკ. ჩუ-ტ „სად“...)

(5) **-ა**(**ს**): ქართვ. (დღე-**ს**, ნაპირ-**ას**, ჩქარ-**ას**), ბასკ. გისონ-**ა-ს** „კაცით“, ნახ. (წ.-თუშ. ნან-**ა-ს** „დედამ“), სინდ. (ადილ. თეღტ-**ას** „გუშინ“, აფხ. აბა-**ს** „ამგვარად“), დალ. (ხუნძ. ტა-**ას** „მამ“, დიდ. ბოწე-**ს** „მგელმა“..., აღ. ბუგუ-**ას** „ახლოდან“...)

(7) **-ოს/-სო**: ქართვ. (ქართ. ცხენ-**ოს**-ან-ი, სვან. მარა-ტშ /მარა-**შტ** „კაცით“), ნახ. (დაც-**უმ** „მოკლედ“), სინდ. (ადილ. ა-**შ** „ამან“, მო-**შ** „იმან“), ხათ. *huzzaššai-šu* „მჭედელს“, დალ. (ახვ. წე-**შუ**-დე „სტუმარმა“, ბაგვ. უაშა-**შუ**-რ „ქალიშვილმა“, ბოთლ. ჰეკტა-**შუ**-დი „მამაკაცმა“..., წახ. შიტ-ბე-**შ**-ინ „ჩიტების/ჩიტებმა“, რუთ. ჯარგ-მა-**შ**-წ „ცხვრებმა“)

(7) **-დ**: ქართვ. (ქართ. ზე-**დ**, სახი-**დ** „სახლში“, სვან. დი-**დ** „დედამ“, ჩი-**დ** „ყველაზე“), ხათ. -d(u)/-t(u), დალ. (ხუნძ. (სამხ.) ბაჭ-**ი-დ** „მგელმა“, მაგრამ ყა-**დ** „დღისით“, ბაგვ. მასქინ-**და** „ღარიბულად“, ანდ. ჰონი-**დ**-ი „სოფელმა“, ტინდ. სან-**და** „გვერდით“, ჭამ. ანზ-**ი-დ** „თოვლმა“, ჰინ. ჭედო-**დ** „ცეცხლით“, ჰუნზ. ოჟ-დ-ის „ვა-ჟის“, მაგრამ ოსი-**დ** „ხარით“, ლაკ. კურკურ-**დ**-ულ „ქვაბმა/ქვა-ბით/ქვაბით“, დარგ. წეკა-**დ** „რწყილმა“, კუბ. ბუწ-**ად** „მგლებმა“, ბუდ. ეერ-**დ**-ირ „გველმა“ / ეერ-**დ**-ა „გველის“, ლეზგ. გაფურ-**დი** „ხანჯლით“, რუთ. მი-**დი** „აქეთ“...).

## ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

### **ა- ხმოვანპრეფიქსი და ქართული ზმნის მრავალპირიანობა**

1. ქართული ზმნის პირიანობასთან დაკავშირებით ქართველ ენათმეცნიერთა პოზიცია არაერთგვაროვანია. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული ზმნა პოლიპერსონალურია, ნაწილს მიაჩნია, რომ ქართული ზმნა უნდა დახასიათდეს, როგორც მხოლოდ ერთპირიანი ან ორპირიანი. ამ თვალსაზრისებს პირიანობის დასადგენად სრულიად განსხვავებული კრიტერიუმები აქვს.

2. ერთი თვალსაზრისით, ზმნასთან შეწყობილ სახელთა ოდენობით უნდა დადგინდეს ზმნის პირიანობის მაჩვენებელი, ამიტომ ზმნა შეიძლება 3-პირიანიც იყოს (ა. შანიძე).

3. სხვა თვალსაზრისისთვის ამოსავალი პრინციპია ზმნის პირიანობის განსაზღვრა არა ზმნასთან შეწყობილი სახელების რაოდენობით, რაც მხოლოდ ვალენტობის დადგენაში დაგვეხმარება, არამედ ზმნურ ფორმაში დაფიქსირებულ მორფოლოგიურ ფორმანტა - პირის ნიშანთა - ოდენობით. ტრადიციული თვალსაზრისით კი, ზმნაში აისახება სუბიექტის გარდა მხოლოდ ერთი - მიცემითბრუნვიანი, ბრუნვაუცვლელი - ობიექტის პირი. ზმნაში სათანადო ნიშნით არ გადმოიცემა მესამე პირის პირდაპირი (ბრუნვაუცვალეზადი) ობიექტი. ამის მიხედვით ქართული ზმნა მხოლოდ 1-პირიანი ან 2-პირიანია. (არნ. ჩიქობავა, გ. ბურჭულაძე, თ. გამყრელიძე, ბ. ჯორბენაძე).

4. ჩვენი ვარაუდით, პირდაპირი ობიექტი ზმნურ ფორმაში აისახება ახალ ქართულშიც და ამ ფუნქციას თავის თავზე იღებს ა- ხმოვანპრეფიქსი, რომელიც სხვა ხმოვანპრეფიქსთა შორის მეტი პროდუქტიულობით გამოირჩევა.

5. სხვადასხვა დროს სხვადასხვა გრამატიკოსის მიერ აღნიშნული ხმოვანი კვალიფიცირებულ იქნა, როგორც გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, საარვისო (ნეიტრალური) ქცევის, საზედაო სიტუაციის (სუპერესივის), ირიბი ობიექტის სასიგნალო (ირიბი ობიექტის პოვნაირების), პირდაპირი და ირიბი ობიექტების წარმომქმნელი ნიშანი, ზმნურ შესიტყვებაში ახლი მოქმედი პირის შემომყვანი ფორმალური ელემენტი.

6. ჩვენი ვარაუდით, პიდაპირი ობიექტს გადმოსცემს ა- ხმოვანი გარდამავალ ზმნებში. ა- საკმაოდ ხანიერი აფიქსი ჩანს. შესაძლოა იგი ოდინდელი ობიექტის ნიშანი იყოს. როგორც ცნობილია, კლასოვანი უღვლილობის დროს გარდამავალი ზმნა ობიექტურ-კლასოვანი იყო, უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის სახელობითი დასმაც ამდროინდელია. პიროვან უღვლილებაზე გადასვლისას ამ პრეფიქსმა პირდაპირობიექტური პირი გამოხატა. პირის აღსანიშნად ხმოვანი აფიქსის გამოყენება ქართული ენისათვის ჩვეულებრივია, ამას მესამე სუბიექტური პირის ხმოვანი სუფიქსები ადასტურებენ. თუმცა მესამე სუბიექტის ნიშნად -ა სუფიქსის გამოყენება მოთხრობითი ბრუნვის ჩამოყალიბების დროინდელადაა მიჩნეული. გარდა ამისა, ძველი ქართულისთვის არ არის უცხო სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის ზმნურ ფორმაში გამოხატვა. თუმცა ამ შემთხვევაში **ნ (ენ)** ფორმანტი აქ სიმრავლის აღმნიშვნელ ზოგად მარკერად გვევლინება და არა რომელიმე კონკრეტული პირისა. ამის მსგავსად, თუ ზმნაში არის ა- პრეფიქსი, იგი მიანიშნებს პირდაპირი ობიექტის მქონებლობაზე განურჩევლად რომელიმე პირისა. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ოთხვალენტიანი და სამპირიანი.

## ს ო ფ ი კ ო ქ ა ა ვ ა

### **ენათმეცნიერების ფაკულტეტის, მისი დარგებისა და სასწავლო პროგრამების შექმნის ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით)**

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში დაცულია საარქივო მასალები, კერძოდ სხდომათა ოქმები, რომლებშიც აღწერილია 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების ფაკულტეტის შექმნის ისტორია, ფაკულ-

ტეტის ჩამოყალიბებაში მონაწილე მეცნიერთა (კომისიის წევრების) ვინაობა და მათ მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამები.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების მიხედვით 1926 წელს განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა პროფ. კ. კეკელიძეს დაავალეს ენათმეცნიერების ფაკულტეტის შექმნა. სტატიაში წარმოდგენილი იქნება სხდომათა ოქმები, რომლებშიც ასახულია ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც აწარმოეს ქართული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა (სულ სამი ოქმი, 1926 წლის 2 და 3 ივლისის დილისა და საღამოს სხდომები).

საანალიზო მასალებით ირკვევა, რომ საკითხზე მომუშავე კომისიის წევრებმა ენათმეცნიერების ფაკულტეტის ორი მიმართულება ჩამოყალიბეს: 1. **ლინგვისტური**; 2. **არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული**. ლინგვისტურ მიმართულებაზე ქართველოლოგიის გარდა, გამოყოფილი იყო ეროვნული უმცირესობებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ენობრივი, კულტურული და ისტორიული ასპექტების შესწავლა. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მიმართულება მოიაზრებდა მხართმცოდნეობის ორგანიზაციაში, მუზეუმებში, არქივებსა და წიგნთსაცავებში მომუშავე კადრების მომზადებას, რომლებიც უნდა დაუფლებოდნენ საბჭოთა კავშირის და კავკასიის ენობრივ, ლიტერატურულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ საკითხებს.

1926 წელს ენათმეცნიერების ფაკულტეტში შეიქმნა შემდეგი დარგები: **ქართული, კავკასიური (აფხაზურ-ჩერქეზული, ქისტური და დაღესტნური), ინდოევროპული, სემიტური და თურქული**.

ლინგვისტური განყოფილების სასწავლო გეგმის შედგენა დაევალათ პროფესორებს: **გ. ახვლედიანს, აკ. შანიძეს და ს. ყაუხჩი-შვილს**. დასახელებული კომისიის წევრების მიერ შედგენილი სასწავლო გეგმით **საენათმეცნიერო დარგის I კურსზე** ქართულ ენასა და ლიტერატურას ეთმობოდა 7 საათი, რუსულ ენას – 3 საათი, ხოლო ბერძნულ ან ლათინურ ენებს – 4-4 საათი. 1922 წელს ივ. ჯავახიშვილისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამით საენათმეცნიერო დარგის პირველ კურსზე რუსული ენა საერთოდ არ ისწავლებოდა. ამასთანავე, 1922 წლის პროგრამით გათვალისწინებული იყო „ახალი ენებიდან“ (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ერთ-ერთის შესწავლა, ხოლო ახალი სასწავლო გეგმით არ ისწავლებოდა არცერთი ევროპული ენა.

გთავაზობთ 1926-1927 წლებისთვის შემუშავებულ სასწავლო პროგრამებს, რომლებშიც ასახულია ახლადშექმნილი ენათმეცნიერების ფაკულტეტის დარგები, განყოფილებები, შესაბამისი ენები და მათი საათობრივი განაწილება:

**ქართული დარგის II კურსზე** თანაბარი საათები ეთმობოდა ქართულ ენასა და ლიტერატურას და რუსულ ენასა და ლიტერატურას (6-6 საათი). ქართველური ენებიდან II კურსზე იკითხებოდა მეგრული ენა (2 საათი), ხოლო III კურსზე - სვანური ენა (2 საათი). II, III და IV კურსებზე იკითხებოდა აგრეთვე არაბული (11 საათი), სპარსული (7 საათი), სომხური (5 საათი), ბერძნული (4 საათი) ენები. აქაც გათვალისწინებული არ იყო არცერთი ევროპული ენა.

**კავკასიური დარგი: აფხაზურ-ჩერქეზულის მიმართულებაზე II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება ასეთი იყო:** ქართული ენა და ლიტერატურა – 17, აფხაზური – 8, არაბული – 11, რუსული – 6, ჩერქეზული – 4, უბიხური – 2 და ბერძნული – 2.

**ქისტურის მიმართულებაზე II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული – 17, წოვა-თუშური – 2, არაბული – 11, რუსული – 6, დადესტნური – 6, ღლიღური და ჩაჩნური – 3, ბერძნული – 2.

**დადესტნურის მიმართულებაზე II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული – 17, რუსული – 6, არაბული – 9, ანდოდიდური – 4, ბერძნული – 2, ავარული – 2, თაბასარული – 2, დადესტნური – 2.

**ინდო-ევროპიული დარგის II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული – 17, რუსული – 6, ინდური – 4, ლათინური ან ბერძნული – 4, ირანული ან სომხური – 4, სემიტური ან თურქული – 4, ოსური – 4.

**თურქული დარგის II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული ენა და ლიტერატურა – 14, არაბული – 10, რუსული – 6, ოსმალური – 4, სპარსული – 6, აზერბაიჯანული – 6, თურქული დიალექტები – 2, ბერძნული – 2.

**სემიტური დარგის II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული ენა და ლიტერატურა – 17, არაბული – 10, რუსული – 6, სპარსული – 6, ებრაული – 6, სირიული – 5, ასურული – 3, ბერძნული – 2.

**ეთნოლოგიური განყოფილების II, III და IV კურსებზე ენების საათობრივი განაწილება:** ქართული ენა და ლიტერატურა – 17, რუსული – 7, ერთი ენა/ძველი ან ცოცხალი – 4 [სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. 190. 1926-1927 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 15-21].

საერთო ჯამში, 1926 წელს ენათმეცნიერების ფაკულტეტზე 30-მდე ენა (**ქართული (მეგრული, სვანური), რუსული, სომხური, ბერძნული, აფხაზური, ოსური, დიდოური, ავარული, თაბასარანული, დადესტნური, წოგა-თუშური, დლიდური, ჩაჩნური, ჩერქეზული, უბიხური, არაბული, სპარსული, ოსმალური, აზერბაიჯანული, სემიტური, თურქული, ებრაული, სირიული, ასურული, ინდური, ლათინური**) და მათი დიალექტების შესწავლა დაიგეგმა სხვადასხვა დისციპლინებთან ერთად. რა თქმა უნდა, პირველი ეტაპისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ენების სასწავლებლად შესაბამისი კვალიფიციური პედაგოგიური კადრებისა და შესაფერისი სახელმძღვანელოების მომზადება დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერების ფაკულტეტის გახსნა იყო მასშტაბური ღონისძიება, რომლითაც კომუნისტი იდეოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი შესაძლოა ყოფილიყო საბჭოთა ენათმეცნიერული თეორიების მეტად განვითარება და საბჭოური ენობრივი პოლიტიკის უფრო ეფექტურად განხორციელება. მიუხედავად ამისა, ქართულმა ლინგვისტურმა ისტორიოგრაფიამ ცხადყო, რომ ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა შეძლეს ენათმეცნიერების, ასევე ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგების განვითარება და მათი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ღირსეულად წარდგენა.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ,  
და ვ ი თ ჭ ე ლ ი ძ ე

**ძველ ქართულ ლექსიკონებში დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ (ლეღუსულელი/ლეღვსულელი, ლეღუსუარი/ლეღვსუარი, ლეღვ /ლეღვი)**

ძველ ქართულ ლექსიკონებში წარმოდგენილ რიგ ფიტონიმთა ამოცნობა და მათთვის კუთვნილი ადგილის მინიჭება „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ ხშირად სათანადო კვლევადიების გარეშე შეუძლებელია. ამის მისაღწევად აუცილებელი ხდება მათი სრული ლექსიკოგრაფიული აღწერა, ბოტანიკური მონაცემების გათვალისწინება და ანალიზი.

ამჯერად გვანტერესებს ფიტონიმები: **ლეღუსულელი/ლეღვსულელი, ლეღუსუარი/ლეღვსუარი** და მათი მიმართება სახელ ლეღვთან *Ficus carica* L, რომელიც პირველ კომპონენტადაა წარმოდგენილი აღნიშნულ სახელებში.

ჩვენი კვლევისთვის ამოსავალია ს.ს. ორბელიანის „სიტყვის კონის“ შემდეგი განმარტებანი 1. **ლეღუსულელი** (ლეღვსულელი ZABCbq) (2 ნეშტ. 9, 27) ესე არს, რომელსა თუთას უკმობენ, ვითარმედ (3) რომაულად ს ი კ ო მ ო რ ო ს ჟოლასა ჰქვიან. ვითარმედ ს ი კ ო – ლეღვი და მ ო რ ო ს – სულელი, ჩვენთა მთარგმნელთაცა ამის გამო აღუწერიათ, თვარა სადაცა ლ ე დ ვ ს უ ლ ე ლ ი წერილ არს, ჟ ო ლ ა ს ეწოდება, ვიეთთა ლ ე დ ვ ს უ ლ ე ლ ი და ლ ე დ ვ ს უ ა რ ი არა გაურჩევიათ ZA.... (ხე) ეგვიპტური ლეღვი Cb.“ (საბა 1991); 2. **ლეღუსუარი/ლეღვსუარი** B. (ხე) (29, 17 იერემ.) ესე არს ეგვიპტური ზრქელ–ფურცელი, რომელ(ი) ფურცელთა ზედა მოისხამს ლეღვთა ZAB.“; 3. **ლეღვ** (ლეღვი ZABCbqE) (ხე) (+ 13, 24 რიცხვ. ZAA) ZABCE“; 4. **სუარი** უჟამო ZABCab.“ (საბა 1991, 1993).

ამ განმარტებათა მიხედვით ჩანს შემდეგი: ა. ბიბლიის ქართულ ტექსტებში „ლეღვსულელის“ დადასტურება „სიკომოროსის“ ნაცვლად მთარგმნელის შეცდომაა; ბ. „სიკომოროს“ „რომაულში“ არის „ჟოლა“, „თუთა“; გ. ერთ-ერთ რედაქციის (Cb) განმარტებით,

ლეღუსუარი/ლეღვსუარი არის „ეგვიპტური ლეღვი“; დ. „ლეღვსულელს“ და „ლეღვსუარს“ შეცდომით ერთმანეთთან აიგივებენ. ე. „ლეღუსუარი/ლეღვსუარი“ ლეღვის ერთ-ერთი სახეობაა. ის ეგვიპტურია; ვ. ლეღუსულელი/ლეღვსულელი და ლეღუსუარი/ლეღვსუარი არ აღნიშნავს ცნობილ ხემცენარე ლეღვსა *Ficus carica* L. დამის ნაყოფს.

ი. ზაგრატიონის (1986 წ.) განმარტებების მიხედვით, ლეღვსულელი და ლეღვი *Ficus*-ის გვარის სხვადასხვა სახეობაა. აქვე ლეღვსულელის აღწერილობისას მითითებულია, რომ ის ეგვიპტურია, მაგრამ არ ჩანს რაიმე მინიშნება მის კავშირზე „თუთასთან“. სახელი ლეღვსუარი ამ ლექსიკონში არ ჩანს.

სხვადასხვა სახეობებადაა წარმოდგენილი ლეღვსულელი და ლეღვი რ. ერისთავის ლექსიკონშიც (1884 წ.). აქვე ისიცაა მითითებული, რომ ლეღვსულელს „ზოგნი თუთას უხმობენ“. შთამბეჭდავია ფიტონიმ „ლეღვსუარი“-ს განმარტება: „ლეღვსუარი (ეგვიპტური ლეღვი, ფურცელთა ზედა ისხამს ლეღვსა, სქელი ფურცელი იცის). Индейская фи́га. Opintia Ficus indica Mill. Ficus stipulosa (?) священная смоковница. Ficus religiosa L.“.

ჩვენი დაკვირვებით, ლეღვსუარი-ს რ. ერისთავისეულ განმარტებაში ოთხი სხვადასხვა მცენარეა დასახელებული: 1. სიკომორო („ეგვიპტური ლეღვი“); 2. ოპუნცია; 3. ღერონაყოფა ფიკუსი; 4. ხანიანი.

თავიანთ ლექსიკონებში *Ficus*-ის გვარის სახეობათა აღმნიშვნელად მიიჩნევენ ლეღვსა და ლეღვსულელს ნიკო ჩუბინაშვილი (1961 წ.) და დავით ჩუბინაშვილი (1984 წ.). ლეღუსულელი და გარეული ლეღვი სინონიმებადაა წარმოდგენილი („полевая смоковница, черничие...“) ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, სადაც არ ჩანს სახელი ლეღვსუარი. სინონიმებად მოიაზრება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ლეღვსულელი, ლეღვასური (< ლეღვსუარი) და ტყის ლეღვი („черничие, лесная смоква“). ამავე ლექსიკონებში წარმოდგენილია კომპოზიტ ლეღვსუარის მეორე კომპონენტის განმარტებანიც, შდრ.: „სუარი უჟამური, ანუ ცუდი (იერემ. 29,17), худой“ (ნ. ჩუბინაშვილი); „სუარი ზედ. უჟამური, ცუდი, несвоевременный; худой; – ლეღვი худая смоква, იერემ. 29,17“; „სუარი – ყრმა, ჩვილი, младенец“ (დ. ჩუბინაშვილი).

საკმაოდ ბუნდოვნია აღნიშნული სახელების განმარტებები ძველი ქართული ენის ჩვენ ხელთ არსებულ ლექსიკონებში – აქ



**ლედვსულელი/სიკომორო**-ს განმარტებისას ჩანს: „ლედვი“, „ველური ლედვი“, „ჟოლა“, „მოცვი“, „თუთა“, „ველური ჟოლო“, შდრ.: „**ლედვსულელი** sucomorus (sic), „ლედუ“; „თვთმავალი ლედოვანი sycaminus; ველური ლედვი, „ჟოლა“ (ი. აბულაძე 1973); „**ლედვსულელი** ლედვი (მოცვი) (ზ. სარჯველაძე 1997); „**ლედვსულელი**-ი ლედვი; თუთა“; „**ლედუ**-ი ლედვი“; „**თვთმავალი ლედოვანი** ველური ჟოლო“ (ზ. სარჯველაძე) 2001). **ლედვსუარი** ამ ლექსიკონებში არ დასტურდება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ლედვ**-ი არის *Ficus carica*, ხოლო **ლედვსულელი** და **ლედვსუარი** არ დასტურდება.

ვიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ, როგორც საბა მიუთითებს, სახელი **ლედვსულელი/ლედვსულელი** ბიბლიის ქართულად მთარგმნელის შეცდომის შედეგია. აქ მოხდა რთული სახელის მეორე კომპონენტის არასწორად გაგება და ბერძნული ფუძეების (**μύρον** „შავი თუთის ნაყოფი“; **μάρων** „სულელი“) მნიშვნელობათა აღრევა, რამაც მთელი კომპოზიტის მცდარი თარგმანი მოგვცა (ქერქაძე 1987).

სათანადო ლექსიკოგრაფიული მასალის, ბიბლიური ტექსტების, ასევე, ბოტანიკური ლიტერატურის მონაცემების (სიკომოროს აღწერილობა, მისი მიკუთვნებულობა თუთისებრთა ოჯახს, წარმოშობისა და გავრცელების ადგილი და სხვ.) გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სიკომორო ბერძნულშივე აღნიშნავდა არა თუთას, არამედ ლედვის ერთ გამორჩეულ სახეობას – *Ficus sycomorus* L.-ს (ე. წ. „ლედვთუთა“-ს), რაც ჩვენში არასწორად დამკვიდრდა თხზული სახელით – „**ლედვსულელი**“.

ანალიზის საფუძველზე „მცენარეთა სახელების კრებისითი ლექსიკონისათვის“ განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები:

1. ძველ ლექსიკონებში დადასტურებული სახელები **ლედვსულელი/ლედვსულელი** და **ლედვსუარი/ლედვსუარი** აისახება *Ficus sycomorus*-ის სინონიმებად;

2. *Ficus sycomorus*-ის პირველი რიგის სამეცნიერო სახელად (თავსიტყვა ლექსიკონში) იქნება ქართული სამწერლობო ტრადიციით დამკვიდრებული **ლედვსულელი**, მეორე – **სიკომორო**.

3. რ. ერისთავის განმარტების გათვალისწინებით, სახელი **ლედვსუარი** დადასტურდება ოთხი სხვადასხვა მცენარის სინონიმურ სახელად. ესენია: 1. **ლედვსულელი**, **სიკომორო** *Ficus sycomorus* L.;

2. **ოპუნცია, დედინაცვლისენა** *Opuntia ficus indica* Mill.; 3. **ზანაანი** *Ficus benghalensis* L.; 4. **ღერონაყოფა ფიკუსი** *Ficus caulocarpa* (Miq.) Miq.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

### **ქართული ტყუბ-ი სიტყვის სემანტიკური შესატყვისების შესახებ მეგრულში**

ქართული **ტყუბ**-ი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა: „ერთი დედის ერთდროულად ნაშობი ორი (ან მეტი) ბავშვი, აგრეთვე, ერთდროულად მოგებული ორი (ან მეტი) ბატკანი, ხბო...“ (ქეგლი 1960: 1375); ამოსავალი ფონეტიკური სახეობაა ძველ ქართულში დადასტურებული **ტყუბ** -ი. ამ ქართულ სიტყვას ფონეტიკური შესატყვისები ეძებნება მეგრულ-ლაზურსა და სვანურში, ამიტომ იგი საერთოქართველურ მონაცემად მიიჩნევა.

მეგრულში, ლაზური დიალექტისგან, ქართული და სვანური ენებისგან განსხვავებით, „ტყუპის“ აღსანიშნავად ორი სიტყვა გამოიყენება: **ტყუბი // ტყუბი** და **ნაჟირუა // ნაჟერუა // ნაჟირუ // ნაჟერუ**. პირველი საერთოქართველურიდან მომდინარე სიტყვაა, მეორე კი – მეგრულ ნიადაგზე წარმოქმნილი „ორის“ აღმნიშვნელი **ჟირ**- სიტყვისგან **ნა – უ (ა)** პრეფიქს-სუფიქსის (კონფიქსის) გამოყენებით.

ეს ორი მეგრული სიტყვა სემანტიკურად ასეა განაწილებული: პირველი „ტყუბი ბავშვის“ აღსანიშნავად გამოიყენება, მეორე, როგორც წესი, ცხოველის ერთდროულად მოგებულ ნაშიერს აღნიშნავს, თუმცა შესაძლებელია ბავშვების მიმართაც იყოს გამოყენებული.

ცალკე გამოსაყოფია **ჟირ**- „ორი“ ფუძისაგან **ნა – ა, ნა – აღ(ა)** კონფიქსით ნაწარმოები სახელები – **ნაჟირა, ნაჟირალი, ნაჟირალა**, რომლებსაც „ტყუპის ცალის“ მნიშვნელობა აქვს.

მეგრულში წარმოდგენილი ვითარება ძველია თუ ინოვაცია, შემდგომი კვლევის საგნად გვესახება.

## ენობრივი ინტერფერენციის საკითხები მაკარ ხუბუას „მეგრულ ტექსტებში“

ხალხური სიბრძნის ყველაზე პოპულარული ჟანრი არის ზღაპარი, რომელშიც ასახულია ადამიანთა სურვილი ბოროტზე გამარჯვებისა, მტრის დაძლევისა, უკეთესი ცხოვრებისა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, უძველესი ტრადიციები, ყოფა, საუკუნეებით დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილება, ისტორიული წარსული, დავიწყებული და არსებული რეალობაც კი.

მაკარ ხუბუას მიერ აფხაზეთში 1933 წელს ჩაწერილ „მეგრულ ტექსტებში“ ვხვდებით როგორც ჯადოსნურ, ასევე საყოფიერო, ცხოველთა და შერეული ტიპის ზღაპრების ნიმუშებს, რომლებიც საინტერესოა ფოლკლორისტების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფებისა და, რაც მთავარია, ლინგვისტებისთვის. ენობრივი თავისებურებების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს როგორც ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების გადმოცემის საერთო ტენდენციებს, ასევე მთქმელთა მეტყველების თავისებურებებს.

ზოგიერთ ზღაპარში გამოგონილ ამბებთან ერთად ასახულია მაშინდელი ყოფა, სინამდვილე. გარდა ზღაპრული ელემენტებისა და ზღაპრული პერსონაჟებისა (ჯადოსნური მაკრატელი, სიცოცხლის წყარო, დევი, როკაპი ქალი, ჯადოქარი, გველეშაპი...), გვხვდება იმ პერიოდისთვის თანამედროვე მომენტები: გიტარაზე დაკვრა, გაზეთის კითხვა, ფონოგრამის გაგზავნა, საკერავი მანქანით კერვა, ავტომობილით მგზავრობა, ექვს, თორმეტ და ოცდაექვს სართულიანი სახლებიც კი, კატორღა, ფაბრიკა, ქარხანა, ბულვარზე სეირნობა და სხვ... მაგალითად:

ჯიმალეფი **გაზეთის კითხუენა** დო დუს უქაცუანა. მუ ამბე ჯიმალეფია, უწუ ალექ, მუ ჭარე გაზეთისია? – „მმები გაზეთს კითხულობენ და თავს აქნევენ. რა ამბავი ძმებოო, უთხრა ალემ, რა წერია გაზეთშიო?“, ეკევა, ქარწყექიავო უჩა **ფაფრიკა** მოჩქენია თაურევე, ქარწყექიავო? ეთინა რენია **ფაფრიკავა**, ზავოდი მაფე მონწყილია... – „ეკეო, ხომ ხედავო, შავი ფაბრიკა რომ მოჩანს აქედანო, ხედავო? ისაა ფაბრიკაო, ზავოდი (ქარხანა) მაქვს მოწყობილიო...“

(ხენწევემ უკულაში სქუა დო ჭყიშიშ არიკი-„ხელმწიფის უმცროსი შვილისა და მწყემსის ზღაპარი“. არტე კოსტას ძე გაგუა. დრანდა, ქვემო შაფი. 23.07.1933).

ჭიშკარი განჯუ დო მინღლ ვიშო, წგმნჯინუნ, ათე აბარწას, ბალკონს, ძღაბი **გიტარას** მითქანგანს – „ჭიშკარი გააღო და შევიდა შიგნით, რომ გაიხედა, ამ აივანზე, ბალკონზე, გოგო გიტარაზე უკრავს“; გინოჩია თენერი **ფონოგრამა** სქანი სახენწეფოს... „გადაეციო ასეთი ფონოგრამა შენს სახელმწიფოში“; ხენწიფექ, მუ რაგადი ოკო, გინოჩუ **ტელეფონოგრამა**... „ხელმწიფემ, რა თქმა უნდა, გადასცა ტელეფონოგრამა“; ართი ჯგირი მახორო, ჯგირი **დვორეცი** ქოძირე. „ერთი კარგი მაცხოვრებელი, კარგი სასახლე ნახა“; თექი ენია ჩქიმი ვეში დო ოსურეფია. „იქ არისო ჩემი ნივთები და ქალებიო“; ძღაბი ქიმიძონე ხენწევემ **კაბინეტიშა**. „გოგო მიიყვანა ხელმწიფის კაბინეტში“... (ალექსანდრე დო დავითიშ არიკი – „ალექსანდრესა და დავითის ზღაპარი“. პილა ჯამუს ძე იზორია. 45 წლის. სოფელი დრანდა. 23.07.1933).

მოცემულ ტექსტებში ზოგი მთხრობელი ხშირად იყენებს რუსიზმებს და უჩვეულოდ არაზღაპრულ ლექსიკას. მაგ.: აკოპი გონთხორუ („სანგარი გათხარა“), კატორღაქ აყუ (კატორღა შეექმნა“, გაუძნელდა), ზაკაზი („შეკვეთა“), ოჩერედი („რიგი“), პალატკეფი („კარვები“), მაშინა („მანქანა“, იგულისხმება საკერავი მანქანა), პილატოკი („ხელსახოცი“, „ცხვირსახოცი“), ტაბაშნიცა („სათუთუნე“), ამტომობილი („ავტომობილი“) და სხვ.

ჩვეულებრივ, ტექსტებში გვხვდება ქართიზმებიც: ჩე რაშით, ჩე კოჩი, ჩე **ტანისამოსიშ** გომონწყილი ქუმურს...თეთრი რაშით, თეთრი კაცი, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მოდის“; მუთ საჭირება რენ, თინა მულუნა. „რაც საჭიროებაა, ის მოაქვთ“; – მუშა რე **საქმევა**, კითხე ბოშიქ. „– რაშია საქმეო, ჰკითხა ბიჭმა“; (ჟირი დალეფი დო ართი ჯიმაშ არიკი – „ორი დისა და ერთი ძმის ზღაპარი“. დარია დიმიტრის ასული კვარაცხელია-ტყეზუჩავა. 60 წლის. სოფელი ნაა. 20.07.1933). მა სი მერჩანქია **საკითხისია**, უწუ... – „მე შენ მოგცემო საკითხს (კითხვას), უთხრა...“; ოსურენს უჯერსენ თი ქომოლეფია, ოსურს **ქიმშუანგარიშია** – „ქალებს რომ უჯერებს ის კაცებიო ქალებში ვიანგარიშეო (ჩავთვალეო) (მეხვამილაფირ კოჩიშ არიკი – „მიხვედრილი კაცის ზღაპარი“. ნიკო თედორეს ძე თურქია. 65 წლის. სოფელი ნაა. 21.07.1933).

მაკარ ხუბუას მეგრულ ტექსტებში შემონახულია მეგრულის ქართულთან და რუსულთან ინტერფერენციის ამსახველი მაგალითები. მართალია, მასალა ჩაწერილია აღმოსავლეთ აფხაზეთში, ვიგულისხმეთ სოხუმს აქეთ, ენგურისკენ, მდებარე სოფლები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ტოპონიმები, ისევე როგორც მთქმელთა ოიკონიმები ქართველურია. მეტყველებაში არ ჩანს აფხაზურთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი კვალი. მკვლევარს მოუვლია გულრიფშის (დრანდა, ქვემო ფშაფი), ოჩამჩირის (ტამიში, კოჩარა, ნაა), გალის (ბე-დია, აგუბედია, პირველი ბედია, მაჟია//მეორე ბედია) სოფლები. ავტორს მითითებული აქვს ისიც, ადგილობრივია მთქმელი, თუ გადმოსახლებულია აფხაზეთში საქართველოს სხვა კუთხიდან. მაგ., „ვლადიმერ სპირდონის ძე გეგელია. 56 წლის. დრანდა. დაიბადა სალხინოში. აქ ცხოვრობს 1908 წლიდან“.

მაკარ ხუბუას „მეგრული ტექსტები“ გამოიცა 1937 წელს. ეს ნაშრომი დღესაც საინტერესო მასალას გვაწვდის იმდროინდელი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის – მეგრელთა მეტყველების თავისებურებების, ყოფის, აზროვნების, წარმოდგენების შესახებ.

## **პროექტი „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“**

(პროექტი (№FR-18-072) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

### **ზოონიმების შემცველ კომპოზიტთა აგებულებისა და სემანტიკის თაობაზე ხუნძურ ენაში<sup>1</sup>**

ხუნძურ ენაში მოიპოვება არაერთი კომპოზიტი, რომელიც საყურადღებოა ენობრივი მსოფლხედვის თვალსაზრისით. ამ ენის კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაში ბუნებრივია ერთი რომელიმე საგნის კომპოზიტური სახელდებისათვის სხვა საგნის აღმნიშვნელი ფუძის გამოყენება ერთ-ერთ კომპონენტად. ამდაგვარად შედგენილი სახელწოდებებით (კომპოზიტებით) საკმაოდ მდიდარია არა მარტო ხუნძური, არამედ სხვა დადესტნური ენებიც. ასეთი კომპოზიტების ზოგიერთ მაგალითად ხუნძურ ენაში შეიძლება დავასახელოთ **შურუნყურყ** „კუ“ (← შურუნ „ჯამი“ + ყურყ „ბაყაყი“), **წადალჰამა** „ლოკოკინა“ (← წად-ა-ლ „წვიმის“ + ჰამა „ვირი“), **ოცჰუტ** „ხოჭო“ (← ოც „ხარი“ + ჰუტ „ჭია“), **ტურულმ** „მორიელი“ (← ტურულ-ლ „კლდის“ + ოც → ოს → ომ „ხარი“), **რალდალგარწ** „კიბო“ (← რალდა-ა-ლ „ზღვის“ + გარწ „კალია“), **ბეცაშუნკა** „თხუნელა“ (← ბეცა-აბ „ბრმა“ + შუნკა „თაგვი“) და სხვა.

მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია „ვირის“, „ხარის“, „ძროხის“, „კატის“, „კვერცხის“ აღმნიშვნელი ფუძეების შემცველი კომპოზიტები, რომლებითაც ხუნძურ ენასა და მის დია-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

ლექტებში სახელდებულია სხეულის ნაწილები, მცენარეები, სხვადასხვა სულიერი არსებები, უსულო საგნები; მაგ., ჰამარატა „ბეჭის ძვალი“, ზედმიწ. „ვირი-ძვალი“; ჰამანაკა „მუხა“, ზედმიწ. „ვირი ფიჭვი“; წადალჰამა „ლოკოკინა“, ზედმიწ. „წვიმის ვირი“; ჰამანა „მამალი ფუტკარი“, ზედმიწ. „ვირი ფუტკარი“; ოცჰუტ „ხოჭო“, ზედმიწ. „ხარი ჭია“; ზუზუმაქა „ბზიკი“, ზედმიწ. „ბზული-ძროხა“; მუბჩიმაქა „გირჩი“, ზედმიწ. „ფიჭვის ძროხა“; ქითიჰან „სოკო“, ზედმიწ. „კატის ყველი“; ქათიხერ „valeriana“, ზედმიწ. „კატის ბალახი“; მურულხონო „რიყის ქვა“, ზედმიწ. „მდინარის კვერცხი“ და სხვ.

მოხსენებაში წარმოდგენილია ამდაგვარი კომპოზიტური სახელდების მოტივაციის ახსნის ცდები; მაგ., დიალექტური კომპოზიტი ჰამარატა „ბეჭის ძვალი“, ზედმიწ. „ვირი-ძვალი“. სემანტიკის განვითარება აქ, სავარაუდოდ, შეიძლება მომხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „მზიდავი პირუტყვი“ → „პირუტყვი, რომელსაც ზედ ადებენ რაღაცას (მაგ., ტვირთს)“ → „რაღაცის ზედ დასადები რაშ“ → „რაღაცის სადგამი“ → „რაღაცის საყრდენი (მაგ., ძვალი)“. აღსანიშნავია, რომ ზოგ სამხრულ დიალექტსა და კილოკავ-თქმაში „ბეჭის ძვლის“ მნიშვნელობით ოდენ ჰამა ფუძეც გამოიყენება, ხოლო ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) იმავე ჰამა ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის, აგრეთვე, „ქვედა ყბა“.

საყურადღებოა ამ მხრივ ჰამა („ვირი“) სიტყვის გამოყენება სწორედ „სადგამის“, „საყრდენის“ მნიშვნელობით სხვადასხვა უსულო საგნების სახელწოდებებში; მაგ., ჰამა „კერაზე ქვაბის დასადგმელი ქვა“, აგრეთვე – „ხარაჩო“, ზედმიწ. „ვირი“; ქინიდულ ჰამულ „აკვნის ფეხები“, ზედმიწ. „აკვნის ვირები“; ტარმილ ჰამა „ფანდურის სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ფანდურის ვირი“.

ჰამა სიტყვა ხუნძურში იხმარება ადამიანთან დაკავშირებითაც და აქვს ერთობ თავისებური, ქართულისათვის უჩვეულო მნიშვნელობაც – „ხელისმომკიდე“, „მდადე“ (ქორწილში), მაგ., ბაჰარასულ ჰამა „ხელისმომკიდე“, ზედმიწ. „ნეფის ვირი“ (ვაჟი); ბაჰარალულ ჰამა „მდადე“, ზედმიწ. „პატარძლის ვირი“ (ქალი). ამ შემთხვევაში სემანტიკის განვითარება, სავარაუდოდ, შეიძლება მო-

მხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „საყრდენი“ → „თანამდგომი, თანაშემწე“ → „ხელისმომკიდე“.

დიალექტური კომპოზიტი ტორცო-ჭამა აღნიშნავს „ნაკელის ხოჭოს“. რაც შეეხება „ვირის“ აღმნიშვნელი ჭამა ფუძის გამოყენებას ამ კომპოზიტურ სახელდებაში, ეს ალბათ განაპირობა „ვირის“, როგორც მზიდავი პირუტყვის მნიშვნელობამ, რომლის მიხედვითაც ხოჭოს გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ამ კონკრეტული კომპოზიტის შედგენისას ჭამა („ვირი“) კომპონენტი გამოყენებულ იქნა მნიშვნელობით „ნაკელის მზიდავი“.

დიალექტურ კომპოზიტში ჭამანა „მამალი ფუტკარი“ (ზედმიწ. „ვირი ფუტკარი“) მნიშვნელობის განვითარება, სავარაუდოდ, შეიძლება მომხდარიყო ასე: „ვირი“ → „ჯიუტი / ცუდი ხასიათის მქონე“ → „უმაქნისი“ → „უსარგებლო“.

ხუნძური ენის კომპოზიტთა ანალიზისას მოხსენებაში შესაძარებლად მოხმობილია სათანადო მასალა კავკასიის სხვა ენებიდანაც.

## ნოდარ არდოტელი

### **ზოგი კომპოზიტური თეონიმის ეთნოლინგვისტური ანალიზისთვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში<sup>1</sup>**

ქართულ წარმართულ პანთეონში ჯერ მთვარის, შემდეგ მზის კულტს ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაც ცხადყოფილია ნუმინმატიკური მასალით („ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის მთვარის, ანუ მთვარის ღმერთის, იდეოგრამა“ – რ. პატარიძე), ფოლკლორული ტექსტებით („მზევ, შინა და, მზევ, გარეთა, მზევ, შინ შემოდო! ეემ მზის მადლმ! ჩემ ძმათ მზეემ!“), მითოლოგიური

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).



პერსონიფიცირებული მონაცემებით („მზე დედა ჩემი, მთვარე – მამაჩემი“) და საკულტო-რელიგიური ტექსტებით – სადიდებლებით („დიდება მზესა, მზის მყოლ ანგელოზთა, დიდება დიდს კვირაესა...“). გასაგები მიზეზების გამო, ქართულ სინამდვილეში კომპოზიციის სახით **მზეკაცი** (შდრ. **მზეკაბუკი**) არ დასტურდება, მაგრამ მოგვეპოვება **ღმერთკაცი** „რელიგიური რწმენით – ღმერთთან გათანაბრებული ადამიანი“ (ქეგელი). გარდა ამისა, ხელშესახებია ეთნონიმი **მზექალი**, რომელიც ძველ რწმენა-წარმოდგენებში ქალ-ღვთაებას წარმოადგენდა. ხევსურულ კილოში **მზექალი** ხატის ენაზე **მზეს** ნიშნავს და სოლარულ მითებში მნიშვნელოვან პერსონაჟად გვევლინება. ამასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს დარ-ავდრის ღვთაება **პირიმზეც**.

ნახურ წარმართულ პანთეონში გვხვდება ერთ-ერთი ღვთაების სახელი **წიჷ**, რომელიც ასეა წარმოდგენილი: ჩეჩნ. **წჷ<sup>1</sup>**, ქისტ. **წიჷ**, ინგ. **წჷჷ**, ბაცბ. **წიბ**. პ. უსლარი მას შემდეგნაირად განმარტავს: „ног у язычников-чеченцев, обожаемый в виде некоторых скал, рош, камней“. ეგვევ სახელი თავს იჩენს მეორე სალოცავის სახელწოდებაში (თუშოლი **წიჷ**), რომლის პირველი კომპონენტი ეტიმოლოგიურად **ღვთიმზობელს** უკავშირდება (ალ. ჭინჭარაული).

ამ თეონიმთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ინგ. **წაისაგ** < **წაი-საგ** (< **წაი** „ღვთაება“ – **საგ** „კაცი“ = „წმინდა კაცი“, „ღვთისკაცი“) „ხევისბერი“ (< „ქურუმი“). ამ ღვთაების სახელი **წჷ** შეიძლება დაუკავშირდეს ხუნდ. **წობ**-ს (შდრ. ჩეჩნ. **წ, ბ** : ხუნდ. **წ, ბ**), რომელიც გადახრილ-გადააზრიანებული მნიშვნელობით „**წყალობას**“, „**მოწყალებას**“ გამოხატავს (კომპოზ. **რაჰმუ-წობ** „წყალობა-გულმოწყალება“), თუმცა რელიქტურად შემონახულია ამ ღვთაების ამოსავალი ფორმა (**წობა**) და მნიშვნელობა ლოცვა-წყევლის ფორმულებში: ალ-ლაჰას: **წობ** ლევი! „ალაჰმა წყალობა მოგცეს (დადვას)!“. მნიშვნელობის ტრანსფორმაცია-დავიწროება, როგორც ცნობილია, განპირობებულია ისლამის გაბატონებით, რასაც კონტამინირებული ფორმაც (**წობ-ალლაჰ** „წობ-ალაჰი“, შდრ. **ბეჩედ-ალლაჰ/ალლაჰ-ბეჩედ** „ღმერთ-ალაჰი“ >// „ალაჰ-ღმერთი“) ცხადყოფს. ხუნძურშიც მანამდე

<sup>1</sup> ერთ-ერთ კომპოზიტურ ტოპონიმში **წუნტელო** თ. უთურგაიძე სწორედ ამ სალოცავს ხედავს: **წუნტელო** (< **წუნ-ტე-ლო** ზედმიწ. „ხატისგორთანა“) [უთურგაიძე 1966: 100-101].

ანდიური ენის ანალოგიური ვითარება უნდა გვქონოდა, რომელშიც **წობ** დღესაც **ღმერთს** ნიშნავს. შესაძლოა, თუმშურ დიალექტში თავჩენილი სახელი **წოროტაც** (< **წორო-ტა-ც** „ხატზე“) ამავე წარმომავლობისა იყოს.

საანალიზო თეონიმი ერთგვარ პარალელიზმს ავლენს უდიურ ენაში გ. ვოროშილის მიერ განხილულ კომპოზიციური აგებულების თეონიმთან **ბედიშ** (< **\*ბედიშ** < **\*ბედ** „მზე“ – **იშ** < **\*იშყარ** „მამრი“, „მამაკაცი“), რომელიც, თუ სქესს არ გავითვალისწინებთ, ქართ. **მზე-ქალთან** პოლობს ანალოგს.

ქართულ მითოლოგიაში ცნობილია „ნადირთა წინამძღოლი“ (საბა) და მფარველი ღვთაება – **ოჩოპინტე/ოჩოპინტრე** (ხევს.), **ოჩონ-პეტრემ** (თუმ.), **ოჩოპინტრა** (რაჭ.) (შდრ. მეგრ. **ოჩოკოჩი** < **ოჩო-კოჩი** „ოჩო-კაცი, ურჩი კაცი“), რომელიც თხზული სახელი ჩანს: **ოჩო-პინტე**. ცნობილია, რომ **ბოჩი** (< **ვაჩი** – ივ. ჯავახიშვილი) ძველი წარმართული ღვთაება (**„ქართველთა კერპი“** – კირ.) იყო, რომელიც ზემოხსენებული კომპოზიციის ნაწილია.

რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ ენებს, აქ **ალლაჰის** ექსპანსიას გამოუდევნია ეს ღვთაება, თუმცა იგი (ხუნძ. **ბეჩედ** < **ბეჩ-ედ** „ღმერთი“) რელიქტურად შემორჩენილა ხუნძ და ზოგ ანდიელ-დიდოელ ხალხებში. ხუნძურში დასტურდება კონტამინირებული ფორმებიც: **ბეჩედ-ალლაჰ**, **ალლაჰ-ბეჩედ**, **ალაჰჰასულ ბეჩედ** (ზედმიწ. „ალაჰის ღმერთი“). სავარაუდოა, რომ გენეზისურად ქართ. **ბოჩი** ხუნძ. **ბეჩედ** („ღმერთი“) თეონიმს უკავშირდებოდეს.

წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება – **ელია** უკავშირდება ელია წინასწარმეტყველს, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში. კერძოდ, ქართველურ ენათა (ზან. **ალ/ელ**: ელიობა/ეიობა, სვან. **ელ**, **ელმა**, **მელ**, **მელმა**: ელმამგლამ „ელიას ალი“) გარდა, იგი თავისებური ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია ზოგ სხვა საკვლევ ენაშიც, მაგ.: ჩეჩნ. **სთიელა** (< **\*სთაგ-მელა** „კაც-ღვთაება“, ზედმიწ. „კაც-ელია“: **სთიელა-ყად** „ელიას მშვილდი“), ინგ. **სიელა** (< **\*საგ-მელა** „id.“: **სიელა-ყად** „id.“), ადიღ. **ელე** / **ელმა**. ირკვევა, რომ ჯერ ელიამ ჩაანაცვლა ზოგი ლოკალური ღვთაება, შემდეგ კი ალაჰმა მეტ-ნაკლებად გამოდევნა მრავალღვთაებრიანობა.

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ხევსურეთში დევ-კერპებთან მორკინალი **იაქსარი** დევთა ამოწყვეტისას დაჭრილ დევს

**ახუდელაურის** ტბაში ჩაუსწვრია. ლახტმომარჯვებული იაკსარი თავადაც ჩაჰყოლია და შეუმუსრია დევები ტბაში, თუმცა სისხლში მხარნი გაბმიან და ვედარ ამოსულა მანამდე, სანამ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი არ შეუწირავთ. დაახლოებით ანალოგიური სიუჟეტები დიდოელთა მითოლოგიაშიც იჩენს თავს იმ განსხვავებით, რომ მათ რწმენა-წარმოდგენებში ტბასთან ცხვრის დაკვლას და სისხლის ტბაში ჩადვრას საკულტო დანიშნულება ჰქონდა. მსხვერპლთშეწირვის რიტუალს განსაკუთრებით გვალვისას ასრულებდნენ ერთ-ერთ მთაზე (**ხილოტ-ოსტო** ზედმიწე. „ხილოტლო-ხარზე“), ვინაიდან იგი ნაყოფიერებისა და შვილიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

მოხსენებაში წარმოდგენილია ზოგი სხვა თხზული თეონიმის ეთნო ლინგვისტური ახსნის ცდა.

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### **რამდენიმეკომპონენტისანი კომპოზიტები ადილეურსა და აფხაზურ ენებში<sup>1</sup>**

აფხაზურ და ადილეურ სახელურ კომპოზიტებში ცალკე ჯგუფს ქმნის რამდენიმე (ორზე მეტ) კომპონენტისანი შედგენილი სიტყვები. ეს ფორმები, მიუხედავად სირთულისა, ძირითადად ერთცნებიანია.

აფხაზური რამდენიმეკომპონენტისანი კომპოზიტები

**აჟცეიმაა** „ქალამანი“ (< აჟ „ძროხა“, აცა „ტყავი, კანი“, აიმაა „წულა“ = ძროხის ტყავისაგან დამზადებული წულა);

**ა-ჟკამმაშწორგ** „ბერწი კამეჩი“ (ა-ჟ „ფური“, (ა)კამმაშ „კამეჩი“, (ა) წორგ „ბერწი“ = ბერწი ფურკამეჩი);

**ა-ჩაშემგაღ** „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (ა-ჩა „პური“, ა-შე „ყველი“, მგაღ „მჭადი“).

---

<sup>1</sup> მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR 18-072 პროექტის ფარგლებში

ადილეური რამდენიმეკომპონენტის კომპოზიტები:

**ფჯგსწლგ** „სხეული“ (< ფჯგ „ძვალი“, სწ „ტყავი, კანი“, ლგ „ხორცი“).

**ლწგტგ-ფს** „პაჭანიკი“ (< ლწ- „ფეხი“, ფსგ „თასმა, ზონარი“, გტგ ჩვენი აზრით, შესაძლოა, შუა ნაწილის აღსანიშნავად გამოყენებული გულის საერთოკავკასიური იზოგლოსის ადილეური გვ ფორმა იყოს).

მოხსენებაში წარმოდგენილი და განხილული იქნება მსგავსი სტრუქტურის კომპოზიტები, მათი ეტიმოლოგია.

## დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

### **კომპოზიტთა ტიპოლოგიური მახასიათებლები კავკასიის ენებში<sup>1</sup>**

მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიცია თითქმის უნივერსალური სიტყვაწარმოებითი საშუალებაა, ტიპოლოგიური კვლევები ამ კუთხით ჯერ კიდევ ნაკლებად მოიპოვება. მწირია შედარებითი ლიტერატურა კავკასიაში გავრცელებული სხვადასხვა ოჯახისა თუ ქვეჯგუფის ენების თხზული სახელების შესახებაც.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს **ქართული, წოვათუშური, ჩეჩნური, ინგუშური, ოსური, უდიური, აფხაზური, ადილეური, ყაზარდოული, ლეზგიური, ხუნძური, სომხური** ენების თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურის ტიპოლოგიური აღწერა და შედარებითი დახასიათება, საერთო ტენდენციებისა და სპეციფიკური მახასიათებლების, ყველაზე პროდუქტიული მოდელების გამოვლენა. უფრო კონკრეტულად კი, ყურადღება დაეთმობა რთული სიტყვის შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთმიმართებებს, მათ შორის არსე-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-072, არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)).

ბულ მორფო-სინტაქსური ურთიერთობის სახეებს და ძირითადი წევრის, მეთაური სიტყვის რაობისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრას. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება დაკვირვება, თუ რა გავლენას ახდენს ენათა განსხვავებული სტრუქტურა ისეთ უნივერსალურ ენობრივ მოვლენაზე, როგორც კომპოზიციაცია.

## რომანოლოღია

### რედუქლიკაცია ლეზგიურ ენებში<sup>1</sup>

ლეზგიურ ენებში რედუქლიკაციას ლექსიკურის გარდა აქვს გარკვეული გრამატიკული ფუნქციაც. როგორც წესი, ის დერივაციისთვისაა გამოყენებული, ხოლო იშვიათად – ფლექსიისთვის.

ლეზგიურ ენებში ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიულია კრებიტობის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც ძირითადად აღნიშნავენ რაიმეს ან ვინმეს მის მსგავსთა შორის. ამ მნიშვნელობის კომპოზიტები, როგორც წესი, იწარმოება ე. წ. ექორედუქლიკაციის მეშვეობით, რომელიც, ლეზგიური ენების გარდა, გავრცელებულია სხვა დადესტურსა და არამონათესავე არეალურ ენებშიც. ეს გაორკეცებული ფუძეა, რომლის მეორე კომპონენტში, როგორც წესი, საწყისი თანხმოვანი შეცვლილია მ- თანხმოვნით, მაგ., ლეზგ. **ჟერგ-მერგ** „ქათამი და სხვა შინაური ფრინველები“ (**ჟერგ** „ქათამი“); აღ. **გურ-მურ** „ფინჯანი და სხვა ჭურჭელი“ (**გურ** „ფინჯანი“).

გარდა კრებიტობის მნიშვნელობისა, ამ ტიპის გაორკეცებული ფუძეები ხშირად პეიორატიული მნიშვნელობითაც იხმარება. ზოგჯერ, მ- თანხმოვნის ნაცვლად, სხვა კონსონანტებიც გამოიყენება, ხოლო ხშირად ექორედუქლიცირებული კომპოზიტები ხმოვნების

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072 „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“.

მონაცვლეობით იწარმოება, მაგ., **ჰაი-ჰუი** „ხმაური, აურზაური“, რუთ. **თარაფ-თურუფ** „id“, **გადა-გუდი** „არასერიოზული ადამიანი“.

საფიქრებელია, რომ ექორედუპლიკაცია ლეზგიურ ენებში ჩამოყალიბდა გარშემომყოფი ალთაური ენების გავლენით.

აგრეთვე ალთაური ენების გავლენით უნდა იყოს ჩამოყალიბებული რედუპლიკაციის ე. წ. პრეფიქსური მოდელი ლეზგიურ ენებში, მაგ., უდ. **ქაჯი** „მჟავე“ – **ქაფ-ქაჯი** „ძალიან მჟავე“.

ლეზგიურ ენებში გავრცელებულია რედუპლიცირებული კომპოზიტები, რომლებიც „დისტრიბუტულ მრავლობითობას“ აღნიშნავენ, მაგ., ლეზგ. **ლიტან-ლიტან** „წვეთ-წვეთ“, თაბ. **თქი-თქი** „ნაჭერ-ნაჭერ“ და ა. შ. ზოგჯერ რედუპლიკაცია აწარმოებს ლექსემებს დროის აბსტრაქტული სემანტიკით, მაგ., რუთ. **არა-არა** „ზოგჯერ, დროდადრო“ (შდრ. **არა** „შუალედი, ინტერვალი“).

რედუპლიკაცია ხშირია რიცხვით სახელშიც, მაგ., ლეზგ. **სა(დ)-სად** „თითო-თითო“ (**სად** „ერთი“), **ფუდ-ფუდ** „სამ-სამი“ (**ფუდ** „სამი“), **წუდ-წუდ** „ათ-ათი“ (**წუდ** „ათი“) და ა. შ.

გრამატიკული რედუპლიკაციის სხვა მოდელები ლეზგიურ ენებში არ არის პროდუქტიული.

ლექსიკური რედუპლიკაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ბგერწერითი და ხმაბაძვითი ლექსიკისთვის. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები გვხვდება შემდეგ ძირითად სემანტიკურ ჯგუფებში, ესენია:

თავისებური მეტყველების მქონე პირთა აღმნიშვნელი: ბუდ. **ლალლად**, უდ. **ლალლადი** „ლაქლაქა“, აღ. **ყაზაბ || ზაზაზ** „მუნჯი, ყრუმუნჯი“;

მუსიკალური საკრავები: უდ. სიმსი, რუთ. სიფსი „სალამური“, აღ. **გარგარ**, წახ. **გერგერ** „ზარი“;

ფრინველების სახელწოდებანი: უდ. **გუ'გელ** „ბუ“, აღ. **ბიდბიდ** „ინდაური“;

ცხოველების სახელწოდებანი: რუთ. **ზაყუყ** „დათვის ბელი“, ჯაჯუ „ზღარბი“;

სხეულის ნაწილები: უდ. **ზიზამ** „ელენთა“, აღ. **ზადზად || ზაზ-ზაზ** „ბიბილო (მამლის)“...

ფუძეგაორკეცებული არსებითი სახელების მნიშვნელოვანი ნაწილი ლეზგიურ ენებში ნასესხებია ახლომდებარე ალთაური ენებიდან (აზერბაიჯანული, ყუმუხური) ან შესულია მათი გზით. თუმ-

ცა დასტურდება ძირეული ლექსეზებიც და ზოგიერთი მათგანი რეგულარულ და კანონზომიერ შესატვისობებს იძლევა. მოხსენების დროს იქნება წარმოდგენილი საერთოლექსეზური ფუმეგაორკეცებული ლექსიკა და მისი პარალელები სხვა დადესტნურსა და იბერიულ-კავკასიური ენების სხვა ჯგუფის ენებში.

## პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონი. II“

(პროექტი №FR-18-3659 ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)

ნოდარ არდოტელი

### ტოპონიმთა წარმოება დიდოურ ენაში<sup>1</sup>

1. დიდოური ენის ტოპონიმიაში ყურადღებას იქცევენ ისეთი მიკროტოპონიმები, რომლებიც, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, აღწერთად არიან ნაწარმოები – მსაზღვრელი სახელი, როგორც წესი, გენტივის (resp. ლოკატივის) ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო საზღვრული სახელობით ან რომელიმე ადგილობით ბრუნვაში დგას, მაგ.: **ზექო-ს ღუნაზი** „ფიჭვნი“ (ზედმიწ. „წიწვის ხეები“), **ცეტოზა-ს ჰონ** „სათიკნე მთა“ (ზედმიწ. „საჰადელთა მთა“), **რეცენიო-ს გუპ** „ჭიანჭველას გორა“, **აჯიდე-ს გოგა** „სათუმე ვაკე“ (ზედმიწ. „თუმის ვაკე“), **შეთრო-ს ლ'ი-ხ** ზედმიწ. „ბაყაყის წყალთან“, **ჰაჟი-ზ** (<ჰაჟი-ს) **ქიქ-ხო** ზედმიწ. „ჰაჯის წყაროსთან“, **ჯუდე-ზ** (<ჯუდე-ს) **გუპე-ლ** „ურჩხულის ბორცვქვეშ“ და მრ. სხვ.

2. არაიშვიათად ორკომპონენტთან ტოპონიმებში მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში დაისმის. ამასთან, მსაზღვრელად გამოყენებული ვითარებითი ზედსართავი სახელი, როგორც წესი, **-ნი** სუფიქსდართული სახით გვხვდება, მაგ.: **ბიგუნი მჟალი** ზედმიწ. „კარგი ცხვირი რომელიცაა“, **ბელენი მეცრებ** ზედმიწ. „პატარა ენასთან“, **თაჯ'ოსი ქერუ** „წყალსიქითი“ (ზედმიწ. „იქითა მდინარე“) და მისთ.

3. დასტურდება, აგრეთვე, ორგანულად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელთა ეტიმოლოგია ყოველთვის ნათელი არ

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-3659).



არის, თუმცა ხშირად რომელიმე ლოკატიური ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი: ა) სუპერესივი: ქიქ-**ტო** „წყაროზე“, ყირმო-**ტ** (<ყირმო-**ტო**) „სახნავი მიწა“ (ზედმიწ. „ფიცარზე“), ცეკი ბეხტაძა ჰონ-**ტო** „სამოვარი“ (ზედმიწ. „თიკანმონაკლავ მთაზე“)...; ბ) აფუ-დესივი: ქერო-**ხ** „მდინარესთანა“, თათანუ-**ხ** „ნასვენი მიწა“ (ზედმიწ. „თბილთანა“)...; გ) სუბესივი: გიბა-**ლ** „მთის სახელი“ (ზედმიწ. „მტვერქვეშ“, „ქვიშის ქვეშ“), ბეკე-**ლ** „წყაროს სახელი“ (ზედმიწ. „მზის ქვეშ“)...; დ) ინესივი: ბეხორა-**ლ** „სამოვრის სახელი“ (ზედმიწ. „მალაღში“), მეზა-**ლ** „ხუტორის სახელი“ (ზედმიწ. „ჭაობში“) და ა. შ.

4. შედარებით ნაკლებად გვხვდება კომპოზიტური აგებულების ტოპონიმები, რომლებშიც პირველი კომპონენტი შეიძლება სხვადასხვა ძირითად ბრუნვაში დაისვას, მაგ.: **ნაკურ+ალ** (<**ნაკურ+ყალ**) „მუხათსოფელი“ (ზედმიწ. „მუხას-სოფელი“), **ყირიმო+მაკიტ** „სკამკულა“ (ზედმიწ. „სკამიკულაზე“) და მისთ.

5. დიდოური ენა, მისი გავრცელების არეალიდან გამომდინარე, მდიდარია ორონიმებითაც, რომლებიც შეიძლება ნაირგვარი ფორმით გამოვლინდეს და სხვადასხვაგვარი ოროგენეზისი მოეპოვებოდეს, მაგ.: **ლუტო გოგა** „დაბლობი“, **გუბტო** „ბორცვიანა“ (ზედმიწ. „ბორცვზე“), **ცეკიბეხტაძა** ზედმიწ. „თიკანმონაკლავას გავლით“, **მაკიტ** ზედმიწ. „კულაზე“, **ილანხევი** „ილიას ხევი“, **საბაკუნის ხევი** და მრ. სხვ.

6. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ორონიმი, რომელთაც საკულტო-რელიგიური და საწესჩვეულებო დატვირთვა აქვთ. კერძოდ, პირველი მთის სახელწოდება არის **ქიდილაშანი**, რომელიც მდებარეობს ხუტრახსა და ჩალიახს შორის. ეს ორონიმი ზეპირმეტყველებაში ჩვეულებრივ ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის – I სერიის ესივის ფორმით და სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით იჩენს თავს: **ქიდილაშანი-ხ**, **ქიდილაშაშნი-ხ**, **ქიდილაშამნი-ხ**. როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ მთაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს თოჯინები და ბრინჯაოს სხვა ნაკეთობანი. გადმოცემებით და სხვა ფაქტობრივი მასალებით ირკვევა, რომ ამ მთას დიდოელთა რწმენა-წარმოდგენებში საკულტო დანიშნულება ჰქონდა (მსხვერპლთშეწირვის რიტუალს განსაკუთრებით გვალვისას

ასრულებდნენ), ვინაიდან ნაყოფიერებისა და შვილიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა<sup>1</sup>. ამ ორონიმის ეტიმოლოგია ასე წარმოიდგინება: **ქიდილაშანიხ** < \***ქიდ-ილა-შა-ნი-ხ** (ქიდ „გოგო“, ქიდ-ი-ლა „გოგონა“, -**შა**-//<-**შაჟ**-//**შაჰ**- „-იან“-“, -**ნი** „განსაზღ. ნაწ.“, -**ხ** „-თან“) „იმ გოგონიანთან“ (ზედმიწ. „სწორედ გოგონიანთან“).

რაც შეეხება მეორე მთის სახელწოდებას – **ხილოტ-ოსტო**, მასაც ზემომოყვანილი ორონიმის ანალოგიური დანიშნულება აქვს იმ განსხვავებით, რომ მთაზე არსებულ ტბასთან გვალვისას ხდებოდა სამსხვერპლო საქონლის შეწირვა და ღვთისადმი ლოცვის აღვლენა წვიმის მოსაყვანად. თავად ამ მთის სახელის ეტიმოლოგიის გარკვევა ერთგვარ სიმნელესთან არის დაკავშირებული, ვინაიდან პირველი კომპონენტის მნიშვნელობა უცნობია, თუმცა მეორე ნაწილი **ხარს** უკავშირდება: **ოს** (საპ.) „ხარი“ – **ოს-ტო** (სუპერესივი) „ხარზე“.

## დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

### ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნახურენოვან ტოპონიმთა ფორმოზრივი კლასიფიკაცია<sup>2</sup>

ნახურენოვანი სუბსტრატი ადმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში – ხევსურულში, თუშურში, ფშაურსა და მოხეურში, შეიძლება, ითქვას, რომ ყველაზე მძლავრად ტოპონიმებში ვლინდება. ამგვარი ერთეულების განსაკუთრებული სიუხვით კი თუშეთის ტოპონიმთა გამოირჩევა, რისი უმთავრესი მიზეზიც წოვათუშურ ენასთან ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეში საუკუნოვანი თა-

---

<sup>1</sup> იხ. И. В. Мегрелидзе, Археологические находки в Дидо // Советская археология. Т. XV. Москва-Ленинград, 1951, С. 280-291; Н. А. Звиадаური, К этимологии одного дагестанского топонима «**Кидилашани**» // Дагестанская ономастика. Выпуск 2. Махачкала, 1996, С. 19-21.

<sup>2</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).

ნაარსებობაა.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში შემორჩენილ ნახურენოვან ტოპონიმთა სეგმენტირება, ფორმოზრივი კლასიფიკაცია, სიტყვაწარმოებითი საშუალებების ანალიზი და ყველაზე პროდუქტიული მოდელების გამოვლენა.

ემპირიულ მასალად გამოყენებულია ჩვენ მიერ სხვადასხვა პერიოდში სამეცნიერო ექსპედიციებისას ჩაწერილი მონაცემები, აგრეთვე ა. ბერთლანისა (2019) და სხვა მკვლევართა შესაბამისი ნაშრომებიდან გამოკრებილი საანალიზო ერთეულები.

ტოპონიმთა წარმოებაში, განსაკუთრებით კი მიკროტოპონიმებში მოზრდილ ჯგუფს ქმნის კომპოზიციტური წარმოება. უმთავრესად წარმოდგენილია სუბორდინაციული ტიპის ენდოცენტრული კომპოზიტები, თუმცა გვხვდება ატრიბუტული თხზული სახელწოდებებიც, მაგ.: **ჯაჯალტაფი**, **ლამზურჩკან** და სხვ. სუბორდინაციული თხზული სახელის პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაშია. მაგ.: **ალზ-ანცერ-ნ**, **ლაგაზ-ანტე-ნ**, **პაპუ-მ<sup>ნ</sup> ჰარ-ნ**, **თებულუ-მ<sup>ნ</sup>ქაჩ**, **საგ-ინ-წყარო** და სხვ. ცხადია, გვხვდება ქართულიდან ნასესხები, წოვათუშური სუფიქსებით გაფორმებული ანდა ჰიბრიდული კომპოზიტებიც: **სალოცე-ენ გორნაკ**, **სანზ-ენ გორნაკ** და სხვ.

ძალზე ხშირად ტოპონიმებში წარმოდგენილია როგორც საკუთრივ ნახური, ისე ქართულიდან შეთვისებული დერივაციული და ფლექსიური ელემენტები, მაგ.: **წიფლ-ილ-ნ<sup>რ</sup>**, **ჟოდურ-თა**, **ლა-მაზ-ურ**, **სა-დუც-ე**, **გორთი-გო**, **წუნტე-ლო**, **ეკინე-ჩო** და სხვ.

მოხსენებაში სრულად იქნება წარმოდგენილი ნახურენოვან ტოპონიმთა მაწარმოებლები, ფორმოზრივი მახასიათებლები და ცალკეულ აფიქსთა ფუნქციები.

## ლაბიალიზებული თანხმოვნების საკითხისათვის ლეზგიურ ენაში<sup>1</sup>

ლაბიალიზებული თანხმოვნების საკითხი ლეზგიურ ენაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნ. ტრუბეცკოიდან მოყოლებული ლეზგიური ენის შემსწავლელთა დიდი ნაწილი ლაბიალიზებულ თანხმოვნებს მონოფონემებად მიიჩნევს. განსხვავებული მოსაზრება ზოგიერთმა მკვლევარმა (ბ. გიგინეიშვილი, გ. თოფურია და სხვ.) წარმოგვიდგინა. მათი აზრით, ლეზგიურში არა ლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ ლაბიალური კომპლექსები დასტურდება.

ლეზგიურში ლაბიალიზებულ თანხმოვნებს გამოყოფენ შემდეგ რიგებში:

დენტალური: თ°, თა°, ტ°

წინაალვეოლარული: ც°, წ°, ზ°, ს°

პოსტალვეოლარული: ჭ°, ქ°

წინაველარული: გ°, ქ°, ჯ°, კ°, ხ°

უველარული: ჯ°, ჯ°, ყ°

კიდევ რამდენიმე ლაბიალიზებულ თანხმოვნს აღნიშნავენ ლეზგიური ენის დიალექტებში. ზოგიერთ თქმაში დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებზეც მიუთითებენ.

თუ გავიზიარებთ ლაბიალიზებული თანხმოვნების მონოფონემურობას, შევნიშნავთ, რომ ისინი პოზიციურად შეზღუდულები არიან – ისინი არ დასტურდება ლაბიალურ ხმოვნებთან მეზობლობაში, თ°, ც°, გ°, ქ° გვხვდება მხოლოდ ანლაუტსა და ინლაუტში, ქ°, ს°, წ° – მხოლოდ ანლაუტში (ამასთან, ს° მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში გვაქვს, ხოლო წ° – ოდენ ე ხმოვნის წინ).

მ. თეთრადის აზრით, ლეზგიურში გვაქვს დაახლ. 50 სახელური ფუძე, რომლებშიც ლაბიალიზებული თანხმოვნები დასტურდება. მათი უმრავლესობა CVC სტრუქტურის ფუძეებია, რომლებშიც

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-3659 „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II“).

ლაბიალიზებულ თანხმოვანს, როგორც წესი, ანლაუტში ადასტურებენ. ზოგიერთი მათგანი არამყარი სტრუქტურით გამოირჩევა, მაგ., წეგ - ჯუჯე „ლოყა“, ს<sup>ა</sup>ხ - სუხ<sup>ა</sup> „ძირითადი კბილი“. გვაქვს პარალელური ფორმებიც, მაგ., წეკ || წეკ<sup>ა</sup> „ბზე“, ტ<sup>ე</sup>ხ || ტეხ<sup>ა</sup> „ლაქა“. ზოგჯერ ლაბიალიზაცია იშლება, რაც იწვევს ცვლილებებს ფუძეში, კერძოდ არალაბიალური ხმოვნის გადასვლას ლაბიალურში, მაგ., ხ<sup>ა</sup>თ „ქლიავი“ > ხუთ-არ (მრ. რიცხ.), ს<sup>ა</sup>ს „რძალი“, „ასული“ > სუს-არ (მრ. რიცხ.).

ზმნურ ფუძეებში მიუთითებენ ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობაზე, თუმცა მათი უმრავლესობა არამყარია, მაგ., თ<sup>ა</sup>-აზ (ნამყ. და აბს. ფორმა), შდრ. თ-უნ „დადება“.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლეზგიურში ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობა არათუ ისტორიულადაა სავარაუდო, არამედ ეჭვს იწვევს მათი გამოყოფა სინქრონიულ დონეზეც კი. ლაბიალიზებული თანხმოვნები რომ გვქონოდა ლეზგიურში, მაშინ მათი ლაბიალური სემანტი პარადიგმატული დაპირისპირებისას ასე ხშირად არ დაიკარგებოდა. მხარს ვუჭერთ იმ მკვლევრების მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლეზგიურ ენაში გვაქვს ლაბიალური თანხმოვნები.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### ყაზარდოული ენის მოკლე გრამატიკული ანალიზი<sup>1</sup>

**1.** ყაზარდოული (სხვაგვარად – ყაზარდოულ-ჩერქეზული, ზემოადიღური, აღმოსავლეთჩერქეზული) ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის წევრია, კერძოდ, ამ ჯგუფის ჩერქეზულ (ადიღურ) ქვეჯგუფში შედის.

ყაზარდოულ ენაზე მეტყველი ყაზარდოელები ცხოვრობენ ყაზარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს რესპუბ-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (პროექტი №FR – 18-3659).

ლიკების ტერიტორიაზე, აგრეთვე, კრასნოდარისა და სტავროპოლის რამდენიმე აუღში, მოზდოკსა და მის მიდამოებში. სულ კავკასიაში 800 000-მდე ყაზარდოელი სახლობს.

**2.** ყაზარდოელი ახალდამწერლობიანი ენაა. მართალია, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ყაზარდოელი ანბანის შექმნის არაერთი მცდელობა იყო, მათი გამოყენება მხოლოდ კონკრეტული ავტორის გამოკვლევებსა თუ სხვა პუბლიკაციების ფარგლებს არ გასცდენია.

ყაზარდოელი ენის პირველი ანბანი, რომელიც საზოგადოებაში გავრცელდა და მშობლიურ ენაზე განათლებას დაედო საფუძვლად, შეიქმნა 1923 წელს ლათინური ანბანის საფუძველზე. 1936 წლიდან ყაზარდოელი ენისათვის რუსული გრაფიკა გამოიყენება. ამ ანბანების დანერგვის დროიდან ყაზარდოელი ენის მეცნიერულ შესწავლას ეძლევა სისტემური ხასიათი, გამოდის სახელმძღვანელოები და ლექსიკონები, ყაზარდოულ ენაზე იქმნება მხატვრული ლიტერატურა, ფუნქციონირებს თეატრი. ყაზარდოული ენა მკვიდრდება, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

**3.** ყაზარდოელი ენის ფონოლოგიური სისტემა და გრამატიკული სტრუქტურა საყურადღებო სურათს გვთავაზობს.

ხმოვანთა მარტივი და თანხმოვანთა რთული სისტემა ყაზარდოელის დამახასიათებელი თვისებაა. ყაზარდოულ სალიტერატურო ენაში სამი ხმოვანი და 47 თანხმოვანი გამოიყოფა.

ხმოვანთა სისტემაში რელევანტურია მათი ღიაობის ხარისხის მიხედვით დახასიათება: **ა** ყველაზე ღია ხმოვანია, **გ** – ყველაზე ნაკლები ღიაობისა, **ჰ** კი საშუალო ღიაობის ხმოვნად მიიჩნევა. ეს ხმოვნები ე. წ.: ნახევარხმოვნებთან კომბინაციით ქმნიან აღმავალ დიფთონგებს (**აა**, **აჰ**, **აგ**, **უა**, **უჰ**, **უგ**).

ყაზარდოულ თანხმოვანთა სისტემაში მოიპოვება კავკასიური მკვეთრი თანხმოვნები (აბრუპტივები), რომელთა წყალობითაც იქმნება ხშულთა სამეულბრივი სისტემა: ხუთი – სრული (**ბ ფ ჰ, დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჰ, ზ ქ კ**), ორი – დეფექტური (**-წ ყ, -წ ყ**); გვაქვს ორი ლარინგალური თანხმოვანი (**ყ უ**); ამ სისტემაში ლაბიალიზებული თანხმოვნები წარმოდგენილია უკანაენისმიერთა, ფარინგალთა და ლარინგალთა რიგებში.

სპირანტებში გვაქვს როგორც წყვილეულები (**ზს, ქმ, ღხ, ღზ**); ისე – სამეულები (**გ ჭ ჭ, ზ ს ს, ლ ლ ლ**).

ყაბარდოულ სალიტერატურო ენაში არა გვაქვს უკანაენისმიერი არალაბიალიზებული ხშულები (**გ ქ კ**); ისინი აფრიკატებშია გადასული. სალიტერატურო ენას არ მოეპოვება, ასევე, მაგარი თანხმოვნები.

თანხმოვანთა კომპლექსი ბევრი არაა; ისინი, როგორც წესი, დეცესიურია.

**4.** ყაბარდოულ ენას, ქართულის მსგავსად, ახასიათებს ადამიანისა და ნივთის სემასიოლოგიური კატეგორია (**ხათ?** „ვინ?“ **სგთ?** „რა?“).

ყაბარდოული ენის მორფოლოგია ძირითადად აგლუტინაციურია. ზმნის მორფოლოგია სახელის მორფოლოგიაზე გაცილებით რთულია.

**5.** არსებითი სახელი ოთხ კატეგორიას განარჩევს – კუთვნილების, ბრუნვის, რიცხვის, განსაზღვრულობის კატეგორიებს.

კუთვნილების კატეგორიას პრეფიქსები აწარმოებს, რომლებიც I და II პირის შემთხვევაში მასალობრივად სათანადო პირის ნახვალსახელებს უკავშირდება. ყაბარდოული ორთოგრაფიის შესაბამისად, ადილურისაგან განსხვავებით, კუთვნილების მაწარმოებელი აფიქსები ცალკე იწერება – **си унә** „ჩემი სახლი“, **уи унә** „შენი სახლი“, **и унә** „მისი სახლი“, **ди унә** „ჩვენი სახლი“, **фи унә** „თქვენი სახლი“, **я унә** „მათი სახლი“, თუმცა ისინი ზეპირი მეტყველებისას ერთად წარმოითქმის.

ყაბარდოულში ოთხი ბრუნვაა: სახელობითი, ერგატივი, მოქმედებითი და გარდაქცევითი. განსაზღვრულ ბრუნებაში სახელობით ბრუნვას **-რ** სუფიქსი აწარმოებს, ერგატივს – **-მ** სუფიქსი. ერგატივის ფორმას ემყარება მოქმედებითი ბრუნვა, გარდაქცევითი – სახელობითს. განუსაზღვრელ ბრუნებაში სახელობითი და ერგატივი ბრუნვის ნიშნების გარეშეა წარმოდგენილი.

თავისებურია ნაცვალსახელთა ბრუნება: პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები სახელობით და ერგატიულ ბრუნვებს არ განარჩევენ; სამივე რიგის ჩვენებით ნაცვალსახელებში, არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, ერგატიული ბრუნვის ნიშანია **-ხგ**.

**6.** ყაბარდოულში გარჩეულია მრავალპირიანი და ერთპირიანი

ნი, გარდამავალი და გარდაუვალი, დინამიკური და სტატიკური ზმნები (დინამიკურობას და სტატიკურობას სპეციალური მაწარმოებლები მოეპოვება).

ყაზარდოულს ახასიათებს დრო-კილოთა რთული სისტემა. პირის ნიშნები პრეფიქსებია, რიცხვისა და დრო-კილოთა მაწარმოებლები – სუფიქსები.

ზმნა მდიდარია სიტყვაწარმოებითი კატეგორიებით; ესენია: კაუზატივი, ქცევა, თანაობა, საურთიერთო, საზიარო, პოტენციალისი, უნებურობა... მათ უმეტესობას მაწარმოებლად პრეფიქსები აქვთ; მხოლოდ პოტენციალისს მოეპოვება პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება.

**7.** ატრიბუტულ შესიტყვებაში წამყვანია პოსტპოზიციური წყობა, მაგრამ გვაქვს პრეპოზიციაც (მაგ., როცა მსაზღვრელად რიგობითი რიცხვითი სახელია). თუ მართვასთან გვაქვს საქმე, მსაზღვრელი პრეპოზიციურად იქნება წარმოდგენილი.

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას იცვლება მხოლოდ შესიტყვების მეორე შემადგენელი ნაწილი; ატრიბუტულ შესიტყვებაში არა გვაქვს რიცხვში შეთანხმება.

პრედიკატულ შესიტყვებაში გარდამავალი ზმნა ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას, გარდაუვალი – ნომინატიურს. პირველ შემთხვევაში სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაშია, ობიექტი – სახელობითში. მეორე შემთხვევაში გარდაუვალ ზმნას სახელობითში დასმული სუბიექტი შეეწყობა.